8
1944

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

1944 წლის იანვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენახულ იქნას იმ მასალების თანაბრად,
რაც არ უნდა გამოქვეყნდეს

# საქართველოს სსრ
# სახალხო კომისართა საბჭოს
# დადგენილებანი

1944 წლის იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 3

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**„იუგოზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის ბაზებში სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს თბილისის, ქუთაისისა და ფოთის საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს და ბორჯომისა და სიღნაღის რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს 1944 წლის 20 იანვრამდე მოახდინონ 255 კაცის მობილიზაცია „იუგოზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის ბაზებში სამუშაოდ მათი შემდეგნაირი განაწილებით ბაზებსა და რაიონებს შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქალ. თბილისში ნავთლუღის ბაზისათვის . . | 75 | კაცი |
| ქალ. ქუთაისში ქუთაისის ბაზისათვის . . . | 75 | „ |
| ქალ. ფოთში ფოთის ბაზისათვის . . . . . | 50 | „ |
| ბორჯომის რაიონში ბორჯომის ბაზისათვის . | 20 | „ |
| სიღნაღის რაიონში წნორისწყლის ბაზისათვის | 35 | „ |

2. დაევალოს თბილისის, ქუთაისისა და ფოთის საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს და ბორჯომისა და სიღნაღის რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს მობილიზაცია ჩაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 თებერვლის ბრძანებულების სრული შესაბამისობით.

3. მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ ეცნობოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების ბიუროს ხუთდღიურში ერთხელ.

4. დაევალოს „იუგოზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს უზრუნველჰყოს ამ დადგენილებით მობილიზებულ მუშათა დროული მიღება, განაწილება და წარმოებაზე მიმაგრება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

ინვენტარის სასტუმროთათვის დასაბრუნებლად, არამედ თვითონაც ხელს უწყობენ სასტუმროს ქონების განიავებას.

თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომმა, ნაცვლად გადამწყვეტი ზომების მიღებისა ლიკვიდირებულ სასტუმროთა ინვენტარის შეგროვებისათვის, თავისი 1943 წლის 19 ივნისის № 441 დადგენილებით კვლავ დაუტოვა მთელ რიგ ორგანიზაციებსა და საწარმოებს დროებით სარგებლობაში სასტუმროთა 518.939 მანეთის ღირებულების ინვენტარი.

სასტუმროებში სასაწყობოდ გამოყოფილი სადგომები ნაკლებადაა მოწყობილი ფასეულობათა შენახვისათვის. სასაწყობო სადგომები არც ლუქის ბეჭდით იბეჭდება და არც იპლომბება, ხოლო მათი ნაწილი ბოქლომითაც კი არ იკეტება.

მთელი რიგი სასტუმროები, როგორიცაა მაგალითად: „ქუთაისი“ „1 მაისი“ (ქ. ბათუმი), „მოსკოვი“ (ხაშური), „ოდიში“ (ქ. ზუგდიდი), „ქართლი“ (ქ. გორი) და სხვები ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

სასტუმროთა დირექტორების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ნომრები ეძლევათ ისეთ პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ სანიტარული და სადეზინფექციო დამუშავება.

უხეშად ირღვევა სასტუმროებში ცხოვრებისათვის დაწესებული ვადები. მაგალითად, 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის ერთ თვეზე მეტი ხნით მცხოვრებთა მიერ სასტუმრო „თბილისში“ 119 ოთახიდან დაკავებული იყო 40 ოთახი, სასტუმრო „1 მაისში“ 59 ოთახიდან—32 ოთახი და სხვ.

სასტუმროთა სადგომები და მოწყობილობანი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საპირფარეშოების, საშხაპეებისა და აბაზანების მეტი ნაწილი არ მოქმედებს. დაზიანებულია საწყალსადენოსაკანალიზაციო ქსელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) ჩაატარონ ქონების ინვენტარიზაცია 1944 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით კომუნალურ განყოფილებათა ყველა სასტუმროში და, ამასთან ერთად, უზრუნველჰყონ მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისათვის დარიგებული ქონების დაბრუნება, გაცვეთის საამორტიზაციო ღირებულების გადახდევინებით.

პასუხისმგებლობა ქონებისა და ინვენტარის შეგროვებისა და დაბრუნებისათვის შემოწმებულ სასტუმროებში დაეკისროს: თბილი-

სის ქალაქის საბჭოში—თბილისის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ანანიევს, ქუთაისის ქალაქის საბჭოში—ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლომიძეს, ხაშურის ქალაქის საბჭოში—ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლომიძეს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გელაშვილს და ბათუმის ქალაქის საბჭოში—ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ჯიქიას;

ბ) მოაწესრიგონ სასტუმროთა სასაწყობო მეურნეობა მოწყობილობისა და ინვენტარის მთელი ფაქტიური რაოდენობის პასპორტიზაციის ჩატარებით და უზრუნველჰყონ მათი ჯეროვანი დაცვა-შენახვა;

გ) ჩაატარონ სასტუმროთა სადგომებისა და ინვენტარის საჭირო რემონტი, უზრუნველჰყონ ჯეროვანი წესრიგის დაცვა, კერძოდ მტკიცედ დაიცვან მომავალში შინაგანი განწესი და არ დაუშვან ერთ თვეზე მეტი ხნით ცხოვრება სასტუმროებში;

დ) სისტემატურად ჩაატარონ სახსანინსპექციის წარმომადგენელთა მონაწილეობით სასტუმროთა სანიტარული მდგომარეობის გამოკვლევა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასაწოლო თეთრეულის, საწოლების, სხვა ინვენტარისა და საერთო სარგებლობის ადგილების სუფთად შენახვას.

2. დაევალოს თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ანანიევს განიხილოს არსებული მასალები სასტუმრო „თბილისში“ ძვირფასი ხალიჩების დანაკლისისა და შეცვლის შესახებ და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ერთი თვის განმავლობაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს მილიციის დარგში ამხ. ნაჭყებიას და საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარს ამხ. ჩხეტიანს დახმარება აღმოუჩინონ აღმასკომებს სასტუმროთა ქონებისა და ინვენტარის დაბრუნების საქმეში.

4. ეთხოვოს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს დაავალოს საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილს ერთი თვის განმავლობაში დაუბრუნოს თბილისისა და ბათუმის ქალაქის საბჭოების აღმასკომებს მათთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სასტუმროებისა და გლეხთა სახლების მთელი ქონება.

5. დაევალოს დიმიტროვის სახელობის № 31 ქარხნის დირექტორს ამხ. სალაძეს დააბრუნოს ქარხნისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სასტუმროს ქონება წესიერ მდგომარეობაში.

6. გაფრთხილებულ იქნან საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და აგრეთვე ცალკეული პირები, რომ დროებით სარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 6

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მოხსენებითი ბარათი კომუნალურ სასტუმროთა ქონებისა და ინვენტარის არასწორი გამოყენებისა და განიავების შესახებ**

სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებულმა მშრომელთა დეპუტატების თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ხაშურის ქალაქის საბჭოების აღმასკომთა სასტუმროების მატერიალურ ფასეულობათა შენახვისა და გამოყენების შემოწმებამ ცხადჰყო სასტუმროთა ინვენტარისა და ქონების მოუვლელობისა და პირდაპირი განიავების მრავალი ფაქტი. სასტუმროთა ავეჯეულობისა და სხვა ინვენტარის მნიშვნელოვანი რაოდენობა ფართოდ ურიგდებოდა დროებით სარგებლობისათვის სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს და, გარდა ამისა, მოწყობილობისა და ინვენტარის ერთი ნაწილი, ცუდი მოვლის გამო, ექსპლოატაციისათვის უვარგის მდგომარეობაშია.

ოთხ შემოწმებულ სასტუმროდან 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის დარიგებული იყო 839.118 მანეთის ღირებულების სხვადასხვა ინვენტარი, მათ შორის:

სასტუმრო „თბილისიდან“—239 ერთეული სხვადასხვა რბილი და მაგარი ინვენტარი 68.986 მანეთის ღირებულებისა, აქედან ცალკეულ პირებზე—32.339 მანეთის ღირებულებისა;

სასტუმრო „ქუთაისიდან“—1033 ერთეული 88.695 მანეთის ღირებულებისა, აქედან ცალკეულ პირებზე—54.590 მანეთის ღირებულებისა;

სასტუმრო „1 მაისიდან“ (ბათუმი)—406 ერთეული 85.558 მანეთის ღირებულებისა, აქედან ცალკეულ პირებზე—39.679 მანეთის ღირებულებისა;

სასტუმრო „მოსკოვიდან" (ხაშური)—95 ერთეული 6.901 მანეთის ღირებულებისა, აქედან ცალკეულ პირებზე—5.309 მანეთის ღირებულებისა.

თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის დროებით დაკონსერვებული სასტუმროების—„კოლხიდის", „პალასისა" და „ევროპის" ქონება 620.165 მანეთის ღირებულებისა დაურიგდა 31 ორგანიზაციასა და საწარმოს.

სასტუმროთა ინვენტარის საერთო რაოდენობიდან უკანონოდ არის გაცემული დროებითს სარგებლობაში:

სასტუმრო „თბილისიდან" თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის შ. ა. გვიჩიას განკარგულებით—11.169 მანეთისა და სასტუმროს დირექტორის—ა. დ. ლაღიძის განკარგულებით—39.979 მანეთის ღირებულებისა;

სასტუმრო „ქუთაისიდან" აღმასკომის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის ა. მაღრაძის განკარგულებით—16.104 მანეთისა, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ფურცხვანიძის განკარგულებით—4.542 მანეთისა, აღმასკომის საბინაო სამმართველოს ყოფილი მმართველის შ. შავგულიძის განკარგულებით—3.640 მანეთისა და სასტუმრო „ქუთაისის" ყოფილი დირექტორის ბუაძის განკარგულებით—2.700 მანეთის ღირებულებისა;

სასტუმრო „1 მაისიდან" ბათუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ე. ნ. ჯიქიას განკარგულებით—3.136 მანეთისა, აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის ყოფილი სახალხო კომისრის ბ. ხალვაშისა და კომუნალური განყოფილების გამგის ნიჟარაძის განკარგულებით—4.761 მანეთისა და აღმასკომის საქალაქო საბინაო სამმართველოს ყოფილი გამგის ყუფარაძის განკარგულებით—2.034 მანეთის ღირებულებისა;

სასტუმრო „მოსკოვიდან" ხაშურის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ლომიძის განკარგულებით—1608 მანეთისა და სასტუმრო „მოსკოვის" გამგის ბლიაძის განკარგულებით—486 მანეთის ღირებულებისა. გარდა ამისა, ხაშურის ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების ყოფილი გამგის მგალობლიშვილის განკარგულებით გაცემულია სხვა ორგანიზაციაზე 108 მეტრი ნარმა.

დროებითს სარგებლობაში გაცემული ქონების დოკუმენტებში არ არის საჭირო რეკვიზიტები, როგორიცაა, მაგალითად: ინვენტარის სახე და ტიპი, არტიკული, გაცემული საგნების გაცვეთის ხარისხი და სხვა დამახასიათებელი თავისებურებანი.

ქალაქის საბჭოების აღმასკომები და სასტუმროების დირექტორები არა თუ არ იღებენ ნამდვილ ზომებს უკანონოდ გაცემული

გებლობაში მიღებული სასტუმროს ინვენტარის არათავისდროზე და არასრულად ჩაბარებაში დამნაშავე პირთა მიმართ მიღებული იქნება სასჯელის უაღრესად სასტიკი ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ჯეროვანი წესრიგის დამყარებას სასტუმროთა მეურნეობაში. დაევალოს ამხ. ბუკიას გააძლიეროს კომუნალურ საწარმოთა მუშაობის კონტროლი და მიაღწიოს იმას, რომ სასტუმროებში იყოს სანიმუშო წესრიგი.

8. გაუქმდეს თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის 1943 წლის 19 ივნისის № 441 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება სასტუმროთა ქონებისა და ინვენტარის დროებითს სარგებლობაში დატოვებას ორგანიზაციათა და საწარმოთათვის.

დაევალოს თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომს განიხილოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია დატოვებულ იქნას სამუშაოზე და მიცემულ იქნას პასუხისგებაში სასტუმრო „თბილისის“ დირექტორი ლაღიძე, რომელმაც დაუშვა სასტუმროს ქონების განიავება.

9. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ამხ. ფურცხვანიძეს (ქუთაისის ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილების გამგე) სახკონტროლის სახალხო კომისარიატმა უკვე დაადო სასჯელი.

ხაშურის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლომიძეს გამოეცხადოს საყვედური სასტუმროს დაუდევრად შენახვისათვის.

10. დაევალოს სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს 1944 წლის თებერვლის დამლევისათვის შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება და შედეგები მოახსენოს სახკომსაბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 7

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მახარაძის, ქარელისა და ბორჩალოს რაიონების სასოფლო საბჭოებში საკომლო წიგნების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ**

მახარაძის, ქარელისა და ბორჩალოს რაიონებში სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის მდგომარეობის შემოწმებით გამოვლინებულია მთელი რიგი სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი სასოფლო საბჭოების მუშაობაში საკომლო წიგნების საწარმოებლად

ბორჩალოს რაიონის სადახლოს სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნებში გამოტოვებულია თომა მაჭავარიანის 5 სულისა და სახინე ჯავაროვას 5 სულისაგან შემდგარი მეურნეობანი.

ჩანაწერები წითელ არმიაში წასულთა შესახებ ხშირად შეაქვთ წიგნებში დაგვიანებით და არაზუსტად: სოფ. სადახლოში მამაი ისმაილ ოღლის, ალაკბარ ისმაილ ოღლისა და ჯალილ ჯამალ ოღლის ოჯახებიდან 4 წევრი იმყოფება წითელ არმიაში, მაგრამ არ არის ჩაწერილი—რა დროიდან; ჩანაწერები მე-12 გრ. ნაცვლად შეტანილია მე-7 გრაფაში. გარდა ამისა, ცნობები წასვლის შესახებ შეტანილია მხოლოდ 1940 წლის 1 იანვრისათვის და არ არის განმეორებული 1 ივლისისათვის, თუმცა ყველა აღნიშნული პირნი ამჟამადაც წითელ არმიაში იმყოფებიან.

ქარელის რაიონის ქარელის სასოფლო საბჭოში არ არიან შეტანილი საკომლო წიგნში მიტო უდიაშვილისა და ლადო სოსიაშვილის მეურნეობებში 1943 წელს დაბადებული ბავშვები. ბორჩალოსა და ყზილ-აჯლინის სასოფლო საბჭოებში დაბადებულთა მნიშვნელოვანი რიცხვი სრულიად არ ტარდება საკომლო წიგნებში. ცნობები გარდაცვლილთა შესახებ წიგნებში თუმცა შეაქვთ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში თარიღის აღუნიშნავად, ხოლო ქარელის სასოფლო საბჭოში სრულიად არ არის აღნიშნული ოჯახის მეთაურის გიგა ჯაგაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის გარდაცვალება. არასრულად შეაქვთ აგრეთვე ცნობები დაქორწინებისა და განქორწინების შესახებ. ბორჩალოს სასოფლო საბჭოში მალეიკა ნამაზოვა, რომელიც ხამეტ იაკუბოვს მითხოვდა, არ აღუნიშნავთ მამის მეურნეობაში როგორც წასული და ქმრის მეურნეობაში—როგორც ოჯახის ახლად შემატებული წევრი.

მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის—სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოსვლისა და ტერიტორიიდან წასვლის—აღრიცხვა, განსაკუთრებით კი დროებით მცხოვრები მოსახლეობისა, თითქმის სრულიად არ სწარმოებს, მაშინ როდესაც ეს აღნიშნული უნდა იყოს № 4-ა ფორმის სპეციალურ სიებში. ყზილ-აჯლინის სასოფლო საბჭოში დროებით მცხოვრები ვ. ლაპინა, ვ. ორლოვა და ბლოხინას ოჯახი (შემდგარი 4 წევრისაგან), რომლებიც აგვისტო-სექტემბერში წავიდნენ, სრულიად არ აღუნიშნავთ; არ აღუნიშნავთ აგრეთვე ივლისში ჩამოსული ნ. შნეიკერდორფი და სომხეთიდან 1943 წლის მარტში ჩამოსული პარასკევა ზაბელინას ოჯახი.

თავში—„მოსახლეობა" არასწორად იწერება დაბადების თვე და წელი, უმეტეს შემთხვევაში არ არის ცნობები დაბადების თვის შესახებ. ასაკის რეგისტრაციაში ხშირად შეცდომებია. მახარაძის რაიონის ცხემლიდის სასოფლო საბჭოში 1930 წელს დაბადებული კონდრატე დუმბაძე აღნიშნულია როგორც 1929 წელს დაბადებული; ბერძენიშვილი, დაბადებული 1919 წელს, აღნიშნულია როგორც 1923 წელს დაბადებული; გურიანთის სასოფლო საბჭოში 1941 წელს დაბადებული ეთერი დარჩია ჩაწერილია როგორც 1943 წელს დაბადებული. სადახლოსა და ბორჩალოს სასოფლო საბჭოებში შემოწმებულ 21 მეურნეობაში არასწორად იყო ნაჩვენები ასაკი 12 შემთხვევაში.

ბორჩალოსა და ქარელის რაიონებში არასრულად და არაზუსტად იწერება ცნობები წერა-კითხვის ცოდნის შესახებ, ხოლო სასკოლო ასაკის ბავშვთათვის—სწავლის შესახებ.

ბორჩალოს რაიონის სასოფლო საბჭოებში ნაცვლად საჭირო სამი პასუხისა: „კითხულობს და სწერს", „კითხულობს", „წერა-კითხვის უცოდინარია", უმეტეს შემთხვევაში ჩაწერილია „მცირე მცოდნეა", „არის", „არა", „10-წლედი" და სხვ. სადახლოს სასოფლო საბჭოში არ არის აღნიშნული, რომ მოსამსახურე სუმბატ ორუჯევის ქალიშვილი და კოლმეურნე ქიაზიმ რზაგულუ ოღლის ვაჟი სწავლობენ ბორჩალოს საშუალო სკოლაში (10-წლედში). ყზილ-აჯლინის სასოფლო საბჭოში მუსა გუმბათ ოღლის, ნავათ მეხტი ყზისა და ხტარ პარნიკ ყზის ოჯახებში 8 ბავშვი სწავლობს ყზილ აჯლინის არასრულ საშუალო სკოლაში, მაგრამ ჩანაწერები ამ მეურნეობათა პირად ანგარიშებში არ მოიპოვება. ზღუდერის სასოფლო საბჭოში სრულიად, ხოლო ქარელის სასოფლო საბჭოში ნაწილობრივ არ არის აგრეთვე

ჩანაწერები სწავლის შესახებ. არცერთ შემოწმებულ სასოფლო საბჭოში, გარდა მახარაძისა, სრულიად არ შეაქვთ პირად ანგარიშებში სწავლაში მომხდარი ცვლილებანი.

საკომლო წიგნებში არ არის ზუსტად აღნიშნული ცნობები თვითმოქმედი მოსახლეობის მოსაქმეობის, სპეციალობისა და მუშაობის ადგილის შესახებ.

ქარელისა და ბორჩალოს რაიონების სასოფლო საბჭოებში სასოფლო საბჭოს სააღრიცხვო წიგნებში გრაფა სპეციალობის შესახებ სასოფლო მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის გარეშე სრულიად არ ივსება, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეთა შორის არიან არამარტო რიგითი კოლმეურნეები, არამედ მწველელი ქალები, მეჯინიბეები, მწყემსები და სოფლის მეურნეობისა და არასოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებიც. ჩანაწერები არ მოიპოვება აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა შესახებაც კი. უმეტეს შემთხვევაში არ არის აგრეთვე ჩანაწერები მუშაობის ადგილისა და იმის შესახებ, თუ რა საქმეს აკეთებს. სადახლოს სასოფლო საბჭოში მუშაობის ადგილი და თანამდებობა არ არის ჩაწერილი 21 მეურნეობის: ტრაქტორისტის თანაშემწის—მამედ ბაირამოვის, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების რაიგანყოფილების მაღაზიის გამგის—ანდრეს ანდრიასოვის, რკინიგზის სადგურის უფროსის—პავლე ნაპიტაშვილისა და სხვ. პირად ანგარიშებში. ჩანაწერები არ არის აგრეთვე ბორჩალოს, ქარელისა და ზღუდერის სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნებში.

ბორჩალოსა და ქარელის რაიონების სასოფლო საბჭოებში ადგილი აქვს პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის აღურიცხველობას და პირუტყვის ასაკობრივი ჯგუფის რეგისტრაციის არასიზუსტეს, აგრეთვე ნარგაობათა არამთლიანად აღრიცხვას და არასრულ ჩანაწერებს ნათესების რაოდენობის შესახებ.

სადახლოს სასოფლო საბჭოს მცხოვრებ მამიშ ისმაილ ოღლის მეურნეობაში არ იყო აღნიშნული 1 ივლისისათვის მისი 1 ძროხა და 1-წლისაზე მეტი 1 მოზვერი; არ იყო აღნიშნული აგრეთვე არც 1 იანვრისა და არც 1 ივლისისათვის ბაირამოვის 1-წლისაზე მეტი 2 თხა; ნოვათ მეხტი ყზის მეურნეობაში როგორც 1 იანვრის, ისე 1 ივლისისათვის ჩაწერილია 1 ძროხა და ხბო, მიუხედავად იმისა, რომ 1943 წლის 1 იანვრის შემდეგ მეურნეობამ ძროხა და ხბო ფურკამეჩსა და ზაქზე გადასცვალა, რაც აღნიშნული არ არის.

ქარელის რაიონის მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში წიგნებს აწარმოებენ დაუდევრად; საკომლო წიგნებში არის განასვარი და განუპირობებელი შესწორებული ადგილები და აგრეთვე ასაკის შესწორებანი, დაუდასტურებელი დადგენილი დოკუმენტებით.

სასოფლო საბჭოების აღრიცხვის საქმეებში გამოვლინებული უხეში შეცდომები და ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად აიხსნება სრულიად არასაკმაო ყურადღებით სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის საკითხებისადმი როგორც მშრომელთა დეპუტატების ბორჩალოსა და ქარელის რაისაბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მხრივ, ისე საქართველოს სსრ სტატსამმართველოს ადგილობრივი ორგანოების მხრივაც.

საკომლო წიგნების წარმოებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის საფუძვლიანი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს ქარელის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მიქაძეს, ბორჩალოს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გულიევს და მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. დოლიძეს განიხილონ აღმასკომების სხდომებზე სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის მდგომარეობა, გამოიწვიონ სხდომაზე სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები და მდივნები და მიიღონ ზომები სასოფლო საბჭოების აღრიცხვის შემოწმებით გამოვლინებული ყველა შეცდომისა და ნაკლოვანების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) განიხილონ აღმასკომების სხდომებზე სასოფლო საბჭოების აღრიცხვის მდგომარეობა და მიიღონ ზომები ყველა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მომავალში სისტემატურად მოისმინონ აღმასკომების სხდომებზე სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიინსპექტორების იხსენებანი სასოფლო საბჭოებში აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ;

ბ) შეამოწმონ სასოფლო საბჭოების აღმასკომების მდივანთა კადრები და უზრუნველჰყონ სუსტ მუშაკთა შეცვლა უფრო მომზადებული მუშაკებით, რომელთაც შეუძლიათ საქმით უზრუნველჰყონ სასოფლო საბჭოების აღრიცხვის წიგნების სწორად წარმოება;

გ) გამოიმუშაონ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორების მონაწილეობით და დაამტკიცონ სასოფლო საბჭოების შემოწმების კალენდარული გეგმა და უზრუნველჰყონ სასოფლო საბჭოების აღრიცხვის შემოწმების გეგმების ზუსტად შესრულება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორთა მიერ.

3. პასუხისმგებლობა სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის სწორად დაყენებისათვის დაეკისროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს სისტემატურად გაუწიონ ინსტრუქტაჟი და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებსა და მდივნებს სასოფლო საბჭოების პირველადი აღრიცხვის სწორად დაყენების საქმეში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს მტკიცედ ადევნოს თვალყური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტორთა მიერ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 26 იანვრის დადგენილებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას და დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურატურის ორგანოებს ბოროტმოქმედებისა და დაუდევრობის ყველა იმ შემთხვევათა შესახებ, რომლებიც გამოიწვევენ აღრიცხვის ჩაშლას ან დამახინჯებას, და აგრეთვე სააღრიცხვო დოკუმენტების შენახვის წესების დამრღვევთა შესახებ—დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად კანონის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 8

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ქალ. ბორჯომის საწარმოთა და ორგანიზაციათა ელექტრომომარაგების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ**

ქ. ბორჯომის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა ელექტრომომარაგების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსს ამხ. ბერაძეს:

ა) დაუყოვნებლივ აამუშაოს სარეზერვო დიზელი, გამოცვალოს ბორჯომჰესის № 4 ტურბინის მუშა-თვალი და უზრუნველჰყოს წყალნაკლებობის პერიოდში ელექტროენერგიის მიცემა ბორჯომჰესიდან სამრეწველო და კომუნალურ საჭიროებათათვის 300—350 კვტ სადღეღამისო სიმძლავრის რაოდენობით;

ბ) ერთი დეკადის განმავლობაში დააკომპლექტოს ელექტრომეურნეობა სათანადო კვალიფიციური კადრებით, რომელნიც უზრუნველყოფენ ჰიდროსადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის ნორმალურ ექსპლოატაციას.

2. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. მარჯანიშვილს:

ა) უახლოეს ვადაში ჩაატაროს ბორჯომის ავეჯეულობის ფაბრიკის ელექტროსადგურის ლოკომობილის, გენერატორისა და ტრანსფორმატორის რემონტი და მიაღწიოს ელექტროსადგურის დადგენილი სიმძლავრის რაც შეიძლება უფრო სრულად გამოყენებას;

ბ) განამტკიცოს ელექტროსადგურის ხელმძღვანელობა და მისი მომსახურე პერსონალი კვალიფიციური კადრებით და უზრუნველჰყოს ელექტროსადგურის სწორი ექსპლოატაციის სისტემატური კონტროლი.

3. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. წიკლაურ-

მა და საქმინწყლების ტრესტის დირექტორმა ამხ. გაგოშიძემ არაუგვიანეს 1944 წლის 1 აპრილისა დაამთავრონ ბორჯომის შუშეულობის ქარხანაში კოლომნის ქარხნის გამოშვების 230-ცხენისძალიანი დიზელის რემონტი.

4. დაევალოს საქმომარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს, საქინკოოპკავშირის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს, „გლავხიმსბიტის“ თბილკანტორის მმართველს ამხ. რუსიას და „გლავნეფტესნაბის“ საქართველოს სამმართველოს უფროსს ამხ. ჯორჯიკიას გასცენ მასალები, აპარატურა და სათბობი ბორჯომჰესისა და ბორჯომის ავეჯეულობის ფაბრიკის თბოსადგურის რემონტისა და ექსპლოატაციისათვის, დანართის თანახმად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს ნავთპროდუქტების ფონდების განაწილების დროს გაითვალისწინოს და მისცეს ყოველთვიურად:

ა) საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს—ბორჯომჰესისათვის: 10 ტონა მოტორის ნავთობი, 150 კილოგრამი ბენზინი, 200 კილოგრამი ნავთი და 100 კილოგრამი ავტოლი;

ბ) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ბორჯომის ავეჯეულობის ფაბრიკის ელექტროსადგურისათვის: 300 კილოგრამი ვისკოზინი, 300 კილოგრამი მინერალური ზეთი და I კვარტალის განმავლობაში—400 კილოგრამი სატრანსფორმატორო ზეთი.

6. წინადადება მიეცეს ბორჯომის საკურორტო სამმართველოს დირექტორს ამხ. ქელიძეს და ბორჯომის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ლურსმანიშვილს განიხილონ და დაამტკიცონ გრაფიკი ელექტროენერგიის განაწილებისა მომხმარებელთა შორის, ამასთანავე გაითვალისწინონ, უწინარეს ყოვლისა, სამრეწველო საწარმოთა უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და აგრეთვე სისტემატური კონტროლი გაუწიონ ელექტროენერგიის განაწილებისა და სწორი ხარჯვის დადგენილი გრაფიკის დაცვას.

7. წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას და მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსს ამხ. ბერაძეს 10 დღის განმავლობაში გაგზავნონ ბორჯომჰესში ბორჯომის საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში მუდმივ სამუშაოდ სათანადო სპეციალისტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 5/I
№ 8 დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სია

**მასალებისა და საზომი ხელსაწყოებისა, რომლებიც უნდა გამოეყოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ბორჯომმშესისა და ბორჯომის ავეჯეულობის ფაბრიკის ელექტროსადგურის რემონტისა და ექსპლოატაციისათვის**

| მასალებისა და აპარატურის დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | ვის უნდა მიეცეს | დასახელება იმ ორგანიზაციისა, რომლის მარაგიდანაც უნდა გაიცეს მასალები |
|---|---|---|---|---|
| ბ ა ბ ი ტ ი . . . . . . | კგ | 30 | საქ. სსრ ჯანსახკომის მთავ. საკურორტო სამმართველოს | საქმომარაგების ტრესტი |
| კ ა ლ ა . . . . . . . . | „ | 15 | „ | |
| კარბიდი . . . . . . . | „ | 120 | „ | „გლავხიმსბიტის“ საქკანტორა I კვარტ. ფონდის ანგარიშში |
| სახვევი სადენი დ—3,53 მ/მ | „ | 50 | „ | საქმომარაგების ტრესტი |
| სახვევი სადენი დ—2,3 მ/მ | „ | 20 | საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატს | „ |
| ვოლტმეტრი 450 ვ . . . | ცალი | 1 | მთავ. საკურორტო სამმართველოს | „ |
| კილოვატმეტრი ანუ მრიცხველი 220 ვ. . . . . | „ | 1 | საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატს | „ |
| ამპერმეტრი 1400 ამპერზე | „ | 1 | „ | „ |
| თასმა . . . . . . . . | „ | 500 | „ | „ |
| აკუმულატორი ზის-5 . . | „ | 2 | მთავ. საკურორტო სამმართველოს | საქინკოოპკავშირი |
| მაზუთი (ყოველთვიურად) | „ | 60 | საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარ. | „გლავნეფტესნაბის“ საქ. სამმართველო |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 9

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის 1944 წლის ტყესაკაფი ფონდის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ტყესაკაფი ფონდი 1944 წლისათვის საქართველოს სსრ-ში განისაზღვროს 705,0 ათასი კუბ.მეტრის მოცულობით,აქედან 292,20 ათასი კუბ. მეტრი მაქნისი მერქანი და 412,8 ათასი კუბ. მეტრი შეშა.

2. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი ტყესაკაფი ფონდის განაწილებისა საქართველოს სსრ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის 1944 წლისათვის, დანართის თანახმად.

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს ტყესაკაფი ფონდი 1944 წლისათვის საქართველოს სსრ-ში 705,0 ათასი კუბ. მეტრის მოცულობით და ტყესაკაფი ფონდის განაწილება საქართველოს სსრ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის 1944 წლისათვის, დანართის თანახმად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. მარჯანიშვილს და სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავბუმლესის" ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორს ამხ. კანდელაკს, 1944 წლის ტყესაკაფი ფონდის დამტკიცებამდე, ერთი თვის განმავლობაში გამოუყონ ტყესაკაფები საქართველოს სსრ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს მათ მიერ დასახული ფონდის 50%-ის მოცულობით და მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 2 ივლისის № 969 დადგენილებით დაწესებული ტყის

ჩეხის სისტემები და ტყით სარგებლობის წესი საქართველოს სსრ ტყეებში.

5. ნება დაერთოს საქგუმბრინის მაღაროს სამმართველოს აწარმოოს მაღაროს სამაგრების შერჩევა და დამზადება ამიერკავკასიის ფრონტის საბინაო-საექსპლოატაციო განყოფილების, თბილსათბობის, საქსარეწტყეკავშირისა, ცხაკაიას და ხობის რაიალმასკომებისა და ფოთის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატების შეშის ტყესაკაფებში, ამასთან დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს აუნაზღაუროს შეშის დამამზადებელ ორგინიზაციებს შეშის ტყესაკაფი ფონდი.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ორი დეკადის განმავლობაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქართველოს სსრ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა ხე-ტყისა და შეშის დამზადების 1944 წლის გეგმა და შეშის მომარაგების 1944 წლის I კვარტალის გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 5/1
№ 9 დადგენილების დანართი

# გ ე გ მ ა

## ტყესაკაფის ფონდის განაწილებისა საქ. სსრ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის 1944 წლისათვის

(მზა პროდუქციის ათას კუბ. მეტრობით)

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | ფოთლის მრგვალი ხე-ტყე | სატყეო წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| **საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი** | | | | | | | | |
| ახმეტის სატყეო სამრ. მეურნ. | თელავის სატყეო მეურნეობა | — | 10.0 | 2.0 | — | — | 12.0 | — |
| ჯალაბეთის „ | სამხრეთ ოსეთის „ | — | 5.5 | — | — | — | 5.5 | — |
| ხეთის „ | კოლხიდის „ | — | — | — | — | 3.0 | 3.0 | 50.0 |
| ზუგდიდის „ | ზუგდიდის „ | — | — | — | — | 3.5 | 3.5 | 20.0 |
| ფოთის „ | ოლხიდის „ | — | — | — | — | — | — | 28.0 |
| „ „ | მახარაძის „ | — | — | — | — | 4.0 | 4.0 | — |
| გურჯაანის სატყეო მეურნეობა | გურჯაანის „ | — | 1.0 | — | — | — | 1.0 | 4.0 |
| თბილისის „ | თბილისის „ | | | | | | | |
| „ „ | თიანეთის რაიონული „ | — | — | 1 0 | — | — | 1.0 | 5.0 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატყეო წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| თბილისის სატყეო მეურნეობა | თელავის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 10.0 |
| მახარაძის " | მახარაძის " | — | — | — | — | 1.5 | 1.5 | 5.0 |
| ხარაგოულის " | ხარაგოულის " | — | 2 5 | — | — | — | 2.5 | — |
| ბოლნისის " | ბოლნისის " | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| აჭარის " | აჭარის " | 1.5 | — | — | — | 3.0 | 4.5 | — |
| ამბროლაურის " | ამბროლაურის " | 15.0 | — | — | — | — | 15.0 | — |
| გინძა-ეწერის " | გინძა-ეწერის " | — | — | — | — | 7.0 | 7.0 | 20.0 |
| აფხაზეთის " | აფხაზეთის " | — | 3.0 | — | — | — | 3.0 | 25.0 |
| ქვემო-სვანეთის " | ქვემო-სვანეთის " | 20.0 | — | — | — | — | 20.0 | — |
| | ს უ ლ . . . . . . | 36.5 | 22.0 | 3.0 | — | 22.0 | 83.5 | 170.0 |
| სსრკ ქაღალდის მრეწვ. სახ. კომ. ენგურის სატყეო სამრეწვ. მეურნ. | ზემო-სვანეთის სატყეო მეურნეობა | 82.0 | — | — | — | — | 82.0 | — |
| სსრკ გზათა სახ. კომისარიატის ა. კ. რკინიგზის სატყეო განყოფილება | აწყურის სატყეო მეურნ. | 4.0 | — | — | — | — | 4.0 | — |
| | თელავის სატყეო მეურნ. ყვარელი (ავტობლოკი) | — | 0.2 | — | — | — | 0.2 | — |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატკეჩე წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შ ე შ ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის ა. კ. რკინიგზის სატყეო განყოფილება | გურჯაანის სატყეო მეურნ.—ქიაური | — | — | — | 0.5 | — | 0.5 | — |
| | ოჩამჩირის რაიონული სატყეო მეურნ.—ოხური | — | — | — | — | 0.5 | 0.5 | — |
| | სამხრეთ-პანამის აგარაკი | — | 1.5 | — | — | — | 1.5 | 10.0 |
| | ს უ ლ . . . . . . | 4.0 | 1.7 | — | 0.5 | 0.5 | 6.7 | 10.0 |
| სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა | საირმის სატყეო მეურნეობა | 3.0 | — | — | — | — | 3.0 | — |
| თავდაცვის სახ. კომისარიატის „ზაკვოენსტროი" | " " | 3.0 | — | — | — | — | 3.0 | — |
| თბილისის საქალაქო საბჭოს თბილმომარაგება | " " | 3.0 | — | — | — | — | 3.0 | — |
| " | ვანისხევის აგარაკი | 2.0 | — | — | — | — | 2.0 | — |
| საქტყემომარაგება | ქვ.-სვანეთის სატყეო მეურნეობა | | | | | | | |
| საქ. სსრ. ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატისა | კულბაკის აგარაკი | 10.0 | — | — | — | — | 10.0 | — |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატქეჩე წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხეტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| სსრკ ფერადი მეტალურ. სახალხო კომი არიატის „ზაკცვეტმეტრაზვედკა“ | აჭარის სატყეო მეურნეობა | 0.1 | 0.1 | — | — | — | 0.2 | — |
| | ამბროლაურის სატყეო მეურნეობა | 0.1 | 0.1 | — | — | — | 0.2 | — |
| | შოვის საკურორტო სატყეო მეურნეობა | 0.3 | — | — | 0.2 | — | 0.5 | — |
| | ს უ ლ . . . . . . . | 0.5 | 0.2 | — | 0.2 | — | 0.9 | — |
| სამშენებ. მასალათა მრეწვ. მთავ. სამმარ. რაიონული მრეწველობისათვის | სხვადასხვა სატყეო მეურნეობანი | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| სსრკ ქიმიური მრეწვ. სახ. კომისარიატის რაჭის დარიშხანა | ამბროლაურის სატყეო მეურნეობა | 0.5 | — | — | 0.2 | — | 0.7 | 2.0 |
| ზესტაფონის ფეროქარხანა | ბორჯომის სატყეო მეურნ. ქერქმჭამ. დაზიანებული | 0.3 | — | — | — | — | 0.3 | — |
| საქაბრეშუმტრესტი | სხვადასხვა სატყეო მეურნეობა | 0.3 | — | — | — | 0.3 | 0.6 | 1.5 |
| ლიმმანტრესტი | კოლხიდისა და ზუგდიდის სატყეო მეურნეობანი | — | — | — | — | 1.0 | 1.0 | — |
| საქსოფლელექტრო | სხვადასხვა სატყეო მეურნეობა | 0.7 | — | — | 0.3 | — | 1.0 | — |
| გზათა სახალხო კომისარიატის მშენებლობა № 165 | გუდაუთის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 3.0 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატკეჩე წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| სსრკ ქიმიური მრეწვ. სახ. კომისარიატის ცანის დარიშხანი | ქვემო-სვანეთის სატყეო მეურნეობა | 0.2 | — | — | — | — | 0.2 | — |
| | ზემო-სვანეთის სატყეო მეურნეობა | 0.3 | — | — | — | — | 0.3 | 2.0 |
| | ს უ ლ . . . . . . . . | 0.5 | — | — | — | — | 0.5 | 2.0 |
| ფერადი მეტალურ. სახალხო კომისარიატის „კორობირედმეტი“ | ამბროლაურის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| | შოვის სატყეო მეურნეობა | 0.2 | — | — | — | — | 0.2 | — |
| | ს უ ლ . . . . . . . | 0.2 | — | — | — | — | 0.2 | 3.0 |
| სსრკ კვებ. მრეწვ. სახ. კომისარიატის „საქკონსერვნილტრესტი“ | საირმის სატყეო მეურნეობა | — | — | 1.0 | — | — | 1.0 | — |
| | მაიაკოვსკის სატყეო მეურნეობა | 0.5 | — | — | — | — | 0.5 | — |
| | გეგეჭკორის სატყეო მეურნეობა | 0.5 | — | 1.0 | — | — | 1.5 | — |
| | ბზიბის სატყეო მეურნეობა | | | | | | | |
| | ჩერკასის აგარაკი | 7.0 | — | 2.0 | — | 1.0 | 10.0 | — |
| | აფხაზეთის სატყეო მეურნეობა | — | — | 1.0 | — | — | 1 0 | — |
| | ს უ ლ . . . . . . . | 8.0 | — | 5.0 | — | 1.0 | 14.0 | — |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატკეჩე წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| ა/კ. ფრონტის საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველო | კოლხიდის | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| | ხაშურის — მანგლისის | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | თელავის — ახმეტის | — | — | — | — | — | — | 7.0 |
| | გურჯაანის — ქიაურის | — | — | — | 1.5 | — | 1.5 | 21.0 |
| | წალვერის | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| | აბასთუმნის — მაზვილო | — | — | — | — | — | — | 2.0 |
| | აწყურის | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| | ბორჯომის — ბანისხევის აგარაკი | 1.0 | — | — | — | — | 1.0 | 2.0 |
| | ქუთაისის | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| | მაიაკოვსკის | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| | ბოლნისის | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| | აჭარის სატყეო მეურნეობა (კარაშალვა) | — | — | — | — | — | — | 4.0 |
| | ახალი ათონის | — | — | — | — | — | — | 1.5 |
| | ოჩამჩირის | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| | გალის | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| | ხარისთვალის აგარაკი | — | — | — | — | — | — | 2.0 |
| | დუშეთის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| | თბილისის " | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| | ს უ ლ . . . . . . . . | 1.0 | — | — | 1.5 | — | 2.5 | 60.0 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატყეპე წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| გზათა სახალხო კომისარიატის „კავსტროიმატერიალი“ | თელავის—ახმეტის | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| ბათუმის სათბობი განყოფილება | ლანჩხუთის რაიონული სატყეო მეურ. | — | — | — | — | — | — | 7.0 |
| | კარაშალვარის აგარაკი | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველო | თბილისის " | — | — | — | 0,3 | — | 0.3 | 0.3 |
| | ბოლნისის " | — | — | — | 0.2 | — | 0.2 | 0.2 |
| | დუშეთის " | — | — | — | 0.1 | — | 0.1 | 0.2 |
| | ბორჯომის " | 0.1 | — | — | — | — | 0.1 | 0.1 |
| | აჭარის სატყეო მეურნეობა | 0.3 | — | — | 0.3 | — | 0.6 | 0.2 |
| | ენგურის სატყეო სამრეწ. მეურნეობა | 3.0 | — | — | — | — | 3.0 | — |
| საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველო | ადიგენის სატყეო მეურნეობა | 0.5 | — | — | — | — | 0.5 | 0.4 |
| | აფხაზეთის სატყეო მეურნეობა | — | — | — | 0.5 | — | 0.5 | 1.0 |
| | ს უ ლ . . . . . . . | 3.9 | — | — | 1.4 | — | 5.3 | 2.4 |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. მთავარი საგზაო სამმართველო | თბილისის სატყეო მეურნეობა | — | — | — | 0.2 | — | 0.2 | 0.2 |
| | თელავის სატყეო მეურნეობა | — | — | — | 0.2 | — | 0.2 | 0.5 |
| | გურჯაანის " | — | — | — | 0.1 | — | 0.1 | 0.1 |
| | სამხრეთ-ოსეთის სატყეო მეურნეობა | — | — | — | 0.2 | — | 0.2 | 0.3 |
| | ხაშურის " | — | — | — | 0.2 | — | 0.2 | 0.1 |
| | ქუთაისის " | 0.1 | — | — | 0.2 | — | 0.3 | 0.3 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატკეპე წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შ ე შ ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. მთავარი საგზაო სამმართველო | ამბროლაურის სატყეო მეურნეობა | 0.7 | — | — | 0.2 | — | 0.9 | 0.5 |
| | შოვის „ | 0.15 | — | — | — | — | 0.15 | 0.1 |
| | წალენჯიხის „ | 0.1 | — | — | — | — | 0.1 | 0.1 |
| | ენგურის „ | 0.3 | — | — | — | — | 0.3 | 0.1 |
| | ბაკურიანის „ | — | — | — | — | — | — | 0.2 |
| | მაიაკოვსკის „ | — | — | — | 0.2 | — | 0.2 | 0.1 |
| | ადიგენის „ | 0.3 | — | — | — | — | 0.3 | 0.1 |
| | ქვემო-სვანეთის „ | 0.2 | — | — | — | — | 0.2 | 0.2 |
| | აჭყურის „ | 0.1 | — | — | — | — | 0.1 | 0.1 |
| | ს უ ლ . . . . . . . . | 1.95 | — | — | 1.5 | — | 3.45 | 3.0 |
| საქ. სსრ ხორცისა და რძის მრეწვ. სახალხო კომისარიატი | ხაშურის სატყეო მეურნეობა | — | — | 1.0 | — | — | 1.0 | 1.0 |
| ცეკავშირი | აფხაზეთის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 2.5 |
| ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა | ცაგერის „ | — | 0.2 | — | — | — | 0.2 | — |
| | წულუკიძის „ | — | 0.3 | — | — | — | 0.3 | — |
| | საირმის „ | 0,4 | — | 1.0 | — | — | 1.4 | — |
| | ს უ ლ . . . . . . | 0.4 | 0.5 | 1.0 | — | — | 1.9 | — |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატკეჩე წიფელი | მაგართფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| საქსარეწტყეკავშირი | ამბროლაურის სატყეო მეურნეობა ხარის-თვალა | 3.0 | 0.5 | 0.5 | — | — | 4.0 | — |
| | თიანეთის რაისატყეო მეურნ. გადაბერე-ბულ ტყიდან | — | — | 0.5 | — | — | 0.5 | 0.5 |
| | თელავის სატყეო მეურნეობა | — | 2.0 | 3.0 | 0.5 | 0.2 | 5.7 | — |
| | ყვარლის რაიონული სატყეო მეურნეობა | — | 0.4 | 0.5 | 0.1 | — | 1.0 | — |
| | ლაგოდეხის რაიონული სატყეო მეურნ. | — | 0.3 | — | 0.1 | — | 0.4 | — |
| | ბოლნისის სატყეო მეურნეობა | — | 0.7 | — | — | — | 0.7 | 0.5 |
| საქსარეწტყეკავშირი | გურჯაანის სატყეო მეურნეობა | — | 0.5 | — | — | — | 0.5 | — |
| | ალბულაღის რაისატყეო მეურნეობა | — | 0.5 | — | — | — | 0.5 | 0.5 |
| | აფხაზეთის სატყეო მეურნეობა | — | — | 1.0 | 0.5 | 0.5 | 2.0 | — |
| | ბორჩალოს რაისატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | გეგეჭკორის სატყეო მეურნეობა | — | 1.0 | 0.5 | — | — | 1.5 | — |
| | ჩოხატაურის სატყეო მეურნეობა | — | 0.5 | — | — | 0.05 | 0.55 | — |
| | ოჩამჩირის რაისატყეო მეურნეობა | — | 0.5 | — | — | 1 0 | 1.5 | 28.0 |
| | საირმის სატყეო მეურნეობა | — | 0.5 | — | 0.25 | 0.25 | 1.0 | — |
| | ს უ ლ . . . . . . | 3.0 | 7.4 | 6.0 | 1.45 | 2.0 | 20.0 | 30.0 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატკეჩე წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| ტრესტი „საქართველოს ჩაი“ | აჭარის სატყეო მეურნეობა | 1.2 | — | — | — | — | 1.2 | 0.2 |
| | მახარაძის " | — | — | — | — | 0.30 | 0.30 | 0.3 |
| | ჩოხატაურის " | 0.02 | — | — | — | 0.10 | 0.12 | 0.3 |
| | გეგეჭკორის " | 0.16 | — | — | — | 0.55 | 0.71 | 0.3 |
| | ზუგდიდის " | — | — | — | — | 0.30 | 0.30 | 0.5 |
| | აფხაზეთის " | 0.2 | — | — | — | 0.56 | 0.76 | 1.0 |
| | კოლხიდის " | — | — | — | — | 0.04 | 0.04 | 0.4 |
| | ს უ ლ . . . . . . . | 1.58 | — | — | — | 1.85 | 3.43 | 3.0 |
| ტრესტი „საქეთერზეთი“ | ბოლნისის სატყეო მეურნეობა | — | — | — | 0.05 | — | 0.05 | 0.10 |
| | თელავის " | — | — | — | 0.10 | — | 0.10 | 0.40 |
| | გურჯაანის " | - | 0.08 | — | — | — | 0.08 | 0.20 |
| | აფხაზეთის " | — | 0.15 | — | — | — | 0.15 | 0.30 |
| | ს უ ლ . . . . . . . | — | 0.23 | — | 0.15 | — | 0.38 | 1.0 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | ფოთლის მრგვალი ხე-ტყე | სატყეპე წოვლილი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შ ე შ ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| საქ. სსრ კომუნ. მეურნ. სახალხო კომისარიატი | ამბროლაურის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | თეთრიწყაროს " | — | — | — | — | — | — | 0.2 |
| | მაიაკოვსკის " | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | ზემო-სვანეთის " | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | თბილისის " | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | გურჯაანის " | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | ქვემო-სვანეთის " | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | საჩხერის " | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | ყარაიის " | — | — | — | — | — | — | 0.2 |
| | დუშეთის " | — | — | — | — | — | — | 0.4 |
| | თელავის " | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| კომუნ. მეურნ. სახ. კომისარიატი | ზუგდიდის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | ცაგერის " | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | ხობის " | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | მანგლისის " | — | — | — | — | — | — | 0.2 |
| | ჩოხატაურის " | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | ქუთაისის " | — | — | — | — | — | — | 0.2 |
| | ს უ ლ . . . . . . | — | — | — | — | — | — | 5.6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | წიფლის მრგვალი ხე-ტყე | სატყეო წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| საქ. სსრ შინსახკომის სამხ. მშენებ. სამმართველო | გუდაუთის რაიონული სატყეო მეურნ. | — | — | — | — | — | — | 0.2 |
| | გაგრის „ | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | სოხუმის „ | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | აჭარისწყლის „ | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| | ქედის „ | — | — | — | — | — | — | 0.8 |
| | ხულოს „ | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| | ხიქაურის „ | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | თეთრიწყაროს „ | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | ბორჯომის „ | — | — | — | — | — | — | 0.2 |
| | ბოლნისის „ | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| | საირმის—წითელი მინდორი | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| | ბაკურიანის | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| | ადიგენის | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| | ფოთის | — | — | — | — | — | — | 0.2 |
| | აფხაზეთის სატყეო მეურნეობა სამხრეთ-პანამის აგარაკი | — | — | — | — | — | — | 10.0 |
| | ს უ ლ . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | 20.0 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესკაფის ფონდი | წიწვიანი მორგვალი ხე-ტყე | ფოთლოვანი მორგვალი ხე-ტყე | სატყეო წნელი | მაგარმერქნიანი ჯიშის მორგვალი ხე-ტყე | რბილმერქნიანი ჯიშის მორგვალი ხე-ტყე | სულ საქმისი მერქანი | შ ე შ ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| ფოთის სავაჭრო ნავსადგური | კოლხიდის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| თბილისის საქალაქო | კორუღვი | — | — | — | — | — | — | 1.0 |
| სათბობი განყოფილება | ქიაურის აგარაკი | — | — | — | — | — | — | 3.0 |
| | მახარაძე - სუფსა | — | — | — | — | — | — | 5.0 |
| | მახარაძე—ფიჩორა | — | — | — | — | — | — | 5.0 |
| | აფხაზეთის—ატარა | — | — | — | — | — | — | 7.0 |
| | ოჩამჩირის—აკვასკა | — | — | — | — | — | — | 8.0 |
| | ქალადიდის | — | — | — | — | — | — | 5.0 |
| | აფხაზეთის სატყეო მეურნეობა | | | | | | | |
| | სამხრეთ-პანამის აგარაკი | — | — | — | — | — | — | 6.0 |
| | ს უ ლ . . . . . . . | — | — | — | — | — | — | 40.0 |
| **სარეწაო კავშირი** | | | | | | | | |
| არტელი „კერამიკა" | ამბროლაურის | — | — | — | — | — | — | 0.60 |
| სახურავი | შოვის | — | — | — | — | — | — | 0.40 |
| არტ. აგურ-კრამიტი | ამბროლაურის | — | — | — | — | — | — | 0.60 |
| „ „ | მახარაძის | — | — | — | — | — | — | 0.70 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვიანი მრგვალი ხე-ტყე | ფოთლის მრგვალი ხე-ტყე | სატყეო ფოთლი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ საქმისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| ჩოჩხათის კრამიტი | მახარაძის | — | — | — | — | — | — | 0.40 |
| სილნალმშენი | გურჯაანის | — | — | — | — | — | — | 0.50 |
| | ს უ ლ . . . . . . | — | — | — | — | — | — | 3.2 |
| **აფხაზეთის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი** | | | | | | | | |
| კოდორის ხე-ტყის ქარხანა | აფხაზეთის სატყეო მეურნეობა | 10.0 | — | — | — | — | 10.0 | — |
| კოლდახვარის ხე-ტყის ქარხანა | " | 3.0 | — | — | — | — | 3.0 | — |
| გაგიდის " | გინძა-ეწერის | — | — | — | 0.5 | 3.5 | 4.0 | — |
| ოჩამჩირის " | " " | — | — | — | 0.3 | 1.7 | 2.0 | — |
| **აჭარის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი** | | | | | | | | |
| ხულოს ხე-ტყის ქარხანა | აჭარის სატყეო მეურნეობა | 0.5 | — | — | — | — | 0.5 | — |
| ხიჭაურის " " | " | 2.0 | — | — | — | — | 2.0 | — |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვოვანი მრგვალი ხე-ტყე | წიფელის მრგვალი ხე-ტყე | საშპალე წიფელი | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ მაქნისი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| ქედის ადგ. მრეწვ. განყ. | აჭარის სატყეო მეურნეობა | 0.2 | 0.04 | — | 0.03 | 0.04 | 0.31 | — |
| მაიაკოვსკის რაიონის სამრეწველო კომბინატი | მაიაკოვსკის სატყეო მეურნეობა | 0.3 | — | — | 0.05 | 0.05 | 0.40 | — |
| ხობის სამრეწველო კომბინატი | კოლხიდის " " | — | — | — | — | 0.6 | 0,6 | 7.0 |
| ჩხარის სამრეწველო კომბინატი | ამბროლაურის " " | | | | | | | |
| " " | ხარისთვალა | 0.1 | — | — | — | — | 0.1 | — |
| თელავის " " | თელავის " " | — | 1.2 | 0.5 | — | — | 1 7 | — |
| სტალინირის ხე-ტყის ქარხ. | სამხრეთ-ოსეთის " | — | 2.0 | — | — | — | 2.0 | — |
| ჩურისხევის " " | " " | — | 0.5 | — | — | — | 0.5 | — |
| სტალინირის საქალაქო საბჭო | " " | — | 0.3 | — | — | — | 0.3 | 0.5 |
| სამხრეთ-ოსეთის ადგ. მრეწვ. განყ. | სამხრეთ-ოსეთის სატყ. მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 2.0 |
| სამხრეთ-ოსეთის საოლქო ალმას-კომი | " | — | 2.0 | — | — | — | 2.0 | — |
| ახალქალაქის სამრეწვ. კომბინატი | ბაკურიანის " | — | — | — | — | — | — | 0.3 |
| ქუთაისის საქალაქო სამრეწ. კომბ. | ოჩამჩირის | — | — | — | — | 0.5 | 0.5 | 10.0 |
| " " " | ამბროლაურის " | 0.5 | — | — | — | — | 0.5 | — |
| ჩხოროწყუს ადგ. მრეწვ. განყ. | ზუგდიდის | — | — | — | — | 0.3 | 0.3 | — |
| წულუკიძის სამრეწვ. კომბინატი | ქვ. სვანეთის | 0.5 | — | — | — | — | 0.5 | — |
| ზუგდიდის " " | ზუგდიდის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | 1.0 | 1.0 | — |
| ცხაკაიას " " | კოლხიდის " " | — | — | — | — | 0.1 | 0.1 | 6.0 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესკაფის ფონდი | წიწვოვანი მრგვალი ხე-ტყე | ფოთლოვანი მრგვალი ხე-ტყე | სატყეო ნედლეული | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ საქმიანი მერქანი | შეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| ხარისთვალის ხე-ტყის ქარხანა | ამბროლაურის სატყეო მეურნეობა | 1.0 | — | — | — | — | 1.0 | — |
| ფოთის სამრეწვ. კომბინატი | კოლხიდის " " | — | — | — | — | 0.7 | 0.7 | 5.0 |
| ლუხუნის ხე-ტყის ქარხანა | ამბროლაურის " " | 1.0 | — | — | — | — | 1.0 | — |
| წესურის " " | " | 1 0 | — | — | — | — | 1.0 | — |
| ამბროლაურის რაისამრეწვ. კომბ. | " | — | — | — | — | — | — | ·1.4 |
| ცაგერი " " | ქვემო სვანეთის " " | 0.5 | — | — | — | — | 0.5 | — |
| სახერ. ს " " | სამხრეთ-ოსეთის " " | — | 0.3 | — | — | — | 0 3 | — |
| გურჯაანის " " | გურჯაანის " " | — | — | — | — | — | — | 1.5 |
| სიღნაღის " " | " " " | — | — | — | — | — | — | 0.5 |
| ბორჯომის " " | ბორჯომის " " | | | | | | | |
| " " " | ქერქმჭამელათი დაავ. | 0.3 | — | — | — | — | 0.3 | 0.25 |
| " " " | ბაკურიანის, წაღვერისა და ახალდაბის სატყეო მეურნეობა | — | — | — | — | — | — | 0.6 |
| | დვირის " " | — | — | — | — | — | — | 0.15 |
| **ლაგოდეხის სამრეწვ. კომბინატი** | | | | | | | | |
| ნატრუსის ხე-ტყის ქარხანა | გურჯაანის " " | — | 1.0 | 0.5 | — | — | 1.5 | 0.5 |
| ქიაურის " " | " " " | — | — | — | 1.0 | — | 1.0 | 0.5 |

| იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომელთაც გამოეყო ტყესაკაფის ფონდი | იმ სატყეო მეურნეობათა დასახელება, რომლებშიც გამოიყოფა ტყესაკაფის ფონდი | წიწვოვანი მრგვალი ხე-ტყე | ფოთლოვანი მრგვალი ხე-ტყე | საშპალე [illegible] | მაგარფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | რბილფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე | სულ საქმის მერქანი | შ ე შ ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| წალენჯიხის სამრეწვ. კომბ. | ენგურის სატყეო სამრ. მეურნეობა | 0.2 | 0.2 | — | 0.2 | 0.2 | 0.8 | 0.4 |
| ახალციხის " " | აჭყურის სატყეო მეურნეობა | 0.2 | — | — | — | — | 0 2 | — |
| ჭიათურის " " | სამხრეთ-ოსეთის " " | — | 0.3 | — | — | — | 0.3 | — |
| კასპის ცემენტის ქარხანა | ბორჯომის სატყეო მეურნ. ქერქმჭამელათი დაავადებული | 0.2 | — | — | — | — | 0.2 | — |
| | ს უ ლ საქართველოს სსრ-ში | 188.1 | 40.5 | 17.00 | 9.28 | 37.34 | 292.2 | 412.8 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 10

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**1943 წლის წლიური ანგარიშების განხილვისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მათი წარმოდგენის ვადების შესახებ**

საწარმოთა და ორგანიზაციათა 1943 წლის წლიური ანგარიშების დროული შედგენისა და განხილვის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებსა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

ა) დაუყოვნებლივ შეამოწმონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის ჩატარებისა და წლიური ანგარიშების შედგენის სამუშაოთა მდგომარეობა, აღმოუჩინონ საჭირო დახმარება ჩამორჩენილ საწარმოებს და უზრუნველჰყონ ანგარიშების დროული და მაღალხარისხოვანი შედგენა საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ;

ბ) უზრუნველჰყონ მთავარი სამმართველოების, ტრესტებისა და საწარმოების წლიური ანგარიშების გულმოდგინე, დროული განხილვა და დამტკიცება სახალხო კომისარიატების კოლეგიათა სხდომებზე.

2. დადგენილ იქნას შემდეგი ვადები 1943 წლის შეჯამებული წლიური ანგარიშების წარმოდგენისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის და მათი ასლებისა—საქართველოს სსრ ფინსახკომისა, საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და სახბანკისათვის:

1. კვების მრეწვ. სახ. კომისარიატი . . 1944 წ. 1 აპრილი
2. ხორცრძემრეწველობის სახ. კომისარიატი . . . . . . . . . . . . . „ 1 აპრილი
3. საფეიქრო მრეწვ. სახ. კომისარიატი . „ 1 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი 1944 წ. 1 აპრილი
5. ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატი . . . . . . . . . . . „ 1 აპრილი
6. სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი „ 10 მარტი
7. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწვ. მთავარი სამმართველო . . . . . . „ 10 მარტი
8. ვაჭრობის სახ. კომისარიატი . . „ 10 მარტი
9. ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი . . . . . . . . . . „ 5 მარტი
10. წყალთა მეურნეობის სახ. კომისარიატის სამეურნეო ორგანოები . „ 15 იანვარი
11. მიწსახკომის სამეურნეო ორგანოები „ 25 თებერვალი
12. კომუნ. მეურნეობის სახ. კომისარიატის სამეურნეო ორგანოები . „ 25 თებერვალი
13. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო „ 15 თებერვალი
14. ჯანსახკომის სამეურნეო ორგანოები „ 25 თებერვალი
ა ქ ე დ ა ნ:
მთავარი სააფთიაქო სამმართველო „ 1 მარტი
15. განსახკომის სამეურნეო ორგანოები „ 1 თებერვალი
აქედან: სახელგამი „ 10 მარტი
16. სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატის სამეურნეო ორგანოები . „ 1 მარტი
17. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო . . . . . . . . . „ 10 თებერვალი
18. მთავარი საგზაო სამმართველო . „ 20 მარტი
19. ცეკავშირი . . . . . . . . . . „ 1 მარტი
20. სარეწაო კავშირი . . . . . . . . „ 20 აპრილი
21. საქსარეწტყეკავშირი . . . . . . „ 20 აპრილი
22. საქინკოოპკავშირი . . . . . . . „ 20 აპრილი
23. მონკავშირი . . . . . . . . . „ 1 მარტი
24. კომუნალური ბანკი . . . . . . . „ 1 თებერვალი
25. გამომცემლობა „კომუნისტი“ . . „ 10 თებერვალი
26. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ „ 10 თებერვალი
27. საქდესი . . . . . . . . . . . „ 1 თებერვალი
28. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საქრადიოკომიტეტი . . . „ 25 იანვარი

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს განიხილოს სა-

ხალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებების 1943 წლის საბუხჰალტრო შეჯამებული ანგარიშები 10 დღის განმავლობაში დღიდან მათი მიღებისა და წარმოუდგინოს დასკვნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველჰყონ ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური ანგარიშების განხილვისა და დამტკიცების სამუშაოთა დამთავრება, არაუგვიანეს 1944 წლის 15 აპრილისა მოისმინონ თავის სხდომებზე ინფორმაცია წლიური ანგარიშების განხილვის შედეგების შესახებ და შეჯამებული ანგარიშები ახსნაგანმარტებითი ბარათებით წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინსახკომსა და შესაბამის სახალხო კომისარიატებს არაუგვიანეს 1944 წლის 30 აპრილისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 11
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**გურჯაანის რაიაღმასკომის შუამდგომლობა ცალკეულ სოფლებში 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთების გადიდებისა და შემცირების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და გადიდდეს რაიონისათვის დაწესებული სამხედრო გადასახადის განაკვეთი 50%-ით სოფელ არაშენდის, კაჭრეთის, ნანიანის, ყანდაურისა და ბოგდანოვკისათვის.

სოფ. ახაშენის, ჩუმლაყის, კალოუბნის, კოტეხის, ქიტაანისა და კახიპარისათვის სამხედრო გადასახადის რაიონული განაკვეთი შემცირდეს 50%-ით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 12
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. უშედეგოდ იქნას დატოვებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი ქვემოჩამოთვლილი საჩივრები:

1. მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატის სამმართველოს საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებაზე ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის სარჩელისა გამო ფოთის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სატყეო სექტორისადმი 9800 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/577).

2. „ოპტბაკალეის" ბაქოს ბაზის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 8 მარტის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო „ოპტბაკალეის" ბათუმის ბაზისა და ჭიათურის უსინათლოთა საზოგადოებისადმი 3955 მან. და 62 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/35).

3. № 155 მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 15 სექტემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო „გლავრიბის" საქართველოს განყოფილებისადმი 18.585 მან. 64 კაპ. თაობაზე (საქმე № 1/361).

4. „ოპტბაკალეის" ბათუმის ბაზის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 16 აგვისტოს დადგენილებაზე ამიერკავკასიის ფრონტის სამხვაჭრობის თბილისის განყოფილების სარჩელისა გამო მომჩივნისა და არტელ „წითელი მღებავისადმი" 3417 მან. და 38 კაპ. თაობაზე (საქმე № 1/277).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. სარეწაო საბჭოს საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილებაზე არტელ „ახალმშენის“ სარჩელისა გამო „იუველირტორგისადმი“ 2287 მან. და 16 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/57).

6. საქვაჭრობის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 1 სექტემბრის დადგენილებაზე 216-ე სათადარიგო მსროლელი პოლკის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 17678 მან. და 64 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/554).

7. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 26 მარტის დადგენილებაზე წულუკიძის წყალთა რაიონის სარჩელისა გამო საქტყემომარაგებისადმი 13444 მან. და 40 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/32).

8. საქვაჭრობის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 10 სექტემბრის დადგენილებაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 37420 მან. თაობაზე (საქმე № 2/646).

9. ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 15 სექტემბრის დადგენილებაზე ქუთაისის რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სარჩელისა გამო 15.203 მან. თაობაზე (საქმე № 2/586).

10. საქვაჭრობის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 4 აგვისტოს დადგენილებაზე 216-ე სათადარიგო მსროლელი პოლკის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 24960 მან. თაობაზე (საქმე № 2/553).

11. საქკონსერვხილტრესტის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 21/30 აგვისტოს დადგენილებაზე მომჩივნისა და საქკონსერვხილტრესტის მახარაძის კანტორის სარჩელისა გამო თბილხილბოსტანვაჭრობისადმი 65295 მან. თაობაზე (საქმე № 1/428).

12. სპეცვაჭრობის აფხაზეთის განყოფილების საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 15 სექტემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო ლანირ-ქუტირის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებისადმი 34.349 მან. და 46 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/634).

13. ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 26 ივნისის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო ქუთაისის ლიტოპონის ქარხნისადმი 8700 მან. თაობაზე (საქმე № 1/259).

II. „გლავმეტალოსბიტის“ თბილისის კანტორის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 19 ივლისის დადგენილებაზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავნეფტესბიტის“ კრასნოიარსკის სამხარეო სამმართველოს სარჩელისა გამო 7435 მან. თაობაზე (საქმე № 2/433).

ვინაიდან მომჩივანმა წარმოადგინა „გლავნეფტესნაბის“ კრასნოიარსკის საოლქო სამმართველოს შემოწმებული ასლი ცნობისა იმის შესახებ, რომ მან სადაო თანხა უკვე გადარიცხა მესარჩელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე, გაუქმდეს მთავარი არბიტრის 1943 წლის 19 ივლისის დადგენილება და სახელმწიფო არბიტრაჟის 1943 წლის 14/15 ივნისის გადაწყვეტილება და დაევალოს მას კვლავ განიხილოს საქმე.

III. საქართველოს სსრ შინსახკომის შრომა-გასწორების ბანაკებისა და კოლონიების სამმართველოს საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 9 აპრილის დადგენილებაზე თბილხილბოსტანვაჭრობის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 10186 მან. და 30 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/1233).

ვინაიდან მესარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ვერ ასაბუთებენ სარჩელს მისი სრული თანხის რაოდენობით, გაუქმდეს მთავარი არბიტრის 1943 წლის 9 აპრილის დადგენილება და სახელმწიფო არბიტრაჟის 1942 წლის 21/22 დეკემბრის გადაწყვეტილება და დაევალოს სახელმწიფო არბიტრაჟს კვლავ განიხილოს საქმე.

IV. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 14/16 ივნისის დადგენილებაზე მაუდ-კამვოლის ფაბრიკის—„საბჭოთა საქართველოს“ სარჩელისა გამო „აბსოიუზისადმი“ 27460 მან. და 02 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/351).

ვინაიდან: 1) მოპასუხის მიერ მიწოდებული მანდარინის ხარისხის აქტირებაში მონაწილეობის მისაღებად მოსარჩელემ თავის დროზე გამოიწვია მოპასუხის წარმომადგენელი, რის გამო მისი ბრალი არ არის საქხილბოსტნის წარმომადგენლის გამოუწვევლობა; 2) მანდარინის ცუდი ხარისხის შესახებ აქტები შედგენილია იმ მინიმალური ვადის ფარგლებში, რაც საჭიროა მოპასუხის წარმომადგენლის გამოსაცხადებლად; 3) მოსარჩელის მიერ მივლინებულმა გამყოლმა მანდარინი რაოდენობის მიხედვით მიიღო და რომ ხარისხობრივად იგი მიღებული არ ყოფილა; 4) მანდარინის ტარა მოპასუხემ, მისი განცხადების თანახმად, ჩააბარა ცეკავშირის ტარის ბაზას, რომლის სისტემაშიც შედის თვით მოპასუხე და, მაშასადამე, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ მოსარჩელეს დაეკავოს საწინდრად შეტანილი თანხები, გაუქმდეს მთავარი არბიტრის 1943 წლის 15/16 ივნისის დადგენილება და დაევალოს სახელმწიფო არბიტრაჟს კვლავ განიხილოს საქმე.

V. ს. ორჯონიკიძის სახელობის № 201 ქარხნის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 10 აგვისტოს დადგენილებაზე მომჩივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სარჩელისა გამო № 89109 სამხედრო ნაწილისადმი 2910 მან. თაობაზე (საქმე № 2/495).

რადგან დადასტურებულია, რომ მოპასუხემ შეუკვეთა და მიიღო მესარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოები, სახელმწიფო არბიტრაჟმა უმართებულოდ უარყო სარჩელი იმ მოტივით, რომ სამუშაოები შესრულებული იყო სანატორიუმის ელექტროსადგურისათვის, რომელიც მოპასუხეს დროებით ეკავა და ამჟამად კი დაუბრუნდა უკანასკნელს, რომ საქმის ვითარების გამო საჭირო იყო გამოეწვიათ როგორც მესამე პირი, მოპასუხის მხარეზე „პირველი მაისის" სახელობის სანატორიუმი და, მოპასუხისა და მესამე პირის ურთიერთდამოკიდებულების გამორკვევის შემდეგ, გამოეტანათ გადაწყვეტილება მოპასუხის ან მესამე პირის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, გაუქმდეს მთავარი არბიტრის 1943 წლის 10 აგვისტოს დადგენილება და სახელმწიფო არბიტრაჟის 1943 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და დაევალოს სახელმწიფო არბიტრაჟს კვლავ განიხილოს საქმე.

VI. ტრესტ საქმინწყლების საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 26 აგვისტოს—17 სექტემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო საქვაჭრობისადმი 47.732 მან. თაობაზე (საქმე № 2/707).

იმის გამო, რომ ტარის ფასების იმ პრეისკურანტების თანახმად, რაც დამტკიცებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წლის 19 ივლისის № 603 დადგენილებით და სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1941 წლის 17 თებერვლის № 3/80 წერილით მოცემული განმარტების თანახმად, შუშის ტარის თავის დროზე დაუბრუნებლობისათვის ჯარიმა გამოანგარიშებულ უნდა იქნას პირობითი (საწინდრის) ფასის საფუძველზე, გაუქმდეს მთავარი არბიტრის 1943 წლის 20 აგვისტოს—17 სექტემბრის დადგენილება და დაევალოს სახელმწიფო არბიტრაჟს კვლავ განიხილოს საქმე.

VII. თბილისის საქალაქო აღმასკომის მილ-ღუმელების მშენებლობის ტრესტის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 28 სექტემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო „ტრანსტორგპიტის" № 43 სასადილოსადმი 4001 მან. და 60 კაპ. თაობაზე (საქმე № 1/343)

ვინაიდან სახელმწიფო არბიტრაჟმა უმართებულოდ უარჰყო სარჩელი იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი არ ყოფილა მოსარჩელის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტი, რითაც დაარღვია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1940 წლის 17 სექტემბრის № გა—20 საინსტრუქციო წერილის 1 მუხლის „ბ" პუნქტი, მით უმეტეს. რომ მოსარჩელის მიერ სამუშაოთა შესრულების ფაქტი დადასტურებულია საქმეში

არსებული აქტით, რომელსაც ხელს აწერს სასადილოს გამგე, — გაუქმდეს მთავარი არბიტრის 1943 წლის 28 სექტემბრის დადგენილება და სახელმწიფო არბიტრაჟის 1943 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება და დაევალოს სახელმწიფო არბიტრაჟს კვლავ განიხილოს საქმე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 13

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ხორცის, რძისა და კვერცხის სავალდებულო ჩაბარების 1944 წლის I კვარტალის დავალებათა შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ხორცის, რძისა და კვერცხის სავალდებულო ჩაბარების 1944 წლის I კვარტალის დავალებანი, რაშიაც ჩათვლილ იქნას ნარჩენების დაფარვის ანგარიშში შემოსული 37.000 ცენტნერი ხორცი, აქედან წითელი არმიის ხორცის ფონდში—6.000 ცენტნერი, 17.000 ცენტნერი (ანუ 16.474 ჰექტოლიტრი) რძე და 1500 ათასი ცალი კვერცხი, რაც განაწილდეს ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა და რაიონებს შორის, დანართის თანახმად.

2. განემარტოს რაიაღმასკომებს, რომ 1943 წლის IV კვარტალში ავანსად ჩაბარებული ხორცი 1944 წლის ვალდებულებათა ანგარიშში მთლიანად ჩათვლილია 1944 წლის პირველი კვარტალის ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებაში და რომ ამ დადგენილებით დაწესებული 1944 წლის I კვარტალის ხორცის ჩაბარების დავალება შესრულებულ უნდა იქნას ჩაბარებულ ავანსზე გადამეტებით.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და რაიაღმასკომებს:

ა) დაუყოვნებლივ გაშალონ პირუტყვის, რძისა (ერბო-კარაქისა და ყველისა) და კვერცხის დამზადება, დაუწესონ სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს ხუთდღიური დავალებანი, სისტემატურად შეამოწმონ მათი შესრულება და უზრუნველჰყონ ამ დადგენილებით დაწესებულ დამზადებათა გეგმების უცილობელი შესრულება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარსულ წელთა ნარჩენების პირველ რიგში დაფარვას და 1944 წლის ვალდებულებათა

შესრულებას კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მხრივ და იმათ წინააღმდეგ, ვინც თავს აარიდებს თავის ვალდებულებათა შესრულებას, გამოიყენონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით გათვალისწინებული ზომები.

4. დაევალოს ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ბერიშვილს არ დაუშვას არსებული რძის მიმღები ქსელის შემცირება, სრულად დააკომპლექტოს მიმღები პუნქტები რძის შემგროვებლებით და უზრუნველჰყოს მათი შეუფერხებელი მუშაობა.

5. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმს გააძლიეროს ერბო-კარაქის, ყველისა და კვერცხის დამამზადებელ კანტორათა მუშაობა და გააფართოოს საკალათო-შემგროვებელი აპარატის ქსელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 5/I
№ 13 დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დავალებანი

## ხორცის, რძისა და კვერცხის სავალდებულო ჩაბარებისა 1944 წლის I კვარტალისათვის

| რაიონები | ხორცი (ცენტნერობით) | | რძე (ჰექტოლიტრობით) | კვერცხი (ათას ცალობით) |
|---|---|---|---|---|
| | სულ | აქედან წითელი არმიის ფონდი | | |
| 1. ადიგენის რაიონი . . | 610 | 48 | 84 | 21 |
| 2. ასპინძის „ . . | 220 | 80 | 160 | 17 |
| 3. ახალქალაქის „ . | 1700 | 355 | 1300 | 65 |
| 4. ახალციხის „ . . | 840 | 100 | 185 | 25 |
| 5. ბაშქიჩეთის „ . . | 1040 | 220 | 770 | 22 |
| 6. ბოგდანოვკის „ . . | 1240 | 270 | 1000 | 30 |
| 7. ბორჩალოს „ . . | 1500 | 250 | 660 | 33 |
| 8. ბორჯომის „ . . | 660 | 90 | 320 | 11 |
| 9. გორის „ . . | 800 | 140 | 220 | 45 |
| 10. გურჯაანის „ . . | 700 | 170 | 300 | 44 |
| 11. დუშეთის „ . . | 830 | 180 | 485 | 31 |
| 12. თბილისის „ . . | 860 | 170 | 600 | 34 |
| 13. თელავის „ . . | 2000 | 345 | 600 | 52 |
| 14. თეთრიწყაროს „ . . | 1330 | 210 | 800 | 60 |
| 15. თიანეთის „ . . | 370 | 85 | 200 | 16 |
| 16. კასპის „ . . | 750 | 90 | 200 | 23 |
| 17. ლაგოდეხის „ . . | 380 | 74 | 240 | 25 |
| 18. ბოლნისის „ . . | 1000 | 135 | 270 | 27 |
| 19. მცხეთის „ . . | 450 | 36 | 130 | 16 |
| 20. საგარეჯოს „ . . | 980 | 190 | 400 | 36 |
| 21. სიღნაღის „ . . | 1440 | 420 | 500 | 43 |
| 22. ქარელის „ . . | 620 | 87 | 120 | 30 |
| 23. ყაზბეგის „ . . | — | — | 150 | — |
| 24. ყარაიის „ . . | 270 | 60 | 140 | 15 |
| 25. ყვარლის „ . . | 900 | 96 | 170 | 25 |
| 26. წალკის „ . | 1700 | 280 | 1100 | 46 |
| 27. წითელწყაროს „ . | 1220 | 420 | 740 | 32 |
| 28. ხაშურის „ . . | 580 | 54 | 130 | 27 |
| 29. სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 2100 | 250 | 820 | 53 |
| 30. აბაშის რაიონი . . | 100 | 36 | 120 | 23 |
| 31. ამბროლაურის „ . . | 270 | 48 | 110 | 21 |
| 32. გეგეჭკორის „ . . | 220 | 42 | 110 | 21 |
| 33. ვანის „ . . | 340 | 30 | 90 | 18 |
| 34. ზესტაფონის „ . . | 200 | 22 | 80 | 12 |
| 35. ზუგდიდის „ . . | 100 | 45 | 180 | 34 |
| 36. ლანჩხუთის „ . . | 210 | 45 | 125 | 15 |
| 37. მაიაკოვსკის „ . . | 330 | 24 | 40 | 10 |
| 38. მახარაძის „ . . | 100 | 42 | 105 | 9 |
| 39. ონის „ . . | 370 | 60 | 100 | 12 |
| 40. ორჯონიკიძის „ . . | 310 | 30 | 70 | 17 |
| 41. სამტრედიის „ . . | 360 | 30 | 90 | 21 |
| 42. საჩხერის „ . . | 350 | 33 | 80 | 25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | ხორცი (ცენტნერობით) | | რძე (ჰექტო-ლიტრობით) | კვერცხი (ათას ცა-ლობით) |
|---|---|---|---|---|
| | ს უ ლ | აქედან წი-თელი არმიის ფონდი | | |
| 43. ტყიბულის " . . | 300 | 18 | 45 | 9 |
| 44. ქუთაისის " . . | 330 | 25 | 100 | 27 |
| 45. ჩოხატაურის " . . | 350 | 40 | 100 | 13 |
| 46. ჩხარის " . . | 270 | 21 | 60 | 13 |
| 47. ჩხოროწყუს " . . | 350 | 45 | 85 | 11 |
| 48. ცაგერის " . . | 310 | 42 | 75 | 15 |
| 49. ცხაკაიას " . . | 150 | 42 | 125 | 21 |
| 50. წალენჯიხის " . . | 50 | 22 | 70 | 11 |
| 51. წულუკიძის " . . | 320 | 27 | 80 | 22 |
| 52. წყალტუბოს " . . | 110 | 21 | 80 | 18 |
| 53. ჭიათურის " . . | 430 | 23 | 60 | 22 |
| 54. ხობის " . . | 170 | 21 | 85 | 15 |
| 55. ფოთის " . . | 10 | 2 | 15 | 2 |
| 56. აფხაზეთის ასსრ . . | 1600 | 175 | 1100 | 129 |
| 57. აჭარის ასსრ . . . . | 1900 | 84 | 300 | 30 |
| სულ რესპუბლიკაში | 37000 | 6000 | 16474 ანუ 17000 ცენტნერი | 1500 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 14

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ-ში დაუსწრებელი პედაგოგიური განათლების სისტემის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 18 დეკემბრის № 1398 დადგენილების განხორციელებისა და პედაგოგიურ განათლებას მოკლებულ მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დაუსწრებელ განყოფილებათა ქსელი საქართველოს სსრ განსახკომის პედაგოგიურ სასწავლებლებთან, სამასწავლებლო და პედაგოგიურ ინსტიტუტებთან და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 7625 მოსწავლის კონტინგენტით 1943-1944 სასწავლო წლისათვის, № 1 და 2 დანართების თანახმად.

2. რეორგანიზებულ იქნას თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედაგოგიური განყოფილება თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებად, ამასთან დაკავშირებით:

ა) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსების სტუდენტთა სწავლება ჩატარებულ იქნას უნივერსიტეტის სასწავლო გეგმებით, ხოლო დანარჩენ სალიკვიდაციო კურსებზე მეცადინეობა წარმოებულ იქნას პედაგოგიური ინსტიტუტის მოქმედი სასწავლო გეგმებით;

ბ) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედაგოგიური განყოფილების პირველი და მეორე კურსების მოსწავლეთა კონტინგენტი, რომელიც სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სწავლობს, გადაეცეს თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებას.

3. დადგენილ იქნას, რომ საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებლები, რომელთაც არა აქვთ პედაგოგიური განათლება, ვალდებული არიან დაამთავრონ შესაბამისი დაუსწრებელი პედაგოგიური სასწავლებელი შემდეგ ვადებში: 1-4 კლასების მასწავლებლებმა უნდა დაამთავრონ პედაგოგიური სასწავლებელი 1947 წლის 1 აგვისტოსათვის, 5-7 კლასების მასწავლებლებმა—სამასწავლებლო ინსტიტუტი 1946 წლის 1 აგვისტოსათვის და 8-10 კლასების მასწავლებლებმა—პედაგოგიური ინსტიტუტი ან უნივერსიტეტი 1948 წლის 1 აგვისტოსათვის.

4. განთავისუფლდნენ სწავლის ქირისაგან დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებლები, რომლებიც დამაკმაყოფილებლად სწავლობენ პედაგოგიურ სასწავლებელთა დაუსწრებელ განყოფილებებზე.

5. მასწავლებელ-დაუსწრებელთა სესიებზე გამგზავრებისა და უკან დაბრუნების საგზაო ხარჯები გაწეულ იქნას დაუსწრებელი სწავლებისათვის გაღებულ სახსართა ხარჯზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომსა და ფინსახკომს ერთი თვის განმავლობაში გამოსცენ ინსტრუქცია მასწავლებელ-დაუსწრებელთათვის სპეციალური ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განსახკომს დახარჯოს ყოველწლიურად მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების საერთო თანხის 1%-მდე დაუსწრებელი სწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის სახალხო განათლების რაიონული განყოფილებების, სკოლების, პედაგოგიური სასწავლებლების, სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების, უნივერსიტეტის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და აგრეთვე ყველაზე წარჩინებულ მასწავლებელ-დაუსწრებელთა დასაჯილდოებლად.

8. პერსონალური პასუხისმგებლობა მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლების მდგომარეობისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისრებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

9. პედაგოგიურ სასწავლებლებთან არსებულ დაუსწრებელი სწავლების განყოფილებათა შესაბამისი მეთოდიური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისა, აგრეთვე სამეცნიერო-მეთოდიური საკითხების დამუშავებისა და დაუსწრებელი სწავლების სასწავლო-მეთოდიური მასალების გამოცემის მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს მოეწყოს საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლეს სკოლათა სამმართვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოსთან დაუსწრებელი სწავლების სამეცნიერო-მეთოდიური კაბინეტი 5 ერთეულის შტატით.

შეყვანილ იქნან დამატებით საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლეს სკოლათა სამმართველოს შტატში დაუსწრებელი სწავლების სამი ინსპექტორი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების შტატებში—თითო ინსპექტორი.

10. დაწესდეს ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები საქართველოს სსრ განსახკომის უნივერსიტეტთან, პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებთან არსებულ დაუსწრებელ განყოფილებათა ხელმძღვანელი და სასწავლო-დამხმარე პერსონალისათვის 10%-ით ნაკლები ხელფასის იმ განაკვეთებზე, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების შესაბამის მუშაკთათვის.

11. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს:

ა) უზრუნველჰყოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოთა საშუალებით სულ მცირე სამ თვეში ერთჯერ იმის პერსონალური შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ მასწავლებელ-დაუსწრებლები სასწავლო დავალებებს;

ბ) გაანთავისუფლოს მასწავლებელ-დაუსწრებლები ყოველგვარი სწავლის გარეშე მუშაობისაგან კვირაში 4 საღამოს განმავლობაში, გამოსასვლელი დღის ჩაუთვლელად, და აგრეთვე უზრუნველჰყოს ისინი რვეულებით ისე, რომ თვითეულ დაუსწრებელზე მოდიოდეს წელიწადში 15 ცალი;

გ) ორი კვირის განმავლობაში გამოიმუშაოს მასწავლებელ-დაუსწრებელთათვის სასწავლო წიგნების, სასწავლო სახელმძღვანელოების, პროგრამებისა და მეთოდიური მითითებების გამოცემის გეგმა და უზრუნველჰყოს მათი გამოცემა;

დ) მოაწყოს 1944 წლის 1 იანვრიდან მასწავლებელ-დაუსწრებელთათვის საკონსულტაციო პუნქტები (სარაიონთაშორისო) ცხაკაიას, სამტრედიის, ზესტაფონის, ხაშურის, ახალციხის, სიღნაღის, ონისა და ბორჩალოს რაიონებში. საკონსულტაციო პუნქტების მომსახურება აწარმოოს შესაბამისი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობით.

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს 1944 წლის I და II კვარტალების გეგმებში შესაძლებელი რაოდენობის ქაღალდის გამოყოფა განსახკომის განკარგულებაში მიზნობრივი დანიშნულებით დაუსწრებელი პედაგოგიური განათლებისათვის.

13. დაევალოს განსახკომსა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლის კომი-

ტეტს მოაწყონ თბილისისა და ადგილობრივ რადიომაუწყებელ სადგურთა საშუალებით ლექციებისა და კონსულტაციების სპეციალური გადაცემანი მასწავლებელ-დაუსწრებელთათვის.

14. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს კვებით საქართველოს სსრ განსახკომის განაცხადთა მიხედვით პედაგოგიური სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებათა მოსწავლეები სესიასა და კონსულტაციებზე მათი მუშაობის პერიოდში, თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 10 თებერვლის № 145 დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების კვების გაუმჯობესების შესახებ“.

15. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს დაუყოვნებლივ წარუდგინოს დამატებითი განაცხადი სსრ კავშირის ფინსახკომს, რათა შეიტანოს საქართველოს სსრ 1944 წლის ბიუჯეტში სახსრები მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლების ქსელის გასაფართოებლად საჭირო დამატებითი ხარჯებისათვის, ამ დადგენილების თანახმად.

16. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაავალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საშტატო კომისიას დაამტკიცოს:

ა) საქართველოს სსრ განსახკომის პედაგოგიურ სასწავლებლებთან, სამასწავლებლო და პედაგოგიურ ინსტიტუტებთან არსებულ დაუსწრებელ განყოფილებათა შტატი;

ბ) საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლეს სკოლათა სამმართველოსთან არსებული დაუსწრებელი სწავლების სამეცნიერო-მეთოდიური კაბინეტის შტატი;

გ) საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლეს სკოლათა სამმართველოს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებისა და სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების დაუსწრებელი სწავლების ინსპექტორების შტატი;

დ) საქართველოს სსრ განსახკომის საკონსულტაციო პუნქტების შტატი.

17. დაევალოს განსახკომს—ამხ. კიკნაძეს 1944 წლის 1 აპრილისათვის წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს წერილობითი ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 5/I
№ 14 დადგენილების დანართი № 1

# ქსელი და კონტინგენტი

## თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელი განყოფილებებისა

| დაუსწრებელ განყოფილებათა დასახელება | სასწავლებელთა ადგილსამყოფელი | გარდამავალი კონტინგენტი 1944 წლის 1 იანვრისათვის | გამოშვება | მიღება 1944 წ. იანვარში | მიღება 1944 წ. სექტემბერში | კონტინგენტი 1944 წლის დამლევისათვის |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დაუსწრებელი განყოფილება თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან . . | ქ. თბილისი | 1869 | 184 | — | 800 | 2485 |
| 2. ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან . . . . . . . . . . . . . . | ქ. ქუთაისი | — | — | 500 | 600 | 1100 |
| 3. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტთან . . . . . . | ქ. გორი | — | — | 250 | 150 | 400 |
| 4. სოხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან . . . . . . . . . . . . . . | ქ. სოხუმი | — | — | 300 | 300 | 600 |
| 5. სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტთან . . . . | ქ. სტალინირი | — | — | 100 | 100 | 200 |
| 6. თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან . . . . . . . . . . . . . | ქ. თბილისი | — | — | 400 | 700 | 1100 |
| 7. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან . . . . . . . . . . | ქ. ბათუმი | — | — | 200 | 250 | 450 |
| 8. ზუგდიდის ა. წერეთლის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან . . . . . . . . . . | ქ. ზუგდიდი | — | — | 150 | 150 | 300 |
| 9. თელავის გოგებაშვილის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან . . . . . . . . . . | ქ. თელავი | — | — | 125 | 125 | 250 |
| | | 1869 | 184 | 2025 | 3175 | 6885 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 5/1
№ 14 დადგენილების დანართი № 2

# ქსელი და კონტინგენტი

**საქართველოს სსრ განსახკომის პედაგოგიურ სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებებისა 1944 წლისათვის**

| სასწავლებელთა დასახელება | სასწავლებელთა ადგილსამყოფელი | გარდამავალი კონტინგენტი 1944 წლის 1 იანვრისათვის | გამოშვება | მიღება: 1944 წლის იანვარში | მიღება: 1941 წლის სექტემბერში | კონტინგენტი 1944 წლის დამლევისათვის |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჩალოს პედაგოგიური სასწავლებელი | სარვანი | 150 | — | — | 50 | 200 |
| 2. ახალციხის პედსასწავლებელი | ქ. ახალციხე | 150 | — | — | 50 | 200 |
| 3. თბილისის პედსასწავლებელი | ქ. თბილისი | — | — | 75 | — | 75 |
| 4. ქუთაისის პედსასწავლებელი | ქ. ქუთაისი | — | — | 50 | — | 50 |
| 5. ბათუმის პედსასწავლებელი | ქ. ბათუმი | — | — | 60 | — | 60 |
| 6. სტალინირის პედსასწავლებელი | ქ. სტალინირი | — | — | 85 | — | 85 |
| 7. სოხუმის პედსასწავლებელი | ქ. სოხუმი | — | — | 70 | — | 70 |
| | | 300 | — | 340 | 100 | 740 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 17

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**თრიალეთის გზის (თბილისი—წალკა) საგაზაფხულო რემონტის ჩატარებისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსს ამხ. ბირკაიას დაუყოვნებლივ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას თრიალეთის გზის (თბილისი—წალკა) საგაზაფხულო რემონტის ჩატარებისათვის, რისთვისაც:

ა) 1944 წლის 1 აპრილამდე უზრუნველჰყოს 10 ათასი კუბ. მეტრი ღორღის დამზადება, რაც ნაწილობრივ გაზიდოს და ჩამოარიგოს გზაზე;

ბ) ორი თვის განმავლობაში შეაკეთოს და სამუშაო მდგომარეობაში მოიყვანოს ყველა საგზაო მექანიზმი (3 ტრაქტორი, 2 სატკეპნი და 3 ქვისსამტვრევი);

გ) უზრუნველჰყოს ქვის დასამზადებელი სამუშაოები ფეთქადი მასალებითა და სამუშაოთა ჩატარებისათვის საჭირო საბურღი და სხვა ინსტრუმენტებით.

2. დაევალოს თეთრიწყაროს, წალკისა და თბილისის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) მიმდინარე წლის 25 იანვრიდან 1 აპრილამდე გამოჰყონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს განკარგულებაში დაქირავებული მუშახელი: კალატოზები, ღორღმტეხლები, საზიდები და მეურმეები შემდეგი რაოდენობით:

| | | |
|---|---|---|
| თეთრიწყაროს რაიონი: | კალატოზები და ღორღმტეხლები | 100 კაცი |
| | საზიდები გამყოლებით . . . . | 15 |
| წალკის რაიონი: | ღორღმტეხლები . . . . . . . . | 80 კაცი |
| | საზიდები გამყოლებით . . . . | 20 |

| | | |
|---|---|---|
| თბილისის რაიონი: | ლორომტეხლები . . . . . . . | 40 კაცი |
| | საზიდების გამყოლები . . . | 10 „ |

ბ) უზრუნველჰყონ I კვარტალში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება თრიალეთის გზაზე 1944 წლისათვის 50%-ით მაინც.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს პურითა და, შესაძლებლობისდაგვარად, კვების სხვა პროდუქტებით თრიალეთის გზის რემონტისათვის მოსამზადებელ სამუშაოებში ჩაბმული დაქირავებული მუშები 280 კაცის რაოდენობით.

4. დაევალოს ცეკავშირს მიჰყიდოს გზის მშენებლობაზე მომუშავე კოლმეურნეობებს 280 ცალი ტყავის უსახელოებო ქურთუკი ან ქათიბი და აგრეთვე დაბამბული შარვლები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 18

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესლის გამოყოფისა და მომზადების მიმდინარეობის შესახებ

მიუხედავად ვადის გასვლისა, საგაზაფხულო კულტურების სათესი მასალის გამოყოფა და მომზადება 1944 წლის გაზაფხულისათვის დამთავრებული ჯერაც არ არის, ხოლო ზოგიერთ რაიონში საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი საგაზაფხულო კულტურების თესლის გარშემო. 1944 წლის 1 იანვრისათვის სათესლე ფონდების გამოყოფის გეგმა მარცვლოვანი კულტურების დარგში შესრულებულია 98,9%-ით (გამოყოფილია 378633 ცენტნერი, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებულია 382980 ცენტნერი); კარტოფილის დარგში—72,2%-ით (გამოყოფილია 351387 ცენტნერი, ხოლო გეგმით გათვალისწინებულია 486360 ცენტნერი); მზისუმზირის დარგში—95,4%-ით (გამოყოფილია 3148 ცენტნერი და გეგმით კი გათვალისწინებულია 3300 ცენტნერი); ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების დარგში—მხოლოდ 25%-ით (გამოყოფილია 130 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 455 ცენტნერისა) და მრავალწლიანი ბალახების დარგში მხოლოდ 23%-ით (გამოყოფილია 913 ცენტნერი, მაშინ როდესაც გეგმა ითვალისწინებს 3968 ცენტნერს).

მარცვლოვანი კულტურების სათესლე ფონდების გამოყოფა ჯერაც არ დაუმთავრებიათ შემდეგ რაიონებს: ახალციხისას (94,2%), ქარელისას (53%), გორისას (74,1%), თეთრიწყაროსას (92%), გურჯაანისას(45,6%), სიღნაღისას (80,9%), წითელწყაროსას (87,7%), თელავისას (83,4%), ყვარლისას (83,2%), თბილისისას (69,5%), მცხეთისას (72,6%), ბოლნისისას (94,3%), საგარეჯოსას (80,2%), ბაშქიჩეთისას (37,4%), აბაშისას (94,2%), წალენჯიხისას (96,3%), ჩოხატაურისას (73,1%) და აგრეთვე ფოთის, ქუთაისის, წულუკიძის, ჭიათურის, ორჯონიკიძისა და ამბროლაურის რაიონებს.

58 რაიონიდან მიწსახკომს მოეპოვება მხოლოდ 23 რაიონის ცნობები ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების თესლის გამოყოფის შესახებ; ამასთან, ცნობები არ წარმოუდგენიათ ისეთ წამყვან რაიონებს, როგორიც არის ქუთაისის, გორისა და ახალციხის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების თესლის გამოყოფის საქმე მეტად ცუდ მდგომარეობაშია მცხეთის, დუშეთის, ბოლნისის, წყალტუბოსა და სხვა რაიონებში.

ჯერ კიდევ არც ერთ რაიონს არ დაუმთავრებია მრავალწლოვანი ბალახების თესლის გამოყოფა, ხოლო ხაშურის, ქარელის, გურჯაანის, ყვარლისა და ბოლნისის რაიონები თესლის გამოყოფას არც კი შესდგომიან.

დაუშვებლად ჩამორჩება თესლის გაწმენდა და სათეს თვისებათა შემოწმება. 1944 წლის 1 იანვრისათვის თავთავიანი კულტურების გაწმენდის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 32,3%-ით (გაწმენდილია 83074 ცენტნერი, მაშინ როდესაც გეგმით უნდა გაწმენდილიყო 257240 ცენტნერი). დიდი ჩამორჩენა აქვთ თესლის გაწმენდაში ახალქალაქის რაიონს (11%), ბოგდანოვკის რაიონს (10,9%), ბორჯომის რაიონს (7%), ყვარლის რაიონს (33,9%), ადიგენის, ხაშურის, ქარელის, გურჯაანის, წითელწყაროსა და ბაშქიჩეთის რაიონებს.

თესლის სათეს თვისებათა შემოწმებას საკონტროლო-სათესლე ლაბორატორიებში შეუდგა მხოლოდ 14 რაიონი.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში შემოწმებულ 4950 ცენტნერიდან არაკონდიციური გამოდგა 1895 ცენტნერი, ხოლო მცხეთის რაიონში მთელი შემოწმებული 753 ცენტნერი სრულიად არაკონდიციური აღმოჩნდა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარესა და ყველა რაიაღმასკომის თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ მიიღონ გადამწყვეტი ზომები და სავსებით უზრუნველჰყონ თესლით საგაზაფხულო თესვის გეგმა, რისთვისაც:

ა) ერთი კვირის განმავლობაში შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან საგაზაფხულო კულტურების თესლით, და აუცილებლივ დაამთავრონ ყველა მარცვლოვანი კულტურის, კარტოფილის, მზისუმზირის, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და ბალახების სათესლე ფონდების გამოყოფა არაუგვიანეს 1944 წლის 25 იანვრისა;

ბ) მოაწყონ მუშაობა თესლის ასაყვანად სათეს კონდიციებამდე — გაწმენდა, დახარისხება და აგრეთვე მათი სათესი თვისებების შემოწმება საკონტროლო-სათესლე ლაბორატორიებში იმ ანგარიშით,

რომ პირველი მთლიანი შემოწმება დამთავრდეს 1944 წლის 5 თებერვლისათვის;

გ) გამოარკვიონ კოლმეურნეობები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი საგაზაფხულო კულტურების თესვისათვის საჭირო თესლით და აგრეთვე ის კოლმეურნეობები, რომელთაც ზედმეტი რაოდენობის თესლი მოეპოვებათ, და დასახონ თვითეული კოლმეურნეობისათვის ცალცალკე სათესლე მასალის დეფიციტის დაფარვის უზრუნველმყოფი ღონისძიებანი, რისთვისაც გამოიყენონ სადაზღვევო ფონდები, სასურსათო მარცვალი და აგრეთვე მოაწყონ საკოლმეურნეობათაშორისო გაცვლა-გამოცვლა და დახმარება;

დ) გამოარკვიონ ყოველ კოლმეურნეობაში საწამლავ მასალათა მოთხოვნილება თესლის შესაწამლავად და მოაწყონ მათი შესყიდვა და კოლმეურნეობათა მიერ გატანა საქსოფლმომარაგების ბაზებიდან;

ე) გამოავლინონ კოლმეურნეობებში არსებული ყველა მარცვალსაწმენდი მანქანა, მოიყვანონ ისინი სრულ მზადყოფნაში, შეადგინონ მათი გამოყენების გრაფიკი, დააწესონ ყოველი მანქანისათვის თესლის გაწმენდის გეგმა, გამომუშავების დღიური ნორმა და აღრიცხონ ამ მანქანების მუშაობა სრული დატვირთვით და არანაკლებ 16 საათისა დღეღამეში.

ისეთი სათესლე მასალის გაწმენდა, რომელიც არ შეიძლება გატარდეს მარცვალსაწმენდ მანქანებში, წარმოებულ იქნას ხელით და ამ მუშაობაში ჩააბან კოლმეურნე ქალები და მოზარდები.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება, მიაღწიოს უფრო ზუსტ და სრულ ცნობათა მიღებას სათესლე ფონდების მდგომარეობის შესახებ, გააუმჯობესოს ძირეული სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელობა და უზრუნველჰყოს უფრო კონკრეტული დახმარების გაწევა რაიონებისათვის საგაზაფხულო კულტურების თესლის გამოყოფისა და გაწმენდის საქმეში.

3. დაევალოს მიწსახკომს სისტემატურად მოახსენოს სახკომსაბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 5 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 24
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სკოლებში მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის ციფრობლივი—ხუთბალიანი შეფასების სისტემის შემოღების შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 11 იანვრის № 35 დადგენილების განხორციელებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის უფრო მკაფიოდ და ზუსტად შეფასებისა და მათი ცოდნის ხარისხისადმი მოთხოვნის ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ სკოლებში მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასების დღემდე არსებული სიტყვიერი სისტემა—ფრიადი, კარგი, საშუალო, ცუდი, ძლიერ ცუდი,—შეიცვალოს შეფასების ხუთბალიანი ციფრობლივი სისტემით: 5, 4, 3, 2, 1.

2. მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასების ხუთბალიანი სისტემა შემოღებულ იქნას საქართველოს სსრ სკოლებში 1944 წლის 11 იანვრიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 11 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 25

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ლაგოდეხის რაიონის სოფ. ქვ. ნაშოვარში მცხოვრებ მოქ. მატრონე ნიკოლოზის-ასულ ბუხრაშვილის 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილებულ იქნას ლაგოდეხის რაიაღმასკომის შუამდგომლობა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 26 მუხ. შესაბამისად განთავისუფლდეს ხანძრით დაზარალებული მოქ. მატრონე ნიკოლოზის-ასული ბუხრაშვილის მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან 719 მან. 20 კაპ. რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 11 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 27

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**შორეული პუნქტებიდან მარცვლის გამოზიდვის მიმდინარეობის შესახებ**

აღინიშნოს, რომ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პურის გამოზიდვა შორეული პუნქტებიდან „ზაგოტზერნოს" სასადგურო პუნქტებში.

9053 ტონა მარცვლიდან, რაც 1944 წლის 20 იანვრამდე უნდა ყოფილიყო გამოზიდული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად, ფაქტიურად 10 იანვრისათვის გამოზიდულია 5387 ტონა, ანუ გეგმის 59,5%, აქედან „სოიუზზაგოტტრანსის" საქართველოს განყოფილების მიერ გამოზიდულია 1544 ტონა, გეგმით გათვალისწინებული 1895 ტონის ნაცვლად; საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მიერ—1418 ტონა გეგმით, გათვალისწინებული 2100 ტონის ნაცვლად, და რაიონების ჭაპანზიდვის ტრანსპორტით—1267 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2058 ტონისა.

ჭაპანზიდვის ტრანსპორტით მარცვლის გამოზიდვის მხრივ ჩამორჩენილი არიან შემდეგი რაიონები: ახალციხის რაიონი, რომელმაც გამოზიდა 136 ტონა, ნაცვლად დავალებით გათვალისწინებული 300 ტონისა, ადიგენის—87 ტონა, ნაცვლად 100 ტონისა, ახალქალაქის—289 ტონა, ნაცვლად 400 ტონისა, ბოგდანოვკის—39 ტონა, ნაცვლად 100 ტონისა, თიანეთის—50 ტონა, ნაცვლად 100 ტონისა, ბაშქიჩეთის—126 ტონა, ნაცვლად 200 ტონისა, ბოლნისის—102, ნაცვლად 300 ტონისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს 1944 წლის 1 თებერვლამდე შორეული პუნქ-

ტებიდან მარცვლის გამოზიდვის გეგმა 3913 ტონის რაოდენობით, თანახმად დანართისა.

2. დაევალოს საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარს ამხ. რთველაძეს და „სოიუზზაგოტტრანსის" საქართველოს განყოფილების მმართველს ამხ. კუპრავას უზრუნველჰყონ მარცვლის უცილობლივ გამოზიდვა ამ დადგენილებით დაწესებული რაოდენობით, რისთვისაც საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატმა წალკის, ბაშქიჩეთის, ბოლნისისა და თიანეთის რაიონებიდან მარცვლის გამოსაზიდად გამოჰყოს არანაკლებ 20 მანქანისა „ზის-5", ხოლო „სოიუზზაგოტტრანსის" საქართველოს განყოფილებამ ყველა ავტომანქანა, გარდა სიღნაღის რაიონში მომუშავე 6 მანქანისა, 2 დღის განმავლობაში გამოიყენოს მარცვლის გამოსაზიდად „ზაგოტზერნოს" ახალქალაქისა და ახალციხის პუნქტებიდან.

3. წინადადება მიეცეს „სოიუზზაგოტტრანსის" საქართველოს განყოფილების მმართველს ამხ. კუპრავას გაემგზავროს და პირადად უხელმძღვანელოს იმ ავტომანქანების მუშაობას, რომლებიც ეწევიან მარცვლის გამოზიდვას ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებიდან.

4. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თიანეთის, ბაშქიჩეთისა და ბოლნისის რაიონების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ მოახდინონ საჭირო რაოდენობის ტრანსპორტის მობილიზაცია და 1944 წლის 25 იანვრამდე უზრუნველჰყონ მარცვლის მთელი იმ რაოდენობის სრულად გამოზიდვა, რაც მათი რაიონებისათვის არის დაწესებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით.

5. დაევალოს „გლავნეფტესნაბის" საქართველოს კანტორის უფროსს ამხ. ჯორჯიკიას ყოველგვარ პირობებში უზრუნველჰყოს თბილისისა და ბორჯომის ბაზებიდან პურის გამოსაზიდად საჭირო ბენზინის პირველ რიგში და შეუფერხებლივ გაცემა, „სოიუზზაგოტტრანსისა" და „ზაგოტზერნოს" ლიმიტების სრული მოცულობით.

6. ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებიდან მარცვლის გამოზიდვის მოსაწყობად მივლინებულ იქნას სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში ამხ. რ. კვირკველია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 12 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 12/I
№ 27 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ ე გ მ ა

## შორეულ პუნქტებში დარჩენილი მარცვლის გამოზიდვისა 1944 წლის 10 იანვრიდან

(ტონობით)

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | გამოზიდულ უნდა იქნას | გამოზიდულ უნდა იქნას | | |
|---|---|---|---|---|
| | | საქ. სსრ საავტ. ტრანსპ. სახ. კომისარიატის მანქანებით | „სოიუზზაგოტრანსის"და სამხედრო უწყების მანქანებით | რაიონების ჭაპანზიდვის ტრანსპორტით |
| ახალქალაქის . . . . . . . . . . | 2484 | — | 2312 | 172 *) |
| ახალციხის . . . . . . . . . . . | 400 | — | 223 | 177 **) |
| წალკის . . . . . . . . . . . . | 630 | 630 | — | — |
| ბაშქიჩეთის . . . . . . . . . . | 229 | 229 | — | — |
| ბოლნისის . . . . . . . . . . . | 129 | 129 | — | — |
| თიანეთის . . . . . . . . . . . | 41 | 41 | — | — |
| ს უ ლ . . . . . . | 3913 | 1029 | 2535 | 349 |

აქედან გამოზიდულ უნდა იქნას ჭაპანზიდვის ტრანსპორტით:
*) ახალქალაქის რაიონიდან—111 ტონა
ბოგდანოვკის „ — 61 „
**) ახალციხის რაიონიდან —164 ტონა
ადიგენის „ — 13 „

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 28

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ცაგერში რაიაღმასკომის, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომისა და რაიონის ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის მოსათავსებლად შენობის აგების შესახებ**

იმის გამო, რომ ხანძრის შემდეგ ცაგერის რაიონის თითქმის არცერთ ხელმძღვანელ ორგანოს არ მოეპოვება სათანადო შენობები, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ 1944 წლის პირველ ნახევარში აშენდეს რაიონულ ცენტრ ცაგერში ადმინისტრატიული სახლი რაიაღმასკომისა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის მოსათავსებლად.

ცაგერის რაიაღმასკომის სახლი აშენდეს წყალტუბოს რაიაღმასკომის შენობის პროექტის მიხედვით, ისე, რომ იგი შესდგებოდეს 42 ოთახისაგან 5.800 კუბ. მეტრი საერთო მოცულობით.

2. ცაგერში ადმინისტრატიული სახლის მშენებლობის განხორციელება დაეკისროს ცაგერის რაიაღმასკომს.

დაევალოს ცაგერის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბურჯალიანს დაუყოვნებლივ შეუდგეს მშენებლობას იმ ანგარიშით, რომ მთელი სამუშაოები დამთავრდეს არაუგვიანეს 1944 წლის 1 აგვისტოსა.

3. ცაგერის რაიაღმასკომის სახლის მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვროს 700.000 მანეთის რაოდენობით.

დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ბუკიას ერთი თვის ვადაში განიხილოს და დაამტკიცოს საბოლოო ხარჯთაღრიცხვა.

4. დაევალოს საქართველოს კომუნალური ბანკის მმართველს

ამხ. კვიცარიძეს უზრუნველჰყოს ცაგერის რაიაღმასკომის სახლის მშენებლობის შეუფერხებელი დაფინანსება 1944 წლის პირველ ნახევარში 700.000 მანეთის მოცულობით, აქედან 300.000 მანეთი გასცეს პირველ კვარტალში.

ნებადართულ იქნას ცაგერის რაიაღმასკომის სახლის მშენებლობის დაფინანსება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის გარეშე ა/წ. 20 თებერვლამდე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს კაპიტალური მშენებლობის 1944 წლისა და I კვარტალის გეგმით ცაგერის ადმინისტრატიული სახლის მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 700.000 მანეთს.

6. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს გადასცეს ცაგერის რაიაღმასკომს იმ მრგვალი ხე-ტყის მთელი რაოდენობა, რაც მდინარე ცხენისწყლით დაცურებისაგან დარჩა ცაგერიდან ოყურეშამდე.

დაევალოს ცაგერის რაიაღმასკომს დაამზადოს, სოფელ ოყურეშამდე დააცუროს და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ჩააბაროს მიმდინარე წლის გაზაფხულზე თანაბარი რაოდენობის მრგვალი ხე-ტყე.

7. დაევალოს ამბროლაურის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მასხარაშვილს 1944 წლის 1 მაისამდე მისცეს ცაგერის რაიაღმასკომს ჭრებალოს კრამიტის ქარხნიდან 15000 ცალი კრამიტი.

8. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს, „გლავმეტალოსბიტის" თბილისის კანტორის მმართველს ამხ. მემარნიშვილს, კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორს ამხ. სავინსკის, „გლავსტროისბიტის" ამიერკავკასიის კანტორის მმართველს ამხ. ჯალალოვს, ტრესტ საქმომარაგების მმართველს ამხ. კვანტალიანს, „გლავრეზინოსბიტის" თბილისის კანტორის მმართველს ამხ. შიხმანს დაუყოვნებლივ მისცენ ცაგერის რაიაღმასკომს ადმინისტრატიული სახლის მშენებლობისათვის მასალები იმ რაოდენობით, რაც აღნიშნულია დანართში.

დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ბუკიას თვალყური ადევნოს იმ მასალების გაგზავნას, რაც ამ დადგენილებით გამოყოფილია ცაგერის რაიაღმასკომისათვის.

9. დაევალოს „გლავნეფტესნაბის" საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. ჯორჯიკიას მისცეს ცაგერის რაიაღმასკომს საქართველოს ფონდების ანგარიშში ბენზინი იანვარში—0,5 ტონა, თებერვალში—1 ტონა და მარტში—1 ტონა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას:

ა) ცაგერის რაიაღმასკომთან ერთად შეარჩიოს და დანიშნოს მშენებლობის ნიჭიერი და გამოცდილი უფროსი;

ბ) ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ცაგერის რაიაღმასკომს ადმინისტრატიული სახლის მშენებლობის საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 12 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 12/1
№ 28 დადგენილების დანართი

# სია

**იმ მასალებისა, რაც ცაგერის რაიაღმასკომს გამოეყო ადმინისტრატიული სახლის მშენებლობისათვის**

| მასალების დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | ვინ გამოყოფს |
|---|---|---|---|
| ლურსმანი . . . . . . . | ტონა | 1,5 | საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი მისთვის გადაცემული საიმპორტო „კატანკის" ხარჯზე |
| ცემენტი . . . . . . . . | „ | 60 | კასპის ცემენტის ქარხანა იანვრის პროგრამის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე |
| არაკონდიციური ფურცლოვანი რკინა . . . . . | „ | 0,5 | „გლავმეტალოსბიტის" თბილისის კანტორა საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 1 კვარტალის ფონდების ანგარიშში . . . |
| მრგვალი ფოლადი ს—54 9 და 19 მ/მ . . . . | „ | 3 | ტრესტი საქმომარაგება |
| ოლიფა . . . . . . . . | „ | 0,4 | |
| თეთრა . . . . | „ | 0,3 | „ |
| სხვადასხვა სალებავები . . | „ | 0.4 | „ |
| სატვირთო მანქანების ავტოსაფარები . . . . | ცალი | 6 | „ „გლავრეზინოსბიტის" საქ. კანტორა--საქ. სსრ სახკომსაბჭოს I კვარტ. ანგარიშში. |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 31

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის განაკვეთების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1943 წლის 30 დეკემბერს „სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის შესახებ" მიღებული № 1437 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაუწესდეს 1944 წლის 1 იანვრიდან ხელფასის შემდეგი განაკვეთები:

### საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის ხაზით

| | | |
|---|---|---|
| სახალხო კომისარს . . . . . . . . . . | 1700 მან. | თვეში |
| სახალხო კომისრის მოადგილეებს თითოს . . | 1445 | „ |
| სასურსათო საქონლის ვაჭრობის განყოფილების უფროსს . . . . . . . . . . . . | 1100 | „ |
| სამრეწველო საქონლის ვაჭრობის განყოფილების უფროსს . . . . . . . . . | 1100 | „ |
| პურ-ფურაჟის განყოფილების უფროსს . . . | 1000 | „ |
| ხილბოსტნეულის განყოფილების უფროსს . | 900 | „ |
| საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს . | 1100 | „ |
| ვაჭრობის ორგანიზაციის განყოფილების უფროსს . . . . . . . . . . . . . . | 1100 | „ |
| მთავარ ბუხჰალტერს . . . . . . . . | 1000 | „ |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კადრების განყოფილების უფროსს . . . . 900 მან. თვეში
სპეცგანყოფილების უფროსს . . . . . . . 900 „
ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილე-
ბის უფროსს . . . . . . . . . . . . . 900 „

**აჭარის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით**

სახალხო კომისარს . . . . . . . . . 1100 მან. თვეში
სახალხო კომისრის მოადგილეს . . . . . 935 „
განყოფილებებისა და დამოუკიდებელი სექ-
ტორების უფროსებს . . . . . . . . . . 600—700 მან. თვეში

**აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით**

სახალხო კომისარს . . . . . . . . . 1100 მან. თვეში
სახალხო კომისრის მოადგილეს . . . . . 935 „
განყოფილებებისა და დამოუკიდებელი სექ-
ტორების უფროსებს . . . . . . . . . 600—700 მან. თვეში

**სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში**

საოლქო სავაჭრო განყოფილების გამგეს . 1000 მან. თვეში

**2. საქალაქო სავაჭრო განყოფილებათა ხაზით**
**თბილისის საქალაქო სავაჭრო განყოფილებაში**

საქალაქო სავაჭრო განყოფილების გამგეს . 1300 მან. თვეში
სავაჭრო განყოფილების გამგის მოადგილეს 1100 „
სექტორების უფროსებს . . . . . . . . . 800—900 „

**ქუთაისის საქალაქო სავაჭრო განყოფილებაში**

საქალაქო სავაჭრო განყოფილების გამგეს . . 900 მან. თვეში.

**ფოთის, ბათუმისა და სოხუმის საქალაქო სავაჭრო განყოფილე-
ბებში**

ამ განყოფილებათა გამგეებს . . . 3 თითოს 800 მან. თვეში

3. დაუწესდეს რაიონულ სავაჭრო განყოფილებათა გამგეებს განაკვეთები იმ განაკვეთების დონეზე, რაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 4 მარტის № 303 დადგენილებით დამტკიცებულია ალმასკომების ძირითად განყოფილებათა გამგეებისათვის, თანახმად დანართისა.

4. გაუქმდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სატრანსპორტო სექტორის უფროსი ეკონომისტის თანამდებობა თვეში 450 მან. განაკვეთით და შემოღებულ იქნას სატრანსპორტო სექტორის გამგის თანამდებობა თვეში 900 მან. განაკვეთით.

გაუქმდეს ჭიათურისა და ტყვარჩელის საქალაქო აღმასკომებთან არსებულ ვაჭრობის ინსპექტორთა თანამდებობანი თვეში 450 მან. განაკვეთით და შემოღებულ იქნას საქალაქო სავაჭრო განყოფილებათა გამგის თანამდებობანი—2 ერთეული თვეში 750 მან. განაკვეთებით.

ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას დაამტკიცოს საშტატო ცხრილის ცვლილებანი, რაც აღნიშნულია ამ დადგენილების მე-4 პუნქტში.

5. თანამდებობრივი განაკვეთების დაწესებასთან დაკავშირებით, მოეხსნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებით სხვადასხვა დროს დაწესებული ხელფასის პერსონალური განაკვეთები საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის შემდეგ სპეციალისტებს:

1. პურ-ფურაჟის განყოფილების უფროსს გ. დ. ხოშტარიას
2. საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს ა. ა. გველესიანს
3. სასურსათო განყოფილების უფროსს ა. ი. დავარაშვილს
4. მთავარ ბუხჰალტერს გ. ი. ბროვინსკის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 13/I
№ 31 დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**რაიონულ სავაჭრო განყოფილებათა გამგეების თანამდებობრივი განაკვეთები**

რაისავაჭრო განყოფილების
გამგის განაკვეთი

რაიონების I ჯგუფი

ბორჯომის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძის, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ტყიბულის, ხაშურის, ცხაკაიას, ჭიათურის, კლუხორის . . . . . . . . . . . 800 მან. თვეში

რაიონების II ჯგუფი

ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბათუმის, ბორჩალოს, გაგრის, გეგეჭკორის, გალის, დუშეთის, კასპის, ქობულეთის, ქუთაისის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ბოლნისის, ოჩამჩირის, ქარელის, თბილისის, წითელწყაროს, წყალტუბოს, სოხუმის, გულრიპშის . . . . . 700 მან. თვეში

რაიონების III ჯგუფი

აბაშის, თეთრიწყაროს, ადიგენის, ასპინძის, მაიაკოვსკის, ბაშქიჩეთის, ბოგდანოვკის, ვანის, გუდაუთის, ჯავის, ზემო-სვანეთის, ზნაურის, ყაზბეგის, ყარაიის, ყვარლის, ქვემო-სვანეთის, ქედის, ლენინგორის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, საჩხერის, სტალინირის, თიანეთის, ხობის, ხულოს, წალკის, ცაგერის, წალენჯიხის, წულუკიძის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს . . . . . . . . . . . . . . 600 მან. თვეში

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 34
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**1943 წლის მოსავლის ფარდულის ობით დაზიანებული თამბაქოს დამზადებისა და გამოყენების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1942 წლის მაგალითისამებრ, ნება დაერთოს საქთამბაქდამზადებას დაამზადოს 1943 წლის მოსავლის ფარდულის ობით დაზიანებული თამბაქო.

დაწესდეს ფარდულის ობით დაზიანებული თამბაქოს შემდეგი დასამზადებელი ფასები 1 ტონაზე:

ა) თუ ობი მოდებული აქვს თამბაქოს ფოთოლს ან ბარდანის $^{1}/_{5}$-მდე—V ხარისხის ფასი;

ბ) თუ ობი მოდებული აქვს ფოთლის ან ბარდანის $^{1}/_{5}$-ზე მეტს —500 მანეთი.

2. დაევალოს საქთამბაქდამზადების მმართველს—ამხ. ვაშაკიძეს:

ა) უზრუნველჰყოს დამზადების პუნქტებზე ჩასაბარებელი თამბაქოს ფარდულის ობით დაზიანების ოდენობის სწორი გამორკვევის სათანადო კონტროლი;

ბ) 1943 წლის მოსავლის ფოთლის ან ბარდანის ფარდულის ობით $^{1}/_{3}$-ზე მეტად დაზიანებული დამზადებული თამბაქო გადასცეს გადასამუშავებლად ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის თამბაქოს ფაბრიკებს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს განაწილებით.

3. დაწესდეს ფოთლის ან ბარდანის ფარდულის ობით $^{1}/_{3}$-ზე მეტად დაზიანებული თამბაქოს შემდეგი გასაყიდი ფასები 1 ტონაზე საქთამბაქდამზადების მიერ სარეწაო კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის ფაბრიკებისათვის გადაცემის დროს:

ა) აფხაზეთის თამბაქოზე . . . . . . . 1700 მანეთი

ბ) სხვა რაიონების თამბაქოზე . . . . . 1100 მანეთი

4. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სარეწაო კავშირს უზრუნველჰყონ ფარდულის ობით დაზიანებული თამბაქოს დროული და ხარისხობრივი გადამუშავება, რომლის დროსაც მიაღწიონ გამოშვებული თამბაქოს გემოვნებითს თვისებებზე ობის გავლენის მაქსიმალურ შემცირებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 15 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 35

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## წალკის რაიონის ცალკეულ სოფლებში 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთის გადიდებისა და შემცირების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების წალკის რაისაბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და გადიდდეს რაიონისათვის 410 მანეთის რაოდენობით დაწესებული სამხედრო გადასახადის განაკვეთი 30%-ით სოფელ წალკაში, წინწყაროში, სანთაში, ყარაყომში, ბეშთაშენში, კიარიაკში, კუშჩში, ჯინისში, აიაზმასა და ნარდევანში და შემცირდეს 30 პროცენტით სოფელ დაშბაში, მოლოტოვოში, ახალიკში, ნეონ-ხარაბაში, შიპიაკში, არ-სარვანში, თეჯისში, ჭოლიანში, გუდაკლარში, ტარსონსა და იმერაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 17 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 36

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკთათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთების დაწესების შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 31 დეკემბრის № 24.756-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1944 წლის 1 იანვრიდან ხელფასის პერსონალურ განაკვეთთა ლიმიტი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში ხელფასის 6 პერსონალური განაკვეთის რაოდენობით: 3 განაკვეთი — თითო 1800 მანეთისა და 3 განაკვეთი — თითო 1500 მანეთის რაოდენობით.

2. დაენიშნოს 1944 წლის 1 იანვრიდან ხელფასის პერსონალური განაკვეთები შემდეგ მუშაკებს:

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარ სამკერვალო მრეწველობის უფროსს — ამხ. პ. ვ. ქართველიშვილს — 1500 მან.

2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარ ტყავფეხსაცმლის მრეწველობის უფროსს — ამხ. გ. ს. ოქოევს — 1500 მან.

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარ ტყავფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოო ჯგუფის უფროსს — ამხ. ა. ვ. ნადირაშვილს — 1800 მან.

4. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარ სამკერვალო მრეწველობის საწარმოო ჯგუფის უფროსს — ამხ. ა. ნ. მიხაილოვს — 1800 მან.

5. ტყავეულობის № 1 ქარხნის მთავარ ინჟინერს—ამხ. გ. ი. ხაზარაძეს—1800 მან.

6. № 2 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს—ამხ. ხ. ე. ჩადრანოვს—1500 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 17 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 38
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი პირუტყვის დახოცვასა და დატაცებაში დამნაშავე პირთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ**

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 31 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი პირუტყვის დახოცვასა და დატაცებაში დამნაშავე პირთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების საქართველოს ტრესტს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და ყველა რაიაღმასკომს განუმარტონ კოლმეურნეობათა გამგეობებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის დახოცვაში დამნაშავე პირთათვის სარჩელის წაყენების დროს ზარალის თანხა განსაზღვრონ პირუტყვის სამმაგი ღირებულების რაოდენობით ზღვრულ-შესასყიდი ფასების მიხედვით, ხოლო ჯიშიანი პირუტყვის დახოცვის დროს, პირუტყვის სამმაგი ღირებულების რაოდენობით ჯიშიანი პირუტყვის ფასების მიხედვით, მიუხედავად დამნაშავეთა

პასუხისგებაში მიცემისა საჭირო შემთხვევებში სისხლის სამართლის წესით.

2. პირუტყვის დატაცებაში დამნაშავე პირთ წარედგინოს სარჩელი მოტაცებული პირუტყვის ღირებულების საბაზრო ფასებით გადახდევინების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 17 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 39

## საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

### წალკის რაიონიდან 1943 წლის მოსავლის კარტოფილის გამოზიდვის ღონისძიებათა შესახებ

ძირითად დამმზადებლებს—თბილხილბოსტანვაჭრობას და თბილსაზკვებტრესტს და აგრეთვე საწარმოებსა და დაწესებულებებს არ გამოუზიდავთ წალკის რაიონიდან მათთვის გამოყოფილი კარტოფილი.

თბილსაზკვებტრესტმა ფაქტიურად დამზადებული 930 ტონა კარტოფილიდან 10 იანვრისათვის გამოზიდა 263,8 ტონა, თბილხილბოსტანვაჭრობამ 1040 ტონიდან გამოზიდა 517,2 ტონა, № 31 ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილებამ 450 ტონიდან გამოზიდა 30 ტონა და ამიერკავკასიის ფრონტის სამხვაჭრობამ 550 ტონიდან გამოზიდა 320 ტონა.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და საწარმოთა დირექტორები არ იღებენ საკმაო ზომებს, რათა გამოზიდონ და უზრუნველჰყონ კარტოფილის დაცვა-შენახვა, რომელიც უკვე ფუჭდება.

წალკის რაიონიდან კარტოფილის გამოზიდვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომს (ამხ. ანანიევს) და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს (ამხ. ჩერქეზიას), ამხ. კეცხოველთან ერთად, მოახდინონ 250 ავტომანქანის მობილიზაცია ქალაქ თბილისში მიმდინარე წლის 21 იანვრიდან 5 თებერვლამდე წალკის რაიონში თბილხილბოსტანვაჭრობისა და თბილსაზკვებტრესტის მიერ სახშესყიდვის წესით დამზადებული 1470 ტონა კარტოფილის გამოზიდვისათვის, აქედან თბილხილბოსტანვაჭრობის ხაზით—600 ტონა და თბილსაზკვებტრეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ხაზით—870 ტონა, რისთვისაც უზრუნველჰყონ მობილიზებული ავტომანქანების ორი რეისი მაინც.

გამოზიდულ იქნას ორმოში ჩაყრილი კარტოფილი.

2. წინადადება მიეცეს თბილსაზკვებტრესტის დირექტორს ამხ. ჩარკვიანს და თბილხილბოსტანვაჭრობის დირექტორს ამხ. ჭყონიას დაუყოვნებლივ მოამზადონ კარტოფილსაცავები და კარტოფილის შესანახად მოწყობილი საწყობები ქალაქ თბილისში; უზრუნველჰყონ შემოზიდული კარტოფილის შეუფერხებელი მიღება და ზუსტი მუშაობა კარტოფილის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის და არ დაუშვან ავტომანქანების მოცდენა.

3. დაევალოს სავაჭრო ორგანიზაციებისა და აგრეთვე საწარმოთა და მუშათა მომარაგების განყოფილებათა ხელმძღვანელებს მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები და იანვრის განმავლობაში უზრუნველჰყონ მათ მიერ წალკის რაიონში დამზადებული და გამოუზიდავი 710 ტონა კარტოფილის გადმოზიდვა ქალაქ თბილისში თავისი ტრანსპორტით, აქედან ამიერკავკასიის ფრონტის სამხვაჭრობამ გამოზიდოს 230 ტონა, № 31 ქარხანამ—420 ტონა და წისქვილკომბინატმა—60 ტონა.

ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ დაგზავნონ რაიონებში სპეციალისტები და ადგილობრივ მიიღონ ზომები კარტოფილის დაცვა-შენახვისათვის მის გამოზიდვამდე.

4. იმისათვის, რომ ნაწილობრივ შეცვლილ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 8 ოქტომბრის № 1469 დადგენილება „1943 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის საბაზრო ფონდის გამოყენების გეგმის შესახებ“, დამტკიცდეს დამზადების რაიონებში არსებული სახშესყიდვის კარტოფილის ნაშთის განაწილება 2070 ტონის რაოდენობით, დანართის თანახმად.

5. დაევალოს თბილხილბოსტანვაჭრობის დირექტორს ამხ. ჭყონიას 10 დღის განმავლობაში აღადგინოს 7 საიმპორტო ავტომანქანა და გამოიყენოს ისინი კარტოფილის გამოსაზიდად წალკიდან.

6. დაევალოს „გლავნეფტესნაბის“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. ჯორჯიკიას გასცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში წალკიდან კარტოფილის გამოსაზიდად 35 ტონა ბენზინი რესპუბლიკის იანვრისა და თებერვლის ფონდების ანგარიშში.

7. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) წალკის რაიკომსა და რაიაღმასკომს დაუყოვნებლივ მოაწყონ კარტოფილის მიზიდვა სასოფლო პუნქტებიდან რაიონულ ცენტრამდე (წალკა) საკოლმეურნეო ტრანსპორტით და აგრეთვე მიაწოდონ თბილსაზკვებტრესტსა და

თბილხილბოსტანვაჭრობას საჭირო რაოდენობის მუშა-ხელი დატვირთვისა და სხვა სამუშაოებისათვის.

8. მივლინებულ იქნას წალკის რაიონში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულის სახით კარტოფილის გადმოსაგზავნად ამხ. ბ. ლელინი.

გაიგზავნონ წალკის რაიონში კარტოფილის გადმოგზავნის საკითხთა გამო ამხ. კალატოზიშვილი (ვაჭრობის სახ. კომისარიატი), ბაქრაძე (თბილსაზკვებტრესტი) და დოლაბერიძე (თბილხილბოსტანვაჭრობა).

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **მ. ბარამია.**

1944 წლის 17 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 17/I № 39
დადგენილების დანართი

# გ ე გ მ ა

## კარტოფილის ნაშთის რეალიზაციისა 1944 წლის 10 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით

(ტონობით)

| | სულ | თბილხილბოსტანვაჭრობა: სულ | თბილხილბოსტანვაჭრობა: მათ შორის წალკიდან | საზკვებტრესტი (გამოზიდვა წალკიდან) | ცეკავშირი | ახალციხის ადგილმრეწველობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილხილბოსტანვაჭრობა . . . . . . | 620 | 620 | 260 *) | — | — | — |
| თბილვაჭრობა . . . . . . . . . . . | 250 | 250 | 250 | — | — | — |
| თბილსაზკვებტრესტი . . . . . . . . | 780 | — | — | 750 | — | — |
| შინსახკომის სააეროდრომო მშენებლობის სამმართველო . . . . . . . . . | 20 | — | — | — | — | 20 |
| ტრიკოტაჟკომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . . | 10 | — | — | — | — | 10 |
| სამხედრო მომარაგების სამმართველოს საოლქო სარემონტო სახელოსნოს მუშათა მომარაგების განყოფილება . . | 15 | — | — | — | — | 15 |
| თამბაქოს ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . | 10 | — | — | — | — | 10 |
| კინოსტუდიის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . . . . . | 10 | — | — | — | — | 10 |
| სახუნივერსიტეტის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . . . . | 30 | — | — | 30 | — | — |
| მედინსტიტუტის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . . . . | 30 | — | — | 30 | — | — |
| სტომატოლოგიური ინსტიტუტის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . | 10 | — | — | 10 | — | — |
| საქ. ინდუსტრ. ინსტიტუტის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . | 10 | — | — | 10 | — | — |
| სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . | 10 | — | — | 10 | — | — |
| № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . | 10 | 10 | 10 | — | — | — |
| № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . | 15 | 15 | 15 | — | — | — |
| მაუდის ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . . . | 20 | — | — | — | 20 | — |
| აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . | 20 | — | — | — | 20 | — |
| კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატის მუშათა მომარაგების განყოფილება . | 40 | — | — | — | 40 | — |
| გზათა სახალხო კომისარიატის ელექტროტექნიკური ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . . . | 10 | — | — | — | 10 | — |

| | ს უ ლ | თბილხილბოსტანვაჭრობა — სულ | თბილხილბოსტანვაჭრობა — მათ შორის წალკიდან | საზღვაოტრესტი (გამოზიდვა წალკიდან) | ცეკავშირი | ახალციხის ავტომეურნეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 326 სამხედრო-სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . . . | 10 | 10 | 10 | — | — | — |
| ენგურქაღალდკომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . | 10 | — | — | — | — | 10 |
| აგარის შაქრის ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . | 10 | — | — | — | — | 10 |
| სამტრედიის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილება . | 5 | — | — | — | — | 5 |
| ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . | 5 | — | — | — | — | 5 |
| თბილისის საორთქლმავლო-სარემონტო ქარხნის მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . | 10 | 10 | 10 | — | — | — |
| გზათა სახალხო კომისარიატის № 165 მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . . . . . . | 15 | — | — | — | — | 15 |
| შავი ზღვისა და აზოვის ზღვის საბასეინო ნაოსნობის სამმართველოს მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . . | 15 | — | — | — | — | 15 |
| ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილება . . . . | 10 | — | — | — | — | 10 |
| სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა . . . . . . . . . | 30 | — | — | 30 | — | — |
| თბილისის მილიციის სამმართველო . . | 15 | 15 | 15 | — | — | — |
| სპეცვაჭრობა . . . . . . . . . . . | 30 | 30 | 30 | — | — | — |
| № 153 მშენებლობა . . . . . . . . | 15 | — | — | — | — | 15 |
| ს უ ლ . . . . . . . . . . . | 2070 | 960 | 600 | 870 | 90 | 150 |

*) აქედან მანგლისი 87 ტონა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 40

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**აკადემიკოს ნ. ნ. კეცხოველის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტად დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს აკადემიკოსი ნ. ნ. კეცხოველი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეორე ვიცეპრეზიდენტად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 17 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 42

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**თბილისის ქალთა 39 და 40 სკოლების დამოუკიდებლად გამოყოფის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თბილისის ქალთა მე-3 და 33-ე საშუალო სკოლებში მოსწავლეთა სიმრავლის გამო ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) გამოყოს ქ. თბილისის ბერიას სახელობის რაიონის ქალთა მე-3 საშუალო სკოლიდან სომხური სექტორი დამოუკიდებელ ქალთა მე-40 საშუალო სკოლად 14 კლასითა და 444 მოსწავლით;

ბ) გამოყოს ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ქალთა 33-ე საშუალო სკოლიდან რუსული სექტორი დამოუკიდებელ ქალთა 39-ე საშუალო სკოლად—20 კლასითა და 721 მოსწავლით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1944 წლის თბილისის ბიუჯეტში გაითვალისწინოს საჭირო ასიგნობანი აღნიშნული სკოლების შესანახად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 19 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 43

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობიდან ამხ. მ. ი. ჯაში და რ. ა. კვირკველია.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კოლეგია დამტკიცდეს ამხ. ი. ყ. თავაძის თავმჯდომარეობითა და ამხ. ხ. მ. ბეჟანოვის, ვ. დ. საყვარელიძის, ნ. კ. ყიფიანის, მ. ა. მითაიშვილის, ვ. ვ. კვალიაშვილისა და ი. ე. გიგინეიშვილის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 19 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 45

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობათა მიერ გამოუყენებელ მიწებიდან სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობათათვის მიწის ნაკვეთების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ბორჩალოს რაისაბჭოს აღმასკომის 1943 წლის 22 ნოემბრის დადგენილება № 164 და ნება დაერთოს სამრეწველო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს დროებით დათესონ 1944 წელს კოლმეურნეობათა მიერ გამოუყენებელი მიწები:

1. ბორჩალოს რაიონულმა სამომხმარებლო კავშირმა—25 ჰექტარი შემდეგ კოლმეურნეობათა მიწებიდან:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კურტლიარის | სასოფლო საბჭოს | | კრიმზი პამბუხჩის სახელობ. | 3 | ჰექტ. |
| აშაღა-სარალის | „ | „ | ლ. პ. ბერიას „ | 2 | „ |
| ყზილ-აჯლინის | „ | „ | შინსახკომის „ | 2 | „ |
| კოსუმლინის | „ | „ | ვოროშილოვის „ | 3 | „ |
| ოპრეთის | „ | „ | მოლოტოვის „ | 3 | „ |
| შაუმიანის | „ | „ | ლენინავადის „ | 3 | „ |
| ბორჩალოს | „ | „ | ბაგიროვის „ | 2 | „ |
| ყზილ-აჯლინის | „ | „ | III ინტერნაციონალის სახ. | 7 | „ |
| | | | ს უ ლ . . . . . . . . . . . . . | 25 | ჰექტ. |

2. ბორჩალოს რაიწყალთამეურნეობამ—5 ჰექტარი ბორჩალოს სასოფლო საბჭოს XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. ბორჩალოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა—7 ჰექტარი კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან:

ყზილ-აჯლინის სასოფლო საბჭოსი . . . . 2 ჰექტ. და
კურტლიარის კრ. პამბუხჩის სახელობისა . . 5 ჰექტ.

ს უ ლ . . . . . . . . . . 7 ჰექტ.

4. „ზაგოტქივსირიოს“ ბორჩალოს განყოფილებამ—1 ჰექტარი ყზილ-აჯლინის სასოფლო საბჭოს შარკ-იულდუზის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

5. „ზაგოტზერნოს“ ბორჩალოს განყოფილებამ—1 ჰექტარი ყზილ აჯლინის სასოფლო საბჭოს შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

6. ბორჩალოს რაიაღმასკომმა—15 ჰექტარი კრიმზი პამბუხჩის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან.

7. თავდაცვის სახალხო კომისარიატის № 984 საწყობის ადმინისტრაციამ—5 ჰექტარი ყზილ-აჯლინის სასოფლო საბჭოს შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 46

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ საერთო პროდუქციის გამოშვების 1943 წლის გეგმა მთლიანად შეასრულა 105,3%-ით, აქედან ცეცხლგამძლე მასალებისა—105,4%-ით, კერამიკული ჭურჭლის გამოშვებისა—181,4%-ით და ეკლარა-კვახჭირის წარმოებისა—158,6%-ით, ძირითადი სახის სამშენებლო მასალების—აგურის, კრამიტისა და კირის—გამოშვების გეგმა ჩაიშალა. მაგალითად, წითელი აგურის გამოშვების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 41,1%-ით, კრამიტისა—26,9-ით და კირისა—63,5%-ით.

სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ გააუმჯობესა მუშაობა 1943 წლის მეორე ნახევარში, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია გადამწყვეტ გარდატეხას აგურისა და კრამიტის გამომუშავების გეგმის შესრულების საქმეში.

სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოებში საკმაოდ არ ხდება მოწყობილობისა და მექანიზმების მოვლა, თავის დროზე არ ტარდება მათი კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, აგურისა და კრამიტის ქარხნების მოწყობილობა, სადგომები და საშრობი მეურნეობა მოუვლელ მდგომარეობაშია.

ნოსირის ქარხანაში აგურისა და კრამიტის წნეხების მარტო შიდაწვის გაცდენა 1943 წლის განმავლობაში 1340 საათს შეადგენდა, საბურთალოს ქარხანაში ექსკავატორი გამოყენებულია მხოლოდ თავისი ნაყოფიერების 50%-ის ფარგლებში.

მუშახელის მიზიდვისა და დამაგრების საკითხისადმი ყურადღების მიუქცევლობამ და მუშახელის დენადობის წინააღმდეგ არასაკმაო ბრძოლამ გამოიწვია ის, რომ წარმოება უზრუნველყოფილი არ არის მუშებით.

სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოებმა სრულიად არასაკმაოდ გააჩაღეს მუშაობა საკუთარი სასურსათო ბაზის მოსაწყობად და ვერ უზრუნველჰყვეს დამხმარე მეურნეობებში მოსავლის მიღების გეგმის შესრულება.

სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო, აგრეთვე საწარმოთა ხელმძღვანელები სათანადო კონტროლს არ უწევენ გამომუშავებული ნაწარმის ხარისხს, რის შედეგადაც საწარმოთა უმრავლესობა მომხმარებლებს აძლევს დაბალი ხარისხის პროდუქციას.

ნოსირის ქარხნის მიერ 1943 წელს გამოშვებული ეგრეთწოდებული III ხარისხის 40 ათასი ცალი კრამიტი (საერთო გამომუშავების 15%) და 50 მარკის 41 ათასი ცალი აგური (საერთო გამოშვების 3%) არსებითად წარმოადგენს წუნს, რომლის რეალიზაცია არ უნდა მოხდეს.

მეთუნეობის კერამიკული ჭურჭლის წარმოება მოითხოვს გარეგანი ფორმისა და გამოყვანის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

საწარმოები არ იცავენ ნედლეულის დაწესებულ ნორმატივებსა და საწარმოო დანაკარგების ნორმებს, რის გამო სათბობის დიდი გადახარჯვა აქვთ.

იმ დროს, როცა ნედლეულის დანაკარგის გეგმიანი ნორმა გამომუშავებული აგურის მიმართ 10%-ს უდრის, ფაქტიურად დანაკარგი შეადგენდა: საბურთალოს ქარხანაში—753 ათას ცალს ანუ 22,3%-ს, ღრმაღელის ქარხანაში—184 ათას ცალს ანუ 26,9%-ს, სამტრედიის ქარხანაში—121 ათას ცალს ანუ 17,8%-ს, ხოლო ნოსირის ქარხანაში—1104 ათას ცალს ანუ 43%-ს (ნორმით გათვალისწინებული 15%-ის ნაცვლად). კრამიტის დანაკარგი გამოშვებული მზა პროდუქციის მიმართ შეადგენდა სამტრედიის ქარხანაში—37,4%-ს, ხოლო ნოსირის ქარხანაში—120%-ს.

ესოდენ მნიშვნელოვანი დანაკარგი წარმოადგენს გეგმის შეუსრულებლობის ერთერთ ძირითად მიზეზს.

იმ დროს, როცა არასაკმაოდ ხდებოდა სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოების მომარაგება სათბობით, 1943 წლის განმავლობაში მთელ რიგ საწარმოებში ადგილი ჰქონდა სათბობის დიდი რაოდენობით და უნაყოფო ხარჯვას; მაგალითად, საბურთალოს ქარხანაში დახარჯულია ნორმის გადამეტებით 603 ტონამდე ქვანახშირი, ნოსირის ქარხანაში—350 ტონა,

სამტრედიის ქარხანაში—59 ტონა, ღრმაღელის ქარხანაში—58 ტონა და სხვ.

სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს სამშენებლო მასალათა საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებისა და 1944 წლის საწარმოო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა გ უ რ ი ს ა დ ა კ რ ა მ ი ტ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა ზ ი თ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს:

ა) ა/წ 15 მარტამდე უზრუნველჰყოს შენობების, ნაგებობებისა და საწარმოო მოწყობილობის სარემონტო სამუშაოების ჩატარება მიწოდებული გრაფიკის თანახმად და აგურ-კრამიტის ქარხნების სავსებით მომზადება 1944 წლის სეზონისათვის;

ბ) შეუდგეს ალიზისა და კრამიტის ყალიბებას ყველა საწარმოში მიმდინარე წლის 15 მარტიდან 1 აპრილამდე და მის გამოწვას 1-დან 25 აპრილამდე;

გ) საკონტროლო-საცდელი ლაბორატორიის მეშვეობით უზრუნველჰყოს გამომუშავებული ნაწარმის ხარისხის სისტემატური შემოწმება და პასუხისგებაში მისცეს იმ საწარმოთა დირექტორები, რომლებიც მომხმარებლებს არასტანდარტულ და წუნდებულ პროდუქციას აძლევენ;

დ) აუკრძალოს საწარმოებს აგურისა და კრამიტის გაცემა დაუხარისხებელი სახით, ამასთან დასახარისხებლად გამოჰყოს უფრო კვალიფიციური ოსტატები;

ე) შეამოწმოს, თუ როგორ არის დაყენებული ნედლეულის წარმოების აღრიცხვა ნოსირის, საბურთალოსა და ღრმაღელის ქარხნებში, ამასთან მისცეს მტკიცე ინსტრუქცია იმის შესახებ, რომ აღრიცხონ ნედლეულის მოძრაობა გადასვლების მიხედვით;

ვ) თავი მოუყაროს საბურთალოს ქარხანაში სათბობს, საწვავსა და მუშახელს სხვა საწარმოებიდან, რომლებიც ზამთრის პერიოდში არ მუშაობენ, ამასთან მიმდინარე წლის თებერვლიდან აგურის ყოველთვიური გამოშვება აიყვანოს 800 ათას ცალამდე;

ზ) 1944 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს სისტემის ყველა საწარმო დამხმარე მეურნეობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებით და დაამტკიცოს დამხმარე მეურნეობათა 1944 წლის გეგმა იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალურად იქნან უზრუნველყოფილი საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექ-

ნიკოსი მუშაკები და მოსამსახურეები ბოსტნეულითა და კვების პროდუქტებით.

2. წინადადება მიეცეს სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს და ქვემოჩამოთვლილ საწარმოთა დირექტორებს:

ღრმაღელის აგურის ქარხნის ხაზით:

ა) ამა წლის 15 მარტამდე ჩაატარონ ქარხნის საშრობი მეურნეობის კაპიტალური რემონტი იმ ანგარიშით, რომ უზრუნველჰყონ მისი ნორმალური მუშაობა გამოშრობის სეზონისათვის;

ბ) ერთი თვის ვადაში გასწმინდონ ქარხნის ტერიტორია წარმოების დაგროვილი ნარჩენებისაგან და დაამთავრონ ღვარსადენი არხების მშენებლობა;

გ) ორი დეკადის ვადაში შეისწავლონ თიხის იმ ნაკვეთის დამუშავების საკითხი, რომელიც საყალიბო შენობას ეკვრის, და პირველი კვარტალის დამლევამდე შეუდგნენ თიხის ამოღებას ამ ნაკვეთზე;

დ) წითელი აგურის გამოშვების გეგმის სისტემატურად, თვიდან თვემდე, შესრულებასთან ერთად, უზრუნველჰყონ გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

საბურთალოს აგურის ქარხნის ხაზით:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ მშრალი წნეხვის არსებული 2 წნეხი, რისთვისაც შესცვალონ გაცვეთილი ნაწილები და მიაღწიონ მოქმედი ექსკავატორის ნაყოფიერების გადიდებას;

ბ) მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჩაატარონ საყალიბო წნეხებიდან კამერულ ღუმელამდე ნედლეულის ტრანსპორტირების მექანიზაცია, რისთვისაც დასდგან სარწევი ტრანსპორტერი;

გ) ერთი თვის ვადაში გასწმინდონ ქარხნის ტერიტორია წარმოების დაგროვილი ნარჩენებისაგან;

დ) აღმოფხრან სათბობის გადახარჯვა და მიაღწიონ აგურის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და გეგმის თანაბარ შესრულებას თვიდან-თვემდე.

ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის ხაზით:

ა) ამა წლის 1 მარტამდე დაამთავრონ № 2 საშრობის აღდგენა და № 4 საშრობის რეკონსტრუქცია, აგრეთვე შიდასაქარხნო ლიანდაგებისა და რკინიგზის ჩიხის სარემონტო სამუშაოები;

ბ) პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და საწარმოო დანა-

კარგების შემცირების მიზნით, აიყვანონ გამამჭლევებელთა შენახვა აგურის გამომუშავების დროს 25%-მდე და კრამიტის გამომუშავების დროს—20%-მდე; გააუმჯობესონ თიხის წინასწარი მომზადება კრამიტისათვის, რისთვისაც ერთხანს გააჩერონ იგი კარიერზე შტაბელებად და გადააბრუნონ; ჩაატარონ საშრობების ჰერმეტიზაცია ნედლეულის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად, გაადიდონ შამოტსამსხვრევის ნაყოფიერება, რისთვისაც დასდგან „ბლეკის“ სამსხვრევი;

გ) იმის გამო, რომ კრამიტის წარმოება სისტემატურად არ არის უზრუნველყოფილი სტეარინით, ამა წლის 1 მარტისათვის გადაიყვანონ ნედლეულის ყალიბება თაბაშირის ფორმებზე, რისთვისაც მოაწყონ თაბაშირის გამოსაწვავი მცირე საამქრო;

დ) შესცვალონ გამოშვებული კრამიტის ფორმა და ზომა სტანდარტული ზომით;

ე) აკრძალონ ეგრეთწოდებული III ხარისხის კრამიტის და 50 მარკის აგურის ჩათვლა გეგმის შესრულებაში და არ დაუშვან ამ არასტანდარტული პროდუქციის მიცემა გეგმიანი მომხმარებლებისათვის;

ვ) სავსებით აღმოფხვრან სათბობის, ნედლეულისა და მასალების გადახარჯვა.

სამტრედიის აგურის ქარხნის ხაზით:

ა) ორი თვის ვადაში მიიყვანონ ქარხანასთან ელექტროგადამცემი ხაზი;

ბ) 1944 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში განახორციელონ თიხის ზელვისა და ყალიბების მექანიზაცია, რისთვისაც დასდგან თიხის საზელები და ლენტური წნეხი.

3. დაევალოს თელასის დირექტორს ამხ. ბახტაძეს უზრუნველჰყოს ელექტროენერგიის შეუფერხებლივ მიწოდება საბურთალოს აგურის ქარხნისათვის.

4. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ანანიევს:

ა) მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩაატაროს იმ გზატკეცილის კაპიტალური რემონტი, რომელიც საქართველოს სამხედრო გზიდან საბურთალოს აგურის ქარხნამდე მიდის;

ბ) საბურთალოს ქარხნის მახლობლად გამოჰყოს 10 ჰექტარი მიწა დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად.

5. დაევალოს „გლავსნაბუგოლის“ თბილისის კანტორას—ამხ. შარიას სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ფონდის ანგარიშში ყოველთვიურად, არაუგვიანეს 20 რიცხვისა, გაუგზავნოს საბურთალოს აგურის ქარხანას 250 ტონა ქვანახშირი.

6. დაევალოს თბილმშენის № 1 სამშენებლო ქარხანას (ამხ. ლაზარევს) ორი თვის ვადაში დაამზადოს და საბურთალოს აგურის ქარხანას ჩააბაროს ერთი მრავალციცხვიანი ელექტრო-ექსკავატორი.

7. წინადადება მიეცეს ზესტაფონის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მამალაძეს გადასცეს საბურთალოს აგურის ქარხანას ტევრის ქარხნიდან ერთი სარწევი ტრანსპორტერი სრული კომპლექტიანად, აგრეთვე სამტრედიის აგურის ქარხანას—თიხის საზელი და ლენტური წნეხი, რომლებსაც ტევრის ქარხანაში ვერ იყენებენ.

8. წინადადება მიეცეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ლომიძეს უზრუნველჰყოს ამა წლის პირველ კვარტალში ქალაქმრეწვკომბინატის ქუთაისის აგურის ქარხნის შენობების, ნაგებობებისა და მოწყობილობის რემონტის ჩატარება იმ ანგარიშით, რომ ქარხანამ ნორმალური მუშაობა დაიწყოს ამა წლის 1 აპრილიდან.

9. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის შრომა-გასწორების ბანაკებისა და კოლონიების სამმართველოს (ამხ. ოყროშიძეს):

ა) ამა წლის 1 თებერვლისათვის აიყვანოს შრომითი კოლონიების პატიმართა რიცხვი საბურთალოს აგურის ქარხანასთან 50 კაცამდე;

ბ) 15 მარტამდე მოაწყოს ღრმაღელის აგურის ქარხანასთან შრომისუნარიანი პატიმრებისაგან კოლონია 70 კაცის რაოდენობით ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მშენებლობის შრომითი კოლონიის კონტინგენტის ხარჯზე იმის გამო, რომ ღრმაღელის ქარხანა ძირითადად აღნიშნულ მშენებლობას აწვდის წითელ აგურს.

10. წინადადება მიეცეს კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. სარიშვილს, ქარხანა „ცენტროლიტის" დირექტორს ამხ. სიხარულიძეს, 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. მელაძეს, № 247 ქარხნის დირექტორს ამხ. ბოკერიას, ტრესტ თბილმშენის № 1 სამშენებლო ქარხნის დირექტორს ამხ. ლაზარევს, № 3 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ამხ. გვიჩიას, თბილისის საავიაციო ტექნიკუმის დირექტორს ამხ. ჯიბუტს, ენგურქაღალდკომბინატის დირექტორს ამხ. ჯანაშიას და ტრესტ „საქართველოს ჩაის" სამტრედიის სახელოსნოების დირექტორს ამხ. მჟავანაძეს დაამზადონ და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოებს ჩააბარონ მოწყობილობის დეტალები იმ რაოდენობითა და იმ ვადებში, რაც აღნიშნულია № 1 დანართში.

11. დაევალოს საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოს (ამხ. ლობჟანიძეს) ცენტრალური ლაბორატორიის მეშვეობით დაამუშაოს

ადგილობრივი მინერალური ნედლეულისაგან ჭიქურას დამზადების საკითხი, აგრეთვე შეარჩიოს ნედლეული და განსაზღვროს ცეცხლ-გამძლე ჭურჭლის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ გაითვალისწინოს კაპიტალური ხარჯების გეგმით 30 ათასი მანეთი აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად.

12. კერამიკული მრეწველობისათვის კვალიფიციური კადრების შექმნის მიზნით, სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ ამა წლის პირველ კვარტალში მოამზადოს სულ მცირე 7 კერამიკოსი ოსტატი.

კირის, ცარცის წარმოებისა და სამშენებლო ქვების ხაზით:

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს 15 თებერვლამდე შეაკეთოს ცხაკაიას კირის ქარხნის დიდი ღუმელი და ამა წლის პირველი კვარტალის განმავლობაში ჩაატაროს ცაიშის ცარცის ქარხნის კაპიტალური რემონტი.

14. დაევალოს ენგურქაღალდკომბინატს (ამხ. ჯანაშიას) ჩამოასხას თავის სახელოსნოებში ცაიშის ცარცის ქარხნის რემონტისათვის საჭირო თუჯის ქილები 40 კვ. მტ რაოდენობით.

15. დაევალოს ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის დირექტორს ამხ. კეკელიძეს 1944 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში განახორციელოს რკინიგზის ახალი ხიდის მშენებლობა რიონ-კვახჭირის შტოზე.

სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ, ფეროშენადნობის ქარხანასთან ერთად, ახალი ხიდის მშენებლობამდე შეაკეთოს არსებული ხიდი და რკინიგზის შტო რიონის სადგურიდან.

16. იმის გამო, რომ საჭიროა ბეტონიტის ბლოკების წარმოების განახლება, ეთხოვოს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდალს არმიის გენერალ ამხ. ტიულენევს უბრძანოს საინჟინერო სამმართველოს, რათა მან სამუშაო მდგომარეობაში მოიყვანოს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს დაუბრუნოს თბილისის ბეტონიტის ქარხანა, რომელიც დროებითი სარგებლობისათვის გადაეცა საინჟინერო სამმართველოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 24 ·აგვისტოს დადგენილებით.

ცეცხლგამძლე მასალების წარმოების ხაზით:

17. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს—ამხ. ბუაჩიძეს და ქარხანა „შროშის" დირექტორს ამხ. ინგოროყვას:

ა) ამა წლის 15 მარტამდე ჩაატარონ სამი ბურთა წისქვილის კაპიტალური რემონტი ფქვის შეუჩერებლად;

ბ) სამი დღის ვადაში გაგზავნონ ძირულაში მთელი საჭირო მოწყობილობა ქარხანა „შროშის" საშრობი განყოფილებისათვის;

გ) ერთი თვის ვადაში დაამთავრონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ აბანო „შროშის" ქარხანასთან;

დ) ერთი კვირის ვადაში გაგზავნონ ძირულაში საჭირო რაოდენობის კრამიტი 20 კამერული ღუმელის გადასახურავად;

ე) 1944 წელს დაამთავრონ საწარმოო კორპუსის (საფქვავი და საწნეხი განყოფილება) მშენებლობა და პირველ რიგში ჩაატარონ დეზინტეგრატორის დადგმის სამუშაოები, პროექტის შესაბამისად;

ვ) მოაგვარონ თიხის გულმოდგინედ დახარისხება მაღაროში, ქარხნის ტერიტორიაზე გასწმინდონ მოედანი თიხის მარაგის დასაგროვებლად, მისი ერთხანს გაჩერების მიზნით, და 1944 წლის 1 ივლისამდე უზრუნველჰყონ თიხის სამი თვის მუდმივი მარაგის შექმნა;

ზ) მაღაროში ამოღებული თიხის დასველების თავიდან აცილების მიზნით, მიიღონ საჭირო ზომები გრუნტის წყლების ასაქცევად;

თ) ამა წლის 1 მაისამდე დაამთავრონ დამხარისხებლისა და ასაფეთქებელი მასალის საწყობის მშენებლობა მაღაროში;

ი) ამა წლის 1 აპრილამდე დასდგან და დაამონტაჟონ მაღაროს მექანიკური სახელოსნოს და ბურღგასაწყობის მოწყობილობა, გადააკეთონ ვიწროლიანდაგიანი გზა 750 მ/მ-დან 600 მ/მ-ზე და დასდგან ვაგონების გადასაბრუნებლები;

კ) ამა წლის 1 თებერვლამდე ჩაატარონ მაღაროში თიხის ამოღების მექანიზაცია და ამა წლის 1 მარტიდან უზრუნველჰყონ სულ ცოტა 100 ტონა თიხის ამოღება და ქარხანაში გაგზავნა ყოველდღეღამეში;

ლ) მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მოაწყონ ქარხანასთან გამოშვებული აგურის საცდელი ლაბორატორია, დასდგან საჭირო მოწყობილობა და სასტიკი კონტროლი გაუწიონ გამოშვებული შამოტის აგურის ხარისხს;

მ) თებერვლის განმავლობაში აითვისონ ახალი 12-კამერიანი ღუმელის სრული საწარმოო სიმძლავრე, საექსპლოატაციოდ გადასცენ თებერვალში ახალი 20-კამერიანი ღუმელი და აითვისონ მისი სრული საწარმოო სიმძლავრე მარტში.

18. წინადადება მიეცეს ტრესტს ხრამჰესმშენის მმართველს ამხ. ჭანკოტაძეს.

ა) ამა წლის 10 თებერვლამდე დაამთავროს 12-კამერიანი ღუმელისა და 20-კამერიანი ღუმელის საშრობი განყოფილების მთელი სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები, აგრეთვე ტერიტორიის დაგეგმვა და გაწმენდა ახალი ღუმელების ირგვლივ;

ბ) დატოვებულ იქნას ქარხანა „შრომის" საჭიროებისათვის მაღაროს მოედანზე არსებული დროებითი ნაგებობანი და დასაშლელი ბარაკები.

19. დაევალოს „გლავმეტალოსბიტის" თბილისის კანტორის მმართველს ამხ. მემარნიშვილს მისცეს სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს 20-კამერიანი ღუმელის საშრობი განყოფილების ასაშენებლად და აბანოს მშენებლობის დასამთავრებლად, მათი პირველი კვარტალის ფონდების ანგარიშში 1,5 ტონა 18 მ/მ ხარისხოვანი რკინა, 50 მეტრი ორდუიმიანი და 20 მეტრი სამდუიმიანი მილები.

20. დაევალოს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას (ამხ. ჭიჭინაძეს) ერთი თვის ვადაში დაამზადოს და დაამუშაოს შამოტის ქარხანა „შრომის" ბურთა წისქვილისათვის 150 მ/მ დიამეტრის და 3,2 მეტრის სიგრძის ლილვი ქარხნის ნახაზის მიხედვით.

21. მიღებულ იქნას ცნობად ქარხანა „ცენტროლიტის" დირექტორის მოადგილის ამხ. ბასილაშვილის განცხადება, რომ იგი უზრუნველჰყოფს ბურთა წისქვილების დეტალების ჩამოსხმის შეკვეთის შესრულებას ქარხანა „შრომასთან" დადებული ხელშეკრულების თანახმად ამა წლის 1 თებერვლისათვის.

22. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გიორგაძეს):

ა) მისცეს მაღაროსა და ქარხანა „შრომის" მუშებს სასურსათო კვებისა და პურის ნორმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 27 ივლისის № 14243-გს განკარგულების შესაბამისად;

ბ) თავის დროზე დაუშვას სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდები სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ქარხნებისათვის და უზრუნველჰყოს ამ ფონდების რეალიზაცია.

23. იმ მიზნით, რომ სამშენებლო მასალათა საწარმოები უზრუნველყოფილ იქნან მუშახელით, რაც მათ აკლიათ,—დაევალოს ამხ. ი. ლეკიშვილს სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს წინადადებანი რაიონებში მუშათა საჭირო რაოდენობის მობილიზაციის შესახებ.

24. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და „გლავსნაბლესის" რესპუბლიკური სამმართველოს უფროსს ამხ. კვიცარიძეს მისცენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს რესპუბლიკის ფონდების ანგარიშში ა/წ პირველი კვარტალის განმავლობაში 10 კუბ. მეტრი დიქტი, აგრეთვე ქარხანა „შრომის" მაღაროსათვის ყოველთვიურად და შეუფერხებლივ გაგზავნონ 80 კუბ. მეტრი მადანსაყრდენი.

25. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს მათხოჯის დაცურებიდან 300 კუბ. მეტრი მრგვალი წიწვიანი ხე-ტყე, აქედან სამტრედიის სადგურზე—80 კუბ. მეტრი ღრმაღელის აგურის ქარხნისათვის.

26. დაევალოს წყალტუბოს, სამტრედიისა და წულუკიძის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს იანვარსა და თებერვალში გამოზიდონ საკოლმეურნეო ჭაპანზიდვის ტრანსპორტით მათხოჯიდან სამტრედიის სადგურზე 300 კუბ. მეტრი მრგვალი ხე-ტყე, რომელიც გამოყოფილია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოსათვის, აქედან:

წყალტუბოს რაიონმა—50 კუბ. მეტრი
სამტრედიის „ —125 „
წულუკიძის „ —125 „

27. დაევალოს საქსარეწტყეკავშირის თავმჯდომარეს (ამხ. ჯებაშვილს) ა/წ 15 მაისამდე გაუგზავნოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დამზადებულ რაოდენობიდან 140 ათასი ცალი სახურავი ყავარი, აქედან 10 თებერვლამდე—20 ათასი ცალი ღრმაღელის ქარხნისათვის.

| 2650 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 2650 | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 6000 | 6000 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1000 | 1000 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 11870 | 11870 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 2000 | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 600 | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 830 | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | 1000 | — | 1000 | — |
| — | — | — | — | 200 | — | 350 | — | — | — | 690 | — |
| 4300 | — | 3000 | 50 | 3000 | 1150 | 4000 | 1880 | 58200 | 1500 | 156800 | 43690 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 51

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 30 დადგენილება „ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ მიწსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მიწსახკომთან ერთად, განსაზღვროს ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის ფონდი 1944 წლისათვის, აგრეთვე პრემიული ფონდი მეცხოველეობის განვითარებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის 1943 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით და 1944 წლის ბიუჯეტის პროექტის დამატებით წარუდგინოს განაცხადი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მიწსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებას მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე განსაზღვრონ 1943 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით, თუ რამდენი უნდა მიეცეს პრემია რაიმიწგანების გამგეებს, რაიმიწგანების ზოოვეტუბნებისა და პუნქტების ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებს მეცხოველეობის განვითარებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების გეგმების მთლიანად და გადა-

ჭარბებით შესრულებისათვის, ამასთან გასცენ პრემიები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 30 დადგენილების მე-7 პუნქტის შესაბამისად.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკებისათვის ახალი განაკვეთების მიხედვით ხელფასის მიცემის, აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიების მიცემის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ იმ ნორმებითა და განაკვეთებით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 30 დადგენილებით „ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ“.

5. ძალაში დარჩეს ის წესი, რომლის მიხედვითაც უფასოდ ეძლევათ ბინები, გათბობა და განათება ნატურით იმ ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ უბანზე ან პუნქტში სასოფლო ადგილებში ან მუშათა დაბებში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ადგილას ცხოვრობენ ისინი. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველჰყონ ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკები ტრანსპორტით იმ რაიონში სასიარულოდ, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა ს ლ ი

# სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

# დადგენილება № 30

1944 წლის 9 იანვარი — მოსკოვი, კრემლი

**ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ**

ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფის გაძლიერებისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის მათი წახალისების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუდიდდეს 1944 წლის 1 იანვრიდან ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებს ხელფასი და დაუწესდეს მათ ხელფასის შემდეგი თვიური განაკვეთები (მანეთობით):

| | ზოოტექნიკური მუშაობის სტაჟი | | |
|---|---|---|---|
| | 3 წელზე ნაკლები | 3-დან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
| **ა. ზოოტექნიკურ მუშაკებს:** | | | |
| 1. რაიმიწგანთა უბნებისა და პუნქტების და სახჯიშსაშენების ზოოტექნიკოსები: | | | |
| ა) უმაღლესი ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . | 475 | 550 | 625 |
| ბ) საშუალო ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . . | 350 | 400 | 450 |
| 2. ზოოვეტუბნების გამგე ზოოვეტტექნიკოსები: | | | |
| ა) უმაღლესი ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . | 525 | 625 | 675 |
| ბ) საშუალო ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . . | 400 | 450 | 500 |
| გ) ზოოვეტპუნქტების გამგე ზოოტექნიკოსები, საშუალო ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . . . . . . . | 375 | 425 | 475 |
| 3. საოლქო მიწგანების, რაიმიწგანების, სახჯიშსაშენების, სახსაჯინიბოების, იპოდრომებისა და საქალაქო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო განყოფილებების ზოოტექნიკოსები: | | | |
| ა) უმაღლესი ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . | 500 | 575 | 650 |
| ბ) საშუალო ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . . | 400 | 450 | 500 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ზოოტექნიკური მუშაობის სტაჟი 3 წელზე ნაკლები | 3-დან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
|---|---|---|---|
| 4. მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების, აბრეშუმსათესლე ქარხნების, საკვები მეურნეობების, სასუქი პუნქტების, სასწავლო მეურნეობებისა და რაიონული და რაიონთაშორისო დამამზადებელი კანტორების ზოოტექნიკოსები: | | | |
| ა) უმაღლესი ზოოტექნიკური განათლებით . . . . . | 450 | 550 | 600 |
| ბ) საშუალო ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . | 350 | 400 | 450 |
| 5. რაიმიწგანებისა და სახჯიშსაშენების საჯიშე მუშაობის ზოოტექნიკოსები (სელექციონერები): | | | |
| ა) უმაღლესი ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . | 600 | 650 | 750 |
| ბ) საშუალო ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . | 400 | 450 | 500 |
| 6. მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების, დამამზადებელი ორგანიზაციების (კანტორებისა და ბაზების), სასუქი პუნქტების, საკვები მეურნეობების, აბრეშუმსათესლე ქარხნებისა და სასწავლო მეურნეობების უფროსი ზოოტექნიკოსები და დირექტორ-ზოოტექნიკოსები: | | | |
| ა) უმაღლესი ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . | 600 | 650 | 750 |
| ბ) საშუალო ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . | 425 | 525 | 575 |
| 7. საოლქო მიწგანების, რაიმიწგანების, საქალაქო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო განყოფილებების, სახსაჯინიბოების, იპოდრომებისა და სახჯიშსაშენების მთავარი და უფროსი ზოოტექნიკოსები და ადგილობრივი მნიშვნელობის იპოდრომების დირექტორ-ზოოტექნიკოსები: | | | |
| ა) უმაღლესი ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . | 650 | 700 | 800 |
| ბ) საშუალო ზოოტექნიკური განათლებით . . . . . . . | 500 | 575 | 650 |
| 8. საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და სხვა სახალხო კომისარიატების ზოოტექნიკოსები, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . . . . . . . . . . | 600 | 650 | 750 |
| 9. საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და სხვა სახალხო კომისარიატების საჯიშე საქმისა და სახჯიშწიგნების უფროსი ზოოტექნიკოსები და ინსპექტორები, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების უფროსი ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . | 650 | 750 | 850 |
| 10. სსრ კავშირის, რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და მათი დამამზადებელი კანტორების, აგრეთვე სსრ კავშირის, რსფსრ სხვა სახალხო კომისარიატებისა და მათი შენაერთების ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . | 700 | 800 | 900 |

| | ზოოტექნიკური მუშაობის სტაჟი | | |
|---|---|---|---|
| | 3 წელზე ნაკლები | 3-დან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
| 11. სსრ კავშირის, რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და მათი დამამზადებელი კანტორების, სსრ კავშირისა და რსფსრ სხვა სახალხო კომისარიატებისა და მათი შენაერთების უფროსი ზოოტექნიკოსები, საკავშირო მნიშვნელობის სახჯიშსაშენების დირექტორ-ზოოტექნიკოსები, სახსაჯინიბოების დირექტორ-ზოოტექნიკოსები და იპოდრომების დირექტორ-ზოოტექნიკოსები . . . . . . | 750 | 850 | 950 |
| 12. საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებების, ავტონომიური რესპუბლიკების მიწსახკომებისა და სხვა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციების მთავარი ზოოტექნიკოსები, საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკათა (რსფსრ გამოკლებით) მიწსახკომების საჯიშე საქმისა და სახჯიშწიგნების უფროსი ინსპექტორები, მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომების მეცხენეობის სახელმწიფო ინსპექტორები . . . . . . . . . . . . . . | 800 | 900 | 1000 |
| 13. მოკავშირე რესპუბლიკების (რსფსრ გამოკლებით) მიწსახკომების მთავარი ზოოტექნიკოსები, სსრ კავშირისა და რსფსრ მიწსახკომების დამამზადებელი კანტორების მთავარი ზოოტექნიკოსები, საჯიშე საქმისა და ჯიშწიგნების უფროსი ინსპექტორები, მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომების მეცხენეობის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები . . . . | 900 | 1000 | 1100 |
| 14. სსრ კავშირის მიწსახკომის მეცხენეობის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები, სსრ კავშირის, რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და სსრ კავშირისა და რსფსრ სხვა სახალხო კომისარიატების და მათი სადარგო შენაერთების მთავარი ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . | 1000 | 1100 | 1200 |
| 15. მეცხოველეობის საცდელი სადგურების დირექტორ-ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 800-დან 1000-მდე | | |
| 16. მეცხოველეობის საცდელი სადგურების დირექტორის მოადგილე-ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . . . . . . . . | 700-დან 900-მდე | | |
| 17. მეცხოველეობის საცდელი სადგურების განყოფილებების, სექტორებისა და ლაბორატორიების გამგე-ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 650-დან 850-მდე | | |
| 18. მეცხოველეობის საცდელი სადგურების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . . | 600-დან 800-მდე | | |
| 19. მეცხოველეობის საცდელი სადგურების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . . . | 500-დან 700-მდე | | |
| 20. მეცხოველეობის საცდელი სადგურების ლაბორანტი ზოოტექნიკოსები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 350-დან 500-მდე | | |
| 21. მეცხოველეობის საცდელი სადგურების უმცროსი ლაბორანტები და ტექნიკოსები . . . . . . . . . . . . . . . | 300-დან 400-მდე | | |

| ბ. ვეტერინარულ მუშაკებს | ვეტერინარული მუშაობის სტაჟი: 3 წელზე ნაკლები | 3-დან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
|---|---|---|---|
| 1. უბნებისა და პუნქტების, რაიონული და საქალაქო ვეტსამკურნალოების, ვეტპოლიკლინიკებისა და ამბულატორიების ვეტექიმები. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 500 | 600 | 700 |
| 2. პუნქტების გამგე ვეტტექნიკოსები და ვეტფერშლები, სასაზღვრო, სადაცვო-საკარანტინო და საექსპორტო-საიმპორტო ვეტსანპუნქტებსა, ბიოფაბრიკებსა და სატუნდრო და სამთაბარო რაზმებში მომუშავე ვეტტექნიკოსები და ვეტფერშლები, საშუალო ვეტერინარული განათლებით . . . . . . | 350 | 400 | 450 |
| 3. უბნების, პუნქტების, ვეტსამკურნალოების, ვეტპოლიკლინიკების, ვეტამბულატორიების, სახსაჯინიბოების, იპოდრომების, დამამზადებელი კანტორების, ბაზების სასუქი პუნქტების, სასწავლო მეურნეობების, რკინიგზის ტრანსპორტისა და სხვა ორგანიზაციების ვეტსანპუნქტების ვეტტექნიკოსები და ვეტფერშლები, ინსტრუქტორ-დეზინფექტორები, საშუალო ვეტერინარული განათლებით . . . . . . . . . | 300 | 350 | 400 |
| 4. ვეტსანიტრები და ვეტდეზინფექტორები . . . . . . . . | 200 | 225 | 250 |
| 5. საოლქო მიწგანების, რაიმიწგანების, საქალაქო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებისა და ქალაქთა რაისაბჭოების ვეტექიმები, საქალაქო და საქალაქთაშორისო ვეტბაქლაბორატორიების ვეტექიმები, ვეტზოოუბნების, საუბნო საქალაქო და რაიონული ვეტსამკურნალოების, ვეტპუნქტებისა და ვეტამბულატორიების გამგე ვეტექიმები, სახსაჯინიბოების, იპოდრომების, სახჯიშსაშენების, ზოოპარკებისა და სარაიონთაშორისო დამამზადებელი კანტორებისა და ბაზების ვეტექიმები . . . . . . . | 550 | 600 | 700 |
| 6. საოლქო მიწგანების, რაიმიწგანების, საქალაქო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო განყოფილებების, საქალაქო საბჭოების, ქალაქთა რაისაბჭოების, საქსაჯინიბოების, იპოდრომების და სახჯიშსაშენების მთავარი და უფროსი ვეტექიმები, რაიონული და სარაიონთაშორისო დამამზადებელი კანტორებისა და ბაზების უფროსი ვეტექიმები, ვეტბაქლაბორატორიათა და საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ვეტბაქლაბორატორიების განყოფილებათა გამგე ვეტექიმები, ზოოპარკების უფროსი ვეტექიმები, სასაზღვრო სადაცვო-საკარანტინო და საექსპორტო-საიმპორტო ვეტსანპუნქტების გამგე ვეტექიმები, სატუნდრო და სამთაბარო რაზმების ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . | 650 | 700 | 800 |
| 7. საოლქო და სამხარეო საძიწათმოქმედო განყოფილებების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და სხვა სახალხო კომისარიატების ვეტექიმები, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების ვეტექიმები | 600 | 650 | 750 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ვეტერინარული მუშაობის სტაჟი | | |
|---|---|---|---|
| | 3 წელზე ნაკლები | 3-დან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
| 8. საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომებისა და სხვა სახალხო კომისარიატების უფროსი ვეტექიმები და სახვეტინსპექტორები, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური დამამზადებელი კანტორების უფროსი ვეტექიმები, საკავშირო მნიშვნელობის იპოდრომებისა და ზოოპარკების უფროსი ვეტექიმები, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ვეტბაქლაბორატორიების გამგე (დირექტორი) ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 650 | 750 | 850 |
| 9. სსრ კავშირისა და რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების და მათი დამამზადებელი კანტორების, აგრეთვე სსრ კავშირისა და რსფსრ სხვა სახალხო კომისარიატების და მათი შენაერთების ვეტექიმები, ექსპერიმენტული ვეტერინარიის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტთან არსებული სსრ კავშირის მიწსახკომის ეპიზოოტოლოგ-ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 700 | 800 | 900 |
| 10. სსრ კავშირისა და რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების და მათი დამამზადებელი კანტორების, აგრეთვე სსრ კავშირისა და რსფსრ სხვა სახალხო კომისარიატების და მათი შენაერთების უფროსი ვეტექიმები და სახვეტინსპექტორები, საკავშირო მნიშვნელობის იპოდრომებისა და ზოოპარკების მთავარი ვეტექიმები . . . . . . | 750 | 850 | 950 |
| 11. საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებების, ავტონომიური რესპუბლიკების მიწსახკომებისა და სხვა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციების მთავარი ვეტექიმები, საოლქო, სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და ავტონომიურ რესპუბლიკათა (რსფსრ გამოკლებით) მიწსახკომების უფროსი სახვეტინსპექტორები | 800 | 900 | 1000 |
| 12. მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომთა უფროსი სახვეტინსპექტორები და მთავარი ვეტექიმები, დამამზადებელი კანტორების მთავარი ვეტექიმები (რსფსრ გამოკლებით) . | 900 | 1000 | 1100 |
| 13. სსრ კავშირის მიწსახკომის უფროსი სახვეტინსპექტორები, სსრ კავშირისა და რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების და სსრ კავშირისა და რსფსრ სხვა სახალხო კომისარიატების, მათი შენაერთებისა და კანტორების მთავარი ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . . | 1000 | 1100 | 1200 |
| 14. ვეტსანდაწესებულებების: ხორცსაკონტროლო სადგურების, საკვები პროდუქტების ლაბორატორიების, ტყავნედლეულის გამომკვლევი ლაბორატორიებისა და ვეტსანიტარული სადგურების ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . | 450 | 550 | 650 |

| | ვეტერინარული მუშაობის სტაჟი | | |
|---|---|---|---|
| | 3 წელზე ნაკლები | 3-დან 10 წლამდე | 10 წელზე მეტი |
| 15. წინაპუნქტში აღნიშნულ ვეტსანდაწესებულებათა გამგე ვეტექიმები, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ვეტბაქლაბორატორიების ვეტექიმები . . . . . . . . . . . | 500 | 600 | 700 |
| 16. ვეტსანზედამხედველობის ვეტექიმები: | | | |
| ა) რკინიგზის ვეტსანუბნების, სადეზინფექციო-სამრეცხაო სადგურებისა და ნედლეულის სადეზინფექციო სადგურების ვეტექიმები, საქალაქო ვეტსანპუნქტების ვეტექიმები, ყამირგზების ვეტპუნქტების ვეტექიმები . . . . . . . | 450 | 550 | 650 |
| ბ) ვეტსანზედამხედველობის, სადეზინფექციო-სამრეცხაო სადგურებისა და რკინიგზის ტრანსპორტის ვეტსანუბნების უფროსი-ვეტექიმები, ნედლეულის სადეზინფექციო სადგურების გამგე უფროსი ვეტექიმები და რკინიგზის ეპიზოოტოლოგი ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . . | 500 | 600 | 700 |
| გ) უფროსი ინსპექტორი ვეტექიმები რკინიგზის სამმართველოებთან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 650 | 750 | 850 |
| 17. ბიოფაბრიკებისა და საფენოლო ქარხნებთან არსებული საკონტროლო პუნქტების ვეტექიმები: | | | |
| ა) ბიოფაბრიკების მთავარი ექიმები, საკონტროლო ლაბორატორიების გამგე ვეტექიმები და ბიოფაბრიკების დირექტორ-ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . | 800 | 900 | 1000 |
| ბ) ბიოფაბრიკების საამქროების გამგე და საკონტროლო პუნქტების გამგე ვეტექიმები და საკონტროლო ლაბორატორიების ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . . | 700 | 800 | 900 |
| გ) ბიოფაბრიკების საამქროების განყოფილებათა გამგე ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 600 | 700 | 800 |
| დ) ბიოფაბრიკების საამქროების სპეციალისტი ვეტექიმები | 500 | 600 | 700 |
| 18. სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარული ლაბორატორიების სავეტერინარო საცდელი სადგურებისა და ცენტრალური სამეცნიერო-პრაქტიკული სადეზინფექციო ლაბორატორიის ვეტექიმები: | | | |
| ა) ვეტერინარული საცდელი სადგურების, სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარული ლაბორატორიებისა და ცენტრალური სამეცნიერო-პრაქტიკული სადეზინფექციო ლაბორატორიის დირექტორი ვეტექიმები . . . . . . . . . . . | 800-დან 1000-მდე | | |
| ბ) სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარული ლაბორატორიების ვეტერინარული საცდელი სადგურებისა და ცენტრალური სამეცნიერო-პრაქტიკული სადეზინფექციო ლაბორატორიის დირექტორების მოადგილე (სამეცნიერო დარგში) ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . . . . | 700-დან 900-მდე | | |
| გ) ვეტერინარული საცდელი სადგურების განყოფილება—სექტორებისა და ლაბორატორიების, სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარული ლაბორატორიებისა და ცენტრალური | | | |

| | ვეტერინარული მუშაობის სტაჟი: 3 წელზე ნაკლები · 3-დან 10 წლამდე · 10 წელზე მეტი |
|---|---|
| სამეცნიერო-პრაქტიკული სადეზინფექციო ლაბორატორიის გამგე ვეტექიმები . . . . . . . . . . . . . . . | 650 დან 850-მდე |
| დ) ვეტერინარული საცდელი სადგურების, სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარული ლაბორატორიებისა და ცენტრალური სამეცნიერო-პრაქტიკული სადეზინფექციო ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვეტექიმები. . | 600-დან 800-მდე |
| ე) ვეტერინარული საცდელი სადგურების, სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარული ლაბორატორიებისა და ცენტრალური სამეცნიერო-პრაქტიკული სადეზინფექციო ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვეტექიმები . . . . | 500-დან 700-მდე |
| 19. სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარულ დაწესებულებათა და ვეტლაბორატორიათა ლაბორანტები, დამთავრებული საშუალო სპეციალური განათლებით . . . . . . . . . . | 350-დან 500-მდე |
| 20. სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარულ დაწესებულებათა და ვეტლაბორატორიათა ლაბორანტები, რომელთაც არა აქვთ სპეციალური განათლება . . . . . . . . . . . . | 300-დან 400-მდე |
| 21. სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარულ დაწესებულებათა და ვეტლაბორატორიათა პრეპარატორები . . . . . . . | 200-დან 300-მდე |

2. საშუალო დამთავრებული განათლების მქონე ვეტერინარულ მუშაკებს, რომელთაც ვეტერინარულ ექიმთა თანამდებობა უკავიათ, დაუწესდეთ ხელფასის განაკვეთები მუშაობის გამოცდილებისა და დაკავებული თანამდებობის გათვალისწინებით 15%-ით ნაკლები იმ განაკვეთებზე, რაც დაწესებულია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებისათვის.

3. ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებს, რომელთაც არა აქვთ დამთავრებული საშუალო სპეციალური განათლება, ხელფასის განაკვეთები დაუწესდეთ მუშაობის სტაჟისა და დაკავებული თანამდებობის გათვალისწინებით 15%-ით ნაკლები იმ განაკვეთებზე, რაც დაწესებულია შესაბამის თანამდებობათა მიხედვით დამთავრებული საშუალო განათლების მქონე ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკთათვის.

4. იმ შემთხვევებში, როდესაც ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ ვეტერინარულ ექიმთა და ზოოტექნიკოსთა თანამდებობებს ასრულებენ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირნი, მათ დაწესებულ თანამდებობრივ განაკვეთზე დამატებით ეძლევათ 100 მანეთი და მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთ დაწესებულ თანამდებობრივ განაკვეთზე —200 მანეთი.

5. სასოფლო ადგილებში ან მუშათა დაბებში არსებულ უბანსა თუ პუნქტში მომუშავე ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკთათვის შენარჩუნებულ იქნას, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, ბინების, გათბობისა და განათების უფასოდ მიცემა ნატურით. დაევალოს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებსა და სამხარეო და საოლქო აღმასკომებს უზრუნველჰყონ ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკები სამიმოსვლო ტრანსპორტით იმ რაიონში, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკები ამ დადგენილების გამოცემამდე ხელფასის განაკვეთებს წანამატებითა თუ უწანამატოდ ახლადდაწესებულ განაკვეთებზე მეტს იღებდნენ, ეს განაკვეთები ენახებათ მათ მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ისინი იმავე თანამდებობაზე და იმავე ორგანიზაციაში მუშაობენ.

7. დამატებით იმ ჯილდოებისა, რაც გათვალისწინებულია მთავრობის მოქმედი დადგენილებებით, დაწესდეს, დაწყებული 1943 წლის მუშაობის შედეგებიდან, მეცხოველეობის განვითარების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკთა დაჯილდოების შემდეგი წესი:

ა) გამოსავალი სულადობის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის კოლმეურნეობებში ცალცალკე— ცხენის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის მიხედვით მიეცეს ჯილდოები თვიური ხელფასის 10%-ის რაოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ორი თვის ხელფასისა თვითეულს, რაიონში რაიმიწგანის გამგეს, რაიმიწგანის მთავარ ზოოტექნიკოსს, უფროს ვეტექიმს, ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს; ზოოვეტუბანში, პუნქტსა და ჯიშსაშენში—ჯიშსაშენის დირექტორს და უბნის, პუნქტისა და ჯიშსაშენის ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს; ჯილდოები მიეცეთ ყოველი სახის პირუტყვისათვის ცალცალკე, უკეთუ არ იქნება დაშვებული დანარჩენი სახის პირუტყვთა სულადობის შემცირება და შესრულებული იქნება ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა;

ბ) რაიონის კოლმეურნეობებში, ზოოვეტუბანში, პუნქტსა და ჯიშსაშენში რძის გამოწველის წლიური გეგმის შესრულებისათვის საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარების შესრულების შემთხვევაში ჯილდო მიეცეს თვიური ხალფასის რაოდენობით: რაიონში— რაიმიწგანის მთავარ ზოოტექნიკოსს, უფროს ვეტექიმს, ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს; ზოოვეტუბანში, პუნქტსა და

ჯიშსაშენში—უბნის, პუნქტისა და ჯიშსაშენის ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს. გარდა ამისა, საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე გასული წლის გამონაწველზე გადაჭარბებით მიღებული ყოველი 100 ლიტრი რძისათვის მიეცეს ჯილდო ნახევარი თვის ხელფასის რაოდენობით: რაიონში—რაიმიწგანის მთავარ ზოოტექნიკოსს, უფროს ვეტექიმს, ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს; ზოოვეტუბანში, პუნქტსა და ჯიშსაშენში—უბნის, პუნქტისა და ჯიშსაშენის ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს;

გ) რაიონის კოლმეურნეობებში, ზოოვეტუბანსა და პუნქტში ღორის გასუქების წლიური გეგმის შესრულებისათვის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესრულების შემთხვევაში ჯილდო მიეცეს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით: რაიონში—რაიმიწგანის გამგეს, რაიმიწგანის მთავარ ზოოტექნიკოსს, უფროს ვეტექიმს, ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს; ზოოვეტუბანსა და პუნქტში—უბნისა და პუნქტის ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს.

8. დადგენილ იქნას, რომ ჯილდოს მიცემა რაიმიწგანის გამგისა, ჯიშსაშენთა დირექტორებისა, რაიმიწგანის, ჯიშსაშენების, ზოოვეტუბნებისა და პუნქტების ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარული მუშაკებისათვის, ამ დადგენილების თანახმად, წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, წარმოებულ უნდა იქნას არაუგვიანეს შემდეგი წლის 15 თებერვლისა საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებათა და ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისართა ბრძანებებით.

9. ამ დადგენილების 1 მუხლში გათვალისწინებული ხელფასის განაკვეთები დიდდება აღნიშნული მუშაკებისათვის:

ა) 20%-ით—იაკუტიის ასსრ ირკუტსკის ოლქის კატანგის, ბოდაიბოს და კირენსკის რაიონებში და კრასნოიარსკის მხარის ომსკის ოლქის ხანტი-მანსიის ნაციონალურ ოკრუგში, ევენკთა ნაციონალურ ოკრუგსა და ტურუხანის რაიონში მომუშავეთათვის;

ბ) 50%-ით ჩრდილოეთის ყინულოვანი და წყნარი ოკეანეებისა და მათი მოსაზღვრე ზღვების კუნძულებზე, კომი ასსრ მურმანსკის ოლქში, არხანგელსკის ოლქის ნენეცთა ნაციონალურ ოკრუგში, პეჩორსკის ოკრუგში, ტროიცკო-პეჩორსკისა და უდორსკის რაიონებში, კრასნოიარსკის მხარის ომსკის ოლქის იამალო-ნენეცთა ნაციონალურ ოკრუგსა და ტაიმირის ნაციონალურ ოკრუგში, ხაბაროვსკის მხარის კამჩატკის, ნიჟნე-ამურისა და სახალინის ოლქებში, ჩრდილო-ევენკთა, სრედნეკანსკისა და ოლსკის რაიონებში.

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 თებერვლის დად-

გენილება „ზოოტექნიკურ მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ" (სსრ კავშირის დადგ. კრ., 1939 წ., № 10, მუხ. 70);

ბ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 თებერვლის დადგენილება „ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 10, მუხ. 71);

გ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 20 მაისის დადგენილება „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 4 თებერვალს „ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის გადიდების საკითხზე" გამოცემული დადგენილების გავრცელების შესახებ" ხორცისა და სამაცივრო მრეწველობის ვეტერინარულ მუშაკებზე (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 36, მუხ. 249);

დ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 2 ივლისის დადგენილება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 4 თებერვალს ზოოტექნიკურ მუშაკთა ხელფასის გადიდების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის „გ" პუნქტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 4 თებერვალს ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის გადიდების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის „გ" პუნქტის თურქმენეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე რაიონების ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებზე გავრცელების შესახებ (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 43, მუხ. 324);

ე) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 27 სექტემბერს ზოოტექნიკურ მუშაკთა ხელფასის გადიდებისა და ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის გადიდების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 თებერვლის დადგენილების რაიონულ და საქალაქო საბჭოებში სპეციალობის მიხედვით ნომუშავე ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებზე გავრცელების შესახებ (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 53, მუხ. 461).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მოლოტოვი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი.**

ჯიშსაშენში—უბნის, პუნქტისა და ჯიშსაშენის ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს. გარდა ამისა, საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე გასული წლის გამონაწველზე გადაჭარბებით მიღებული ყოველი 100 ლიტრი რძისათვის მიეცეს ჯილდო ნახევარი თვის ხელფასის რაოდენობით: რაიონში—რაიმიწგანის მთავარ ზოოტექნიკოსს, უფროს ვეტექიმს, ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს; ზოოვეტუბანში, პუნქტსა და ჯიშსაშენში—უბნის, პუნქტისა და ჯიშსაშენის ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს;

გ) რაიონის კოლმეურნეობებში, ზოოვეტუბანსა და პუნქტში ღორის გასუქების წლიური გეგმის შესრულებისათვის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესრულების შემთხვევაში ჯილდო მიეცეს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით: რაიონში—რაიმიწგანის გამგეს, რაიმიწგანის მთავარ ზოოტექნიკოსს, უფროს ვეტექიმს, ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს; ზოოვეტუბანსა და პუნქტში—უბნისა და პუნქტის ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს.

8. დადგენილ იქნას, რომ ჯილდოს მიცემა რაიმიწგანის გამგისა, ჯიშსაშენთა დირექტორებისა, რაიმიწგანის, ჯიშსაშენების, ზოოვეტუბნებისა და პუნქტების ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარული მუშაკებისათვის, ამ დადგენილების თანახმად, წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, წარმოებულ უნდა იქნას არაუგვიანეს შემდეგი წლის 15 თებერვლისა საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებათა და ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისართა ბრძანებებით.

9. ამ დადგენილების 1 მუხლში გათვალისწინებული ხელფასის განაკვეთები დიდდება აღნიშნული მუშაკებისათვის:

ა) 20%-ით—იაკუტიის ასსრ ირკუტსკის ოლქის კატანგის, ბოდაიბოს და კირენსკის რაიონებში და კრასნოიარსკის მხარის ომსკის ოლქის ხანტი-მანსიის ნაციონალურ ოკრუგში, ევენკთა ნაციონალურ ოკრუგსა და ტურუხანის რაიონში მომუშავეთათვის;

ბ) 50%-ით ჩრდილოეთის ყინულოვანი და წყნარი ოკეანეებისა და მათი მოსაზღვრე ზღვების კუნძულებზე, კომი ასსრ მურმანსკის ოლქში, არხანგელსკის ოლქის ნენეცთა ნაციონალურ ოკრუგში, პეჩორსკის ოკრუგში, ტროიცკო-პეჩორსკისა და უდორსკის რაიონებში, კრასნოიარსკის მხარის ომსკის ოლქის იამალო-ნენეცთა ნაციონალურ ოკრუგსა და ტაიმირის ნაციონალურ ოკრუგში, ხაბაროვსკის მხარის კამჩატკის, ნიჟნე-ამურისა და სახალინის ოლქებში, ჩრდილო-ევენკთა, სრედნეკანსკისა და ოლსკის რაიონებში.

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 თებერვლის დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილება „ზოოტექნიკურ მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრ., 1939 წ., № 10, მუხ. 70);

ბ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 თებერვლის დადგენილება „ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 10, მუხ. 71);

გ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 20 მაისის დადგენილება „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 4 თებერვალს „ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის გადიდების საკითხზე“ გამოცემული დადგენილების გავრცელების შესახებ“ ხორცისა და სამაცივრო მრეწველობის ვეტერინარულ მუშაკებზე (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 36, მუხ. 249);

დ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 2 ივლისის დადგენილება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 4 თებერვალს ზოოტექნიკურ მუშაკთა ხელფასის გადიდების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 4 თებერვალს ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის გადიდების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თურქმენეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე რაიონების ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებზე გავრცელების შესახებ (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 43, მუხ. 324);

ე) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 27 სექტემბერს ზოოტექნიკურ მუშაკთა ხელფასის გადიდებისა და ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის გადიდების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 თებერვლის დადგენილების რაიონულ და საქალაქო საბჭოებში სპეციალობის მიხედვით მომუშავე ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებზე გავრცელების შესახებ (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 53, მუხ. 461).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მოლოტოვი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 52

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სახალხო კომისარიატებსა და უწყებებში საბინაო განყოფილებების (სექტორების) მოწყობის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 21 დეკემბრის № 1405 დადგენილება „სახალხო კომისარიატებისა და უწყებების საბინაო განყოფილებათა (სექტორების) შესახებ" დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს დააზუსტონ მათს გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის ოდენობა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას წარუდგინონ მასალები საბინაო განყოფილებათა (სექტორების) შტატების დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ს ლ ი

# სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო
# დადგენილება № 1405

1943 წლის 21 დეკემბერი მოსკოვი, კრემლი

**სახალხო კომისარიატებისა და უწყებების საბინაო განყოფილებათა (სექტორთა) შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იმ სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს, რომელთაც თავის განკარგულებაში 200 ათასი კვ. მეტრი საბინაო ფონდი მაინც მოეპოვებათ, აღადგინონ და სადაც არ არსებობდა—ახლად მოაწყონ საბინაო განყოფილებანი 5—9 კაცის შემადგენლობით, ხოლო იმ სახალხო კომისარიატებმა და უწყებებმა, რომელთაც თავის განკარგულებაში 200 ათას კვ. მეტრამდე საბინაო ფონდი მოეპოვებათ, მოაწყონ საბინაო სექტორები 3—5 კაცის შემადგენლობით.

დადგენილ იქნას, რომ საბინაო განყოფილებანი (სექტორები) უშუალოდ ემორჩილებიან სახალხო კომისრის (უწყების ხელმძღვანელის) ერთერთ მოადგილეს.

2. დაეკისროს სახალხო კომისარიატებისა და უწყებების საბინაო განყოფილებებს (სექტორებს):

ა) პასუხისმგებლობა საწარმოთა და დაწესებულებათა საბინაო ფონდის შენახვისა და ექსპლოატაციისათვის და საცხოვრებელი სახლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის თავის დროზე ჩატარებისათვის;

ბ) საბინაო მშენებლობის (ინდივიდუალური მშენებლობის ჩათვლით), კაპიტალური რემონტისა და აგრეთვე გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში საბინაო ფონდის აღდგენის გეგმების შედგენა და მათი შესრულების კონტროლი;

გ) საწარმოთა შინაგანი რესურსების მობილიზაცია და აგრეთვე დამხმარე წარმოებათა ორგანიზაცია საცხოვრებელი სახლების მშე-

ნებლობისა და კაპიტალური რემონტის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი სამშენებლო მასალებით, სამშენებლო დეტალებით, კვეულობითა და საღუმელე სხმულით.

ბიბლიოთეკა

3. დაევალოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს ერთი თვის განმავლობაში დაამტკიცონ ამ დადგენილების შესაბამისად დებულებანი საბინაო განყოფილებათა (სექტორთა) შესახებ.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას ორი დეკადის განმავლობაში დაამტკიცოს საბინაო განყოფილებების (სექტორების) მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები სახალხო კომისარიატებისა და უწყებებისათვის დამტკიცებული შტატებისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მოლოტოვი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 53

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სამრეწველო საწარმოებს შორის ელექტროენერგიის ეკონომიისა და კოსინუს „ფი“-ს კოეფიციენტის გაუმჯობესების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის IV კვარტალის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ელექტროენერგიის ეკონომიისა და კოსინუს „ფი“-ს კოეფიციენტის გაუმჯობესების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სამრეწველო საწარმოები და მიენიჭოს:

პირველი ადგილი—ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილებას, რომელსაც გადაეცეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს ფულადი პრემია ორმოცი ათასი მანეთის რაოდენობით.

ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილების უფროსი ამხ. **ლოგუა.**

ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. **კონტრიძე.**

მეორე ადგილები—ა) სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატის კიროვის სახელობის № 228 ქარხანას, რომელსაც მიეცეს ფულადი პრემია ათი ათასი მანეთის რაოდენობით.

ქარხნის დირექტორი ამხ. **სარიშვილი**

ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. **ნადიროვი.**

ბ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 26 კომისრის სახელობის ქარხანას, რომელსაც მიეცეს ფულადი პრემია ათი ათასი მანეთის რაოდენობით.

ქარხნის დირექტორი ამხ. **მელაძე.**
ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. **ალაპოვი.**

მ ე ს ა მ ე ა დ გ ი ლ ე ბ ი—ა) სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ჭიათურის მარგანეცის ტრესტს, რომელსაც მიეცეს ფულადი პრემია ათი ათასი მანეთის რაოდენობით.

ტრესტის მმართველი ამხ. **ანდღულაძე.**
ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. **ასათიანი.**

ბ) სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატის № 233 ქარხანა „ცენტროლიტს", რომელსაც მიეცეს ფულადი პრემია ხუთი ათასი მანეთის რაოდენობით.

დირექტორი ამხ. **სიხარულიძე.**
ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. **ლომიშვილი.**

აღინიშნოს შემდეგი საწარმოების კარგი მუშაობა ელექტროენერგიის ეკონომიისა და კოსინუს „ფი"-ს კოეფიციენტის გაუმჯობესებისათვის ჩატარებულ ღონისძიებათა მხრივ:

1. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ავჭალის ჩაისსაწონი ფაბრიკისა—დირექტორი ამხ. ნანეიშვილი;
2. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატისა—დირექტორი ამხ. თოთიბაძე;
3. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატისა—დირექტორი ამხ. თუშიშვილი;
4. გაზეთ „კომუნისტის" სტამბისა—დირექტორი ამხ. წივწივაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 54

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### პროტეზებისათვის საჭირო ნახევარფაბრიკატების წარმოების მოწყობის შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 12 ოქტომბრის № 4311 დადგენილების შესასრულებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ამხ. ელისაბედაშვილს არაუგვიანეს 1944 წლის 1 აპრილისა მოაწყოს საპროტეზო-ორთოპედულ წარმოებასთან საამქრო, რომელიც დაამზადებს პროტეზების ნახევარფაბრიკატებს, რაც ამჟამად სხვა მხარეებიდან შემოაქვთ, ისეთი სიმძლავრისა, რომელიც უზრუნველჰყოფს პროტეზების გამოშვების წლიური საწარმოო პროგრამის შესრულებას.

2. წინადადება მიეცეს:

ა) საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს ერთი თვის ვადაში გაანთავისუფლოს და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საპროტეზო-ორთოპედულ წარმოებას გადასცეს საპროტეზო-ორთოპედული წარმოების მექანიკური საამქროს გვერდით (სიონის ქ. № 13) მდებარე დარაბა, რომელიც არტელ „ჩვენი შრომის“ სამკერვალო საამქროს უჭირავს, ხოლო აღნიშნული საამქრო გადაიყვანოს საქინკოოპკავშირის სისტემის სხვა შენობაში;

ბ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. გორდეზიანმა დაამზადოს და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის საპროტეზო-ორთოპედულ წარმოებას თანაბარ პარტიებად ჩააბაროს 1944 წლის განმავლობაში 5.000 ცალი ხრახნი და ზოლებად დასჭრას 2 ტონა ფურცლოვანი ფოლადი

ტექნიკური მოთხოვნების თანახმად და შემკვეთის მასალისაგან.

3. დაევალოს:

ა) საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ბოჯგუას გადასცეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის საპროტეზო-ორთოპედულ წარმოებას შემდეგი მოწყობილობა, რომელსაც ინსტიტუტი ვერ იყენებს:

ჭანჭიკსაჭრელი ჩარხი მოწყობილობით ქანჩების
დასაჭრელად . . . . . . . . . . . . . 1 კომპლექტი
მხვრეტელი წნეხი . . . . . . . . . . . . . 1 ცალი
სამაგიდო-საბურღი ჩარხი დ. 8 მ/მ . . . . . . 1 „
საბურღი ჩარხი „სვეტზე" დ. 12" . . . . . 1 „
ორშპინდელიანი საპრიალებელი ჩარხი . . . . 1 „
ბერკეტისა და ხელის მაკრატლები ლითონზე . 1 „

ბ) საქართველოს სსრ ჯანსახკომის მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ბოკუჩავას გადასცეს დროებითი სარგებლობისათვის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საპროტეზო-ორთოპედულ წარმოებას განივ სარანდავი ჩარხი „შეპინგი".

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში მოაწყოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საპროტეზო-ორთოპედული წარმოების მუშაკთათვის დახურული ტიპის სასადილო საპროტეზო წარმოებისათვის გამოყოფილი სასურსათო ფონდების ანგარიშში.

5. წინადადება მიეცეს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ბერიშვილს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ამხ. ბუაჩიძეს, „გლავხიმსბიტის" თბილისის კანტორის მმართველს ამხ. რუსიას, „სოიუზპრომმეტიზსბიტის" თბილისის კანტორის მმართველს ამხ. მამალაძეს, „გლავცვეტმეტსბიტის" თბილისის კანტორის მმართველს ამხ. დანილევიჩს, ტრესტ საქმომარაგების მმართველს ამხ. კვანტალიანს და „გლავმეტალოსბიტის" საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. მემარნიშვილს მისცენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საპროტეზო-ორთოპედულ წარმოებას 1944 წლის I კვარტალში მასალები და ინსტრუმენტები, დანართის თანახმად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს მატერიალური მომარა-

გების გეგმების შედგენისას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დამატებითი მოთხოვნილება მასალებზე პროტეზებისათვის საჭირო ნახევარფაბრიკატების წარმოების მოწყობასთან დაკავშირებით.

7. დაევალოს ამხ. თარგამაძეს და ამხ. ელისაბედაშვილს მიიღონ ზომები იმ პროტეზების თვითღირებულების შესამცირებლად, რომლებსაც საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საპროტეზო-ორთოპედული წარმოება უშვებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 20/I
№ 54 დადგენილების დანართი

# სია

**იმ მასალებისა და ინსტრუმენტებისა, რომლებიც საქ. სსრ სოც-უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის საპროტეზო - ორთოპედულ წარმოებას უნდა გამოეყოს 1944 წლის პირველ კვარტალში**

| მასალებისა და ინსტრუმენტების დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომლებიც მასალებს გამოყოფენ |
|---|---|---|---|
| სამშენებლო აგური . . . | ათას ცალობით | 3,0 | სამშენებ. მას. მრეწვ. მთავ. სამმართვ.—საბურთალოს აგურის ქარხანა |
| ც ე მ ე ნ ტ ი . . . . . | ტონა | 1 | ტრესტი საქმომარაგება |
| ო ლ ი ფ ა . . . . . . . | კგ | 100 | „ „ |
| თ ე თ რ ა . . . . . . . | „ | 100 | „ „ |
| ლურსმანი . . . . . . . | „ | 50 | „ „ |
| კ ა ლ ა . . . . . . . . | „ | 2 | „ „ |
| შაბიამანი . . . . . . | „ | 10 | „ „ |
| მიქრონის მავთ. (0,35-დან 0,8 მ/მ-მდე) . . . . . | „ | 1 | „ „ |
| დაფქვილი ცარცი . . . . | ტონა | 1,5 | „ „ |
| ბურღები (3-დან 10 მ/მ-მდე) | ცალი | 200 | „ „ |
| კარბიდი . . . . . . . . . | კგ | 200 | „გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორა, 1944 წ. I კვარტალის ფონდების ანგარიშში |
| ნიკელის მარილი . . . | „ | 15 | „ „ |
| მარილმჟავა . . . . . . | „ | 20 | „ „ |
| აზოტმჟავა . . . . . . . | „ | 10 | „ „ |
| რკინის მავთული . . . . | ტონა | 0,5 | „სოიუზპრომეტისზბიტის“ თბილისის კანტორა, საქ. სსრ 1944 წ. I კვარტ. ფონდების ანგარიშში |
| საშტამპო ლენტი . . . . | „ | 0,5 | „ „ |
| ფოლადის მავთული . . . | „ | 0,2 | „ „ |
| მრგვალი ხარისხოვ. რკინა | „ | 0,5 | „გლავმეტალოსბიტის“ საქ. კანტორა, საქ. სსრ 1944 წ. I კვარტ. ფონდების ანგარიშში |
| სახურავი რკინა . . . . . | „ | 0,1 | „ „ |
| ნ ა გ ლ ი ნ ი | „ | 0,1 | „ „ |
| ფურცლოვ. ფოლადი (1-5 მმ) | „ | 0,5 | „ „ |
| ნიკელის ანოდები . . . . | კგ | 5 | „გლავცვეტმეტსბიტის“ თბილისის კანტორა, საქ. სსრ 1944 წ. I კვარტალის ფონდების ანგარიშში. |
| ბ ი მ ე ტ ა ლ ი . . . . | ტონა | 0,2 | „ „ |
| სადურგლო წებო, მშრალი | კგ | 30 | საქ. სსრ ხორცრძემრეწვ. სახ. კომისარიატის ხორცკომბინატი |

| მასალებისა და ინსტრუმენტების დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომლებიც მასალებს გამოყოფენ |
|---|---|---|---|
| სხვადასხვა ქლიბი . . . . | ცალი | 100 | საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატი |
| ჩახსაკრავი (40 მ/მ საიმპორტო) . . . . . . . | ათას მეტრ. | 3,0 | საქ. სსრ მსუბ. მრეწვ. სახ. კომისარიატი |
| თითბრის მავთული . . . | კგ | 100 | " " |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 55

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ ფინსახკომის მოხსენებითი ბარათი სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა შემოწმების შედეგების შესახებ**

სარეწაო კავშირისა და საქინკოოპკავშირის სისტემის არტელების მუშაობის შემოწმებით გამოირკვა, რომ დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა მომსახურების საქმე და ადგილი აქვს მოქმედ კანონმდებლობათა და არტელების წესდებათა დარღვევას.

შესრულებული არ არის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 19 ოქტომბრის № 1621 დადგენილება „ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების 1942 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სარემონტო სახელოსნოთა ქსელის გაფართოებას სარეწაო კავშირის სისტემაში. გეგმით გათვალისწინებული 1102 სარემონტო წერტის ნაცვლად, 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშაობდა მხოლოდ 935 წერტი. საქინკოოპკავშირის ხაზით 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშაობდა 254 სარემონტო წერტი.

სარეწაო კავშირისა და საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმის მხრივ სუსტი კონტროლის შედეგად, აგრეთვე არტელების სარევიზიო კომისიების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად, არსებულ სახელოსნოებში ადგილი აქვს მომხმარებელთა მოტყუების ფაქტებს და სახელოსნოების მუშაობის გამოყენებას არტელების ცალკეულ წევრთა მიერ პირადი სარგებლობისათვის.

საკმაოდ არ ხდება სახელოსნოების მომარაგება ნედლეულითა და დამხმარე მასალებით, რის გამო ბევრ არტელში მუშაობა არტელის წევრთა კუთვნილი მასალით სწარმოებს.

სახელოსნოების მნიშვნელოვან ნაწილში ირღვევა დაწესებული საპრეისკურანტო ფასები (არტელები „წითელი დარაჯი“, „შეკავშირება“, „უნივერკოოპი“ და სხვ.).

მოსახლეობის შეკვეთების გაფორმება და აღრიცხვა არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს: შემკვეთებს არ ეძლევათ ქვითრები და თუ ეძლევათ, ეს მათი შევსების დადგენილი წესების დარღვევით ხდება. მაგალითად, ქ. თბილისში შემოწმებული 504 წერტიდან 81 სახელოსნოში აღმოჩენილია შეკვეთები, რომლებზედაც ქვითრები გაცემული არ ყოფილა.

ბევრ არტელში ნავაჭრი თანხის საჩეკო აღრიცხვას ფორმალური ხასიათი აქვს და ვერ უზრუნველჰყოფს ნავაჭრი თანხის სათანადო აღრიცხვასა და კონტროლს (არტელები: „წითელი ოქტომბერი“, „შეკავშირება“, ფ. მახარაძის სახელობისა და სხვ.).

ამასთან ერთად შემოწმებით დადასტურდა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სახელოსნოებს იჯარით აძლევენ ცალკეულ შინამრეწველებს, რომლებიც, აბარებენ რა არტელს ნავაჭრ თანხას დაწესებული გეგმის მიხედვით, სრულიად უკონტროლოდ მუშაობენ (არტელ „ბავშვთა სამყაროს“, „წითელი ქიზიყის“ და სხვ. სახელოსნოები).

არ არის მიღებული ზომები არტელების წევრთა კუთვნილი ინსტრუმენტებისა და ინვენტარის სრული განსაზოგადოებისათვის.

შრომის დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის უქონლობის გამო, არის ისეთი შემთხვევები, როცა სამუშაო საათებში კერძო შეკვეთები სრულდება.

საკმაოდ არ არიან ჩაბმული სახელოსნოების მუშაობაში შინ მომუშავენი.

მთელი რიგი სახელოსნოებისათვის დაწესებული გეგმები შემცირებულია და არ შეესაბამება მათს ფაქტიურ შესაძლებლობას.

საქინკოოპკავშირის არტელებში ადგილი აქვს მუშახელის დაქირავების დაწესებული ნორმების გადამეტებას: საქინკოოპკავშირის მუშაკთა საერთო რიცხვიდან—4507 კაციდან 1943 წლის 1 დეკემბრისათვის დაქირავებული მუშახელი შეადგენდა 1437 კაცს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 900 კაცისა.

საქინკოოპკავშირი სრულიად არასაკმაოდ იზიდავს არტელებში სამამულო ომის ინვალიდებს: 1944 წლის 1 იანვრისათვის სისტემაში მუშაობდა სამამულო ომის მხოლოდ 98 ინვალიდი და მომზადებას გადიოდა სულ 15 კაცი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკო-

მების, სარეწაო კავშირისა და საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმების თავმჯდომარეებს:

ა) განიხილონ 1944 წლის პირველ კვარტალში სარეწაო არტელების მუშაობის მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, ამასთან გამოსძებნონ ადგილობრივი ნედლეულის რესურსების მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობანი;

ბ) ყოველკვარტალურად შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ არტელების საწარმოები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 1 მარტის № 290 დადგენილებას „სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1941 წლის 7 იანვარს „ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ" მიღებული № 54 დადგენილების რეალიზაციის თაობაზე";

გ) მოაწყონ საზოგადოებრივი კონტროლი როგორც არტელების საწარმოთა მიერ დაწესებული საპრეისკურანტო ფასების დაცვისადმი, ისე შეკვეთების ხარისხოვნად შესრულებისადმიც.

2. წინადადება მიეცეს სარეწაო კავშირის და საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმების თავმჯდომარეებს:

ა) მიაღწიონ იმას, რომ უფრო ფართოდ ჩააბან მუშაობაში შინ მომუშავენი ინვალიდთა და იმ ქალთა რიცხვიდან, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ;

ბ) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ აღმასკომებთან შეთანხმებით უზრუნველჰყონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოთა ქსელის სწორად განაწილება და მიიღონ ზომები მათი მაქსიმალური დატვირთვისათვის;

გ) უზრუნველჰყონ სახელოსნოების თანაბრად მომარაგება საჭირო ნედლეულითა და დამხმარე მასალებით;

დ) სასტიკი კონტროლი გაუწიონ საპრეისკურანტო ფასების დაცვას, აგრეთვე ყოველგვარი შეკვეთებისა და არტელების სახელოსნოთა მიერ შესრულებული სამუშაოების აღრიცხვას. სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან შეკვეთების გაფორმების წესისა და საპრეისკურანტო ფასების დარღვევაში.

შესრულებული შეკვეთებისა და სხვა სამუშაოების გაფორმება აწარმოონ ერთიანი ნიმუშის ქვითრებითა და ჩეკებით. საჭირო დოკუმენტაციის მიწოდება მოხდეს მტკიცე ანგარიშგების ბლანკებისათვის დადგენილი წესით;

ე) კატეგორიულად აკრძალონ სახელოსნოების იჯარით გაცემის პრაქტიკა და შემოიღონ ისეთი წესი, რომელიც უზრუნველჰყოფს

არტელების სახელოსნოების მთლიანად დატვირთვას, აგრეთვე ნავაჭრი თანხის სრულ აღრიცხვას;

ვ) მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ დაგეგმვის, გამომუშავების ნორმებისა და ნედლეულისა და მასალის ხარჯვის გამორკვევის ხარისხი, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, გამომუშავებული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე არსებული მოწყობილობის სრულად დატვირთვის გათვალისწინებით;

ზ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ არტელის ყოველი წევრის მუშაობას, რისთვისაც ჩაატარონ რევიზიები და უეცარი შემოწმება და იმ პირთა მიმართ, რომლებიც არტელის წესდებას არღვევენ, მიიღონ ზომები თვით სამართალში მიცემამდეც კი;

თ) სათანადო სიმაღლეზე დააყენონ შრომის დისციპლინა, რისთვისაც სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს გადასცენ დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად მასალები შრომის დისციპლინის დამრღვევთა შესახებ, აგრეთვე არტელების იმ ხელმძღვანელთა შესახებ, რომლებიც არ ღებულობენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

3. წინადადება მიეცეს საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმს (ამხ. შაფაქიძეს):

ა) 1944 წლის I კვარტალის განმავლობაში შეუფარდოს დაქირავებული მუშახელის რაოდენობა დაწესებულ ნორმას;

ბ) მიიღოს ზომები იმისათვის, რომ უფრო მეტად იქნან მიზიდული არტელების წევრებად სამამულო ომის ინვალიდები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) სისტემატურად ჩაატაროს სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოების შემოწმება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს განცალკევებულ სადგომებში მოთავსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების, აგრეთვე შინ მომუშავეთა გამოკვლევას;

ბ) გააუმჯობესოს მუშაობა შინამრეწველ ხელოსანთა გამოსავლინებლად და მათს დასაბეგრავად არაკოოპერირებული სარეწისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 56

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### სადმელის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მოწყობის შესახებ

1944 წლის I კვარტალში საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სადმელის სატყეო აგარაკში ხე-ტყის დამზადების სამუშაოების გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს ტრესტ საქტყედამზადების სისტემაში სადმელის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა.

2. დამტკიცდეს სადმელის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის შტატი სატყეო-სამრეწველო მეურნეობათათვის მიღებული ტიპიური საშტატო ცხრილის შესაბამისად, თანახმად დანართისა.

3. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაში მოახდინონ სადმელის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საბრუნავი სახსრების ნორმატივის გაანგარიშება.

4. მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მაღლაკელიძემ დახმარება გაუწიოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს იმ მხრივ, რომ შეაგროვოს 23 ახალგაზრდა მუშა დაცურების საქმის შესასწავლად მდინარე რიონზე.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. მარჯანიშვილმა დამატებით შეაგროვოს ამ მიზნისათვის საქართველოს სსრ სხვა რაიონებში 10 კაცი იმ ანგარიშით, რომ 30—33 კაცამდე აიყვანოს იმ ახალგაზრდა მუშების საერთო რაოდენობა, რომლებიც დაცურების საქმეს სწავლობენ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. მარჯანიშვილს:

ა) ერთი თვის ვადაში მოიყვანოს წესრიგში და სადმელის სატყეო-სამრეწველო მეურნეობას გაუგზავნოს ორი ტრაქტორი არსებული სატრაქტორო პარკიდან, ხე-ტყის გადასატანად, და 4 ავტომანქანა „ზის-5“;

ბ) მოაწყოს 1944 წელს 30 ახალგაზრდა მეტივის მომზადება იმ ანგარიშით, რომ მათ გაიარონ დაცურების საქმის მოკლე კურსი და შემდეგში მიმაგრებულ იქნან წარმოებაში კადრის ძველ მეტივეებზე, რომლებიც მდინარე რიონზე მუშაობენ.

6. ეთხოვოს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. სალტიკოვს გამოუყოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1944 წლისათვის საჭირო სახსრები მდინარე რიონზე ახალგაზრდა მეტივეების მოსამზადებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 20/I
№ 56 დადგენილების დანართი.

## სსრ კავშირის სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატის სატყეო-სამრეწველო მეურნეობებისა და მექანიკური სატყეო პუნქტების ადმინისტრატიულ - სამეურნეო პერსონალის ტიპიური შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები

| თანამდებობათა დასახელება | V კატეგორია მერქნის გამოზიდვის მოცულობით 30 ათას კუბ. მეტრამდე | |
|---|---|---|
| | საშტატო ერთეულთა რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი |
| დირექტორი | 1 | 800 |
| ტექნიკური ხელმძღვანელი | 1 | 700 |
| დირექტორის მოადგილე | — | — |
| ინსპექტორი კადრების დარგში | — | — |
| ინჟინერი | — | — |
| ტექნიკოსი | 2 | 450 |
| მგეგმავი | 1 | 550 |
| სტატისტიკოსი | — | — |
| ინსპექტორი რეალიზ. დარგში | 1 | 450 |
| უფროსი ბუხჰალტერი | 1 | 600 |
| ბუხჰალტერი | 1 | 450 |
| მოანგარიშე | — | — |
| მოანგარიშე—მოლარე | 1 | 250 |
| საქმისმწარმოებელი | 1 | 250 |
| მემანქანე | — | — |
| აგენტი მომარაგების დარგში | — | — |
| სამნეო ნაწილის გამგე | 1 | 300 |
| მეჯინიბე | 1 | 150 |
| დამლაგებელი—შიკრიკი | — | — |
| დარაჯი | 1 | 120 |
| ს უ ლ | 13 | |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 57

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სახკომსაბჭოს პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი კომისიის ოქმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სახკომსაბჭოს პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი კომისიის 1943 წლის 16 დეკემბრის ოქმი № 7 და კომისიის გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 1944 წლის 1 იანვრიდან.

2. გაუდიდდეს პერსონალური პენსია ამხ. ი. მ. ბერბერაშვილს ხუთას (500) მანეთამდე თვეში 1944 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 58

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მოქ. რუსიშვილის განცხადება პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს ამხ. თარგამაძეს, ამხ. ელისაბედაშვილთან ერთად, ერთხელ კიდევ გულდასმით შეამოწმოს მთელი დოკუმენტები მოქ. რუსიშვილისათვის პერსონალური პენსიის დანიშვნის საკითხზე და თავისი დასკვნა სამი დღის ვადაში წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 59

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**აბრეშუმის ქსოვილისაგან სამხატვრო-საგალანტერიო ნაწარმის დამზადების საქმის მოწესრიგების შესახებ**

სავაჭრო ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი ცეკავშირი და სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის თბილისის უნივერმაღი, არასწორად იყენებენ საბაზრო ფონდის აბრეშუმის ქსოვილებს მხატვრული გალანტერიის ბატიკისა და სხვა ნაწარმის დიდი რაოდენობით გადასამუშავებლად.

მხატვრული გალანტერიის ბატიკისა და სხვა ნაწარმის გამოსამუშავებლად მარტო ქალაქ თბილისში 9 ორგანიზაციას აქვს წარმოებანი და საამქროები, რომლებიც ხშირად ცუდი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ცეკავშირის პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს საგალანტერიო პროდუქციისათვის გადასამუშავებლად გამოიყენონ აბრეშუმის ქსოვილების საბაზრო ფონდების არაუმეტეს 5%-სა, ხოლო დანარჩენი აბრეშუმის ქსოვილებისაგან, რომლებიც ნებადართულია სამრეწველო გადასამუშავებლად, გამოუშვან მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საგნები, როგორიცაა: ბავშვთა სამკერვალო ნაწარმი, კაცის პერანგები, საბნები და სხვა.

2. კატეგორიულად აეკრძალოს ცეკავშირს აბრეშუმის ქსოვილის იმ ფონდების გამოყენება საგალანტერიო ნაწარმისათვის სამრეწველო გადასამუშავებლად, რომლებიც გამოყოფილია პარკის ჩამბარებელთათვის.

3. ნება დაერთოს საქართველოს სს რესპუბლიკაში, გარდა საქარ-

თველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემისა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მხატვრული ნაწარმის ტრესტს დაამზადოს ბატიკი აბრეშუმის ქსოვილების გადამუშავების ბაზაზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. ნ. გიორგაძეს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს, სარეწაო კავშირს—ამხ. აბაიშვილს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ამხ. ელისაბედაშვილს, ცეკავშირის პრეზიდიუმს—ამხ. ნარსიას, „ოპტპრომტორგის" საქართველოს ბაზის დირექტორს ამხ. ოსიპოვს, თბილისის უნივერმაღის დირექტორს ამხ. მარტიაშვილს, საქდინამოს—ამხ. სამუშიას 1944 წლის იანვრის განმავლობაში მოახდინონ მათ სისტემაში არსებულ ბატიკის იმ საწარმოთა ლიკვიდაცია, სადაც აბრეშუმის ქსოვილების გადამუშავება ხდება, ხოლო ამ საწარმოებში დაბანდებული მუშაკები გადასცენ სხვა საწარმოებს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების ბიუროს მითითების თანახმად.

5. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს—ამხ. ანანიევს, თბილისის საქალაქო სამრეწველო კომბინატის ბატიკის საამქროს შენობა გადასცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მხატვრული ნაწარმის ტრესტს.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს:

ა) გამოიმუშაოს ბატიკის ნაწარმი ძირითადად არაკონდიციური აბრეშუმის ქსოვილებისაგან;

ბ) უზრუნველჰყოს, რომ ბატიკური ნაწარმის გამომუშავებას ეწეოდნენ უმთავრესად მხატვრები და არა სხვა პროფესიების პირები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ცეკავშირის პრეზიდიუმს და სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის თბილისის უნივერმაღის დირექციას აბრეშუმის ის ქსოვილები, რომლებიც განკუთვნილია სამხატვრო-საგალანტერიო პროდუქციის გამოსამუშავებლად, გადასცენ სახელშეკრულებო საფუ-

ძვლებზე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მხატვრული ნაწარმის ტრესტს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებით გამოუშვას ასორტიმენტული საქონელი ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 61

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ

**სოფლებში, რაიცენტრებსა და ქალაქებში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მოწყობის საკითხზე აქტივის კრებების ჩატარების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებათა შექმნის დღიდან წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 25 იანვრიდან 20 თებერვლამდე სოფლებში, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ჩაატარონ აქტივის კრებები სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხზე, რომლებზედაც აღმასკომების თავმჯდომარეებმა გააკეთონ მოხსენებები ფრონტელთა ოჯახების მოწყობისათვის ჩატარებული მუშაობისა და ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ.

2. დაევალოს ამხ. კ. მ. თარგამაძეს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **Ვ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **Ხ. ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

1944 წლის 23 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 62
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ქალაქ თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან და ფოთიდან უპატრონო ბავშვების გამოყვანის შესახებ**

სხვა მხარეებიდან და რესპუბლიკებიდან ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ფოთში ჩამოსული უპატრონო და უმეთვალყურო ბავშვების საბავშვო დაწესებულებებსა და საწარმოებში მოწყობის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. კოჭლავაშვილს:

ა) ხუთი დღის განმავლობაში უზრუნველჰყოს ქალაქ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ბავშვთა მიმღებებში მყოფი ბავშვების სამედიცინო შემოწმება და სანდამუშავება და გადასცეს:

150 ბავშვი 14 წლის ასაკამდე—განსახკომს საბავშვო სახლებში მოსათავსებლად.

50 ბავშვი 14-დან 16 წლის ასაკამდე—შრომითი რეზერვების სამმართველოს სახელოსნო სასწავლებლებში მოსაწყობად.

40 ბავშვი 14-დან 16 წლის ასაკამდე—შინსახკომის ქუთაისისა და სტალინირის შრომის საალმზრდელო კოლონიებს.

20 ბავშვი, რომელთაც მშობლები ჰყავთ და ამჟამად მიმღებებში იმყოფებიან, დაუბრუნოს მშობლებს;

ბ) მიიღოს სასწრაფო ზომები და ერთი კვირის განმავლობაში დაამთავროს უპატრონო და უმეთვალყურო ბავშვების გამოყვანა ქალაქ თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან და ფოთიდან და მათი მოთავსება სათანადო საბავშვო დაწესებულებებსა და საწარმოებში.

2. ნება დაერთოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) განსახკომს—ამხ. კიკნაძეს—მიიღოს საქართველოს სსრ შინსახკომის მიმღებ-განმანაწილებლებიდან 150 ბავშვი უტანსაცმლოდ და უზრუნველჰყოს ისინი ტანსაცმლით საბავშვო სახლებში;

ბ) საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსს ამხ. ჩხეიძეს მიიღოს საქართველოს სსრ შინსახკომის მიმღებ-განმანაწილებლებიდან, გამონაკლისის წესით, 50 ბავშვი უტანსაცმლოდ და უზრუნველჰყოს ისინი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით სახელოსნო სასწავლებლებში ჩარიცხვის შემდეგ.

3. დაევალოს:

ა) თბილვაჭრობის დირექტორს ამხ. კილასონიას სამი დღის განმავლობაში გადასცეს განსახკომს 150 ბავშვის პალტო საქონლის იმ პარტიიდან, რომელიც იკერება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 12 დეკემბრის № 260-გს განკარგულების თანახმად;

ბ) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას—სამი დღის განმავლობაში მისცეს განსახკომს საბავშვო სახლებისათვის 150 წყვილი ფეხსაცმელი საქართველოს სსრ მიმდინარე წლის I კვარტალის ფონდების ანგარიშში და 2000 მეტრი საფარაჯე მაუდის ნაჭერი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 63
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ახალქალაქის რაიონის ცალკეული სოფლებისათვის 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთის გადიდებისა და შემცირების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ 1943 წლის 30 დეკემბერს სამხედრო გადასახადის შესახებ გამოცემული № 833 ინსტრუქციის მე-30 §-ის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის ბიუროს 1944 წლის 8 იანვრის შუამდგომლობა და სამხედრო გადასახადის რაიონული განაკვეთი, რაც დაწესებულია ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის 320 მანეთის რაოდენობით, შემცირდეს 50%-ით სოფელ კარტიკამისა, ბუზავეტისა, ხულგუმოსა, ბავრისა, არაგვისა, მაჯალიასა, აპნიასა, დანგალისა, კოკიასა და ხოსტიასათვის, ხოლო 40%-ით—სოფელ კორხისა, ტრკნისა, ორჯისა, იხტილისა, კიროვაკანისა და დილისკისათვის.

გადიდდეს 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთი 40%-ით სოფელ ვაჩიანის, გუმბურდოს, ხანდოს, ბუგაშენისა და ჩანდურის კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 64

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ხობის რაიონის ზოგიერთი სოფლისათვის 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთის გადიდებისა და შემცირების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების ხობის რაი-საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და რაიონის კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთათვის დაწესებული 1944 წ. სამხედრო გადასახადის განაკვეთი, თანხით 370 მანეთი, შეუმცირდეს 90 მან. ოდენობით საჯიჯაოს, ახალ ხიბულას და ძველი ხიბულას სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებს, ხოლო გაუდიდდეს 30 მანეთით ხობის, პირველი მაისის, ხეთის, ხამისკურის, თორსა-ღღვაბის, ქარიატის, შუახორგის, პირველი ხორგის და ქვემო-ქვალონის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 65

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. უშედეგოდ დარჩეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი ქვემოჩამოთვლილი საჩივრები:

1. აფხაზეთის საზკვების ტრესტის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო სამტრესტის თბილისის ბაზისადმი 2.723 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/901).

2. აფხაზეთის საზკვების ტრესტის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 3 ნოემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო სოხუმის პურის ქარხნისადმი 4.969 მან. და 47 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/862).

3. ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებაზე საქვაჭრობის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 1.225 მან. თაობაზე (საქმე № 2/936).

4. „ოპტბაკალეის" ბაქოს ბაზის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 9—10 სექტემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო „ოპტბაკალეის" ბათუმის ბაზისა და არტელ „წითელი მღებავისადმი" 2.100 მან. თაობაზე (საქმე № 2/686).

5. ინვალიდთა გაგრის სარეწაო კოოპერატიულ არტელ „განთიადის" საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 11 სექტემბრის დადგენილებაზე აფხაზვაჭრობის გაგრის განყოფილების სარჩელისა გამო 14.471 მან. და 03 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/600).

6. საქთევზწყულის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 19

ოქტომბრის დადგენილებაზე ამიერკავკასიის ფრონტის სრულიად-საარმიო სამხედრო-სანადირო საზოგადოების საოლქო საბჭოს სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 2.539 მან. და 69 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/794).

7. ტიხორეცკაიას მანქანათმშენებელი ქარხნის „კრასნი მოლოტის" საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 18/22 სექტემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო № 233 ქარხანა „ცენტროლიტისადმი 11.028 მან. და 77 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/848).

8. ტიხორეცკაიას მანქანათმშენებელ ქარხანა „კრასნი მოლოტის" საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 3 ნოემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო ქარხანა № 233 „ცენტროლიტისადმი" 10.830 მან. და 26 კაპ. თაობაზე (საქმე 2/848).

9. ტიხორეცკაიას მანქანათმშენებელ ქარხანა „კრასნი მოლოტის" საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 24 სექტემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო ქარხანა № 233 „ცენტროლიტისადმი" 7.875 მან. და 79 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/865).

10. „გლავსოლის" საქართველოს რესპუბლიკური გამსაღებელი კანტორის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 3 ნოემბრის დადგენილებაზე აჭარვაჭრობის სარჩელისა გამო მომჩივნისა და ნახჭევანის მარილის მაღაროებისადმი 7.401 მან. და 02 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/885).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. კეცხოველი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 24 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 67

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მრავალშვილიანი დედების სახ. დახმარების დანიშვნის ზოგიერთ დადგენილებაში ნაწილობრივი შესწორებების შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 10 დეკემბრის № 1840 დადგენილების 3-მუხლში მოხსენებული ვანის რაიონის მცხოვრებ მრავალშვილიანი დედის სახელი, გვარი და მამის სახელი იკითხებოდეს—მაშიკო მიტროფანეს-ასული შალამბერიძე.

2. იმის გამო, რომ ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომმა შეცდომით ორჯერ წარმოადგინა მასალები ადიგენის რაიონის სოფ. მოხეში მცხოვრებ მრავალშვილიანი დედის გიულშარ გეიდარ ყზის მერვე შვილზე სახ. დახმარების დანიშვნის შესახებ—საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 4 მარტის № 249 დადგენილების 7 მუხლი გაუქმდეს.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 5 ოქტომბრის № 1455 დადგენილების 37 მუხ. მოხსენებული მრავალშვილიანი დედის ვერა მარგველაშვილის საცხოვრებელი ადგილი იკითხებოდეს სოფ. ნაგარევი, ქუთაისის რაიონი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. კეცხოველი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 25 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 75

## საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**ვენახისა და ხილის ნარგავების დამუშავებაში სამტრესტისა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა მევენახეობის და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად ბორჩალოს, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, გორისა და ქარელის რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1942 წლის 13 აპრილს „კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ქალაქებისა და სასოფლო ადგილების შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის წესის შესახებ“ მიღებული № 507 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს ბორჩალოს, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, გორისა და ქარელის რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების პირველ მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს მობილიზაცია უყონ ორი თვის ვადით ქალაქისა და სოფლის არამომუშავე შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთ ნაწილს—2100 კაცს, რომლებიც დახმარებას გაუწევენ სამტრესტისა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა მევენახეობისა და მეხილეობის საბჭო-

თა მეურნეობებს ვენახისა და ხილის ნარგავების დამუშავებაში, აქედან:

| | | |
|---|---|---|
| ბორჩალოს რაიონში . . . . . . . . . . . . . . | 350 | კაცს |
| აქედან სამტრესტის გიაურარხის საბჭ. მეურნეობისათვის | 250 | „ |
| სამტრესტის ყულარის საბჭოთა მეურნეობისათვის | 100 | „ |
| ყვარლის რაიონში | | |
| სამტრესტის ყვარლის საბჭოთა მეურნეობისათვის . | 150 | „ |
| თელავის რაიონში . . . . . . . . . . . . . . | 300 | კაცს |
| აქედან სამტრესტის ნაფარეულის საბჭ. მეურნეობისათვის | 150 | „ |
| თელავის ადგ. მრეწვ. განყოფილების მევენახეობის მეურნეობისათვის . . . . . . . . . . . | 150 | „ |
| სიღნაღის რაიონში . . . . . . . . . . . . . | 200 | „ |
| აქედან სამტრესტის „ხირსის“ საბჭოთა მეურნეობისათვის | 100 | „ |
| სიღნაღის ადგ. მრეწვ. განყოფილების მევენახეობის მეურნეობა „კუმბატისათვის“ . . . . . . . . | 100 | „ |
| გურჯაანის რაიონში . . . . . . . . . . . . . | 300 | „ |
| აქედან სამტრესტის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობისათვის | 150 | „ |
| სამტრესტის კარდანახის საბჭოთა მეურნეობისათვის | 50 | „ |
| გურჯაანის ადგ. მრეწვ. განყოფილების მევენახეობის მეურნეობისათვის . . . . . . . . | 100 | „ |
| გორის რაიონში . . . . . . . . . . . . . . . | 450 | „ |
| აქედან სამტრესტის ვარიანის საბჭოთა მეურნეობისათვის | 250 | „ |
| „კიწნისის“ საბჭოთა მეურნეობისათვის . . . . . | 200 | „ |
| ქარელის რაიონში . . . . . . . . . . . . . . | 350 | „ |
| აქედან სამტრესტის ბრეთის საბჭოთა მეურნეობისათვის | 300 | „ |
| სამტრესტის ბებნისის საბჭოთა მეურნეობისათვის . | 50 | „ |

2. მობილიზაცია დამთავრდეს 1944 წლის 10 თებერვლამდე და ჩატარდეს იმ წესისა და პირობების სრული შესაბამისობით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკასა“ და „კომუნისტის“ 1942 წლის 18 აპრილის ნომრებში.

ცნობა მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ მოაწოდონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ყოველ ხუთდღიურში. სრული ანგა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რიში მობილიზაციის დამთავრების შესახებ წარმოადგინონ 1944 წლის 15 თებერვლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს ამ დადგენილებაში ჩამოთვლილი რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, აგრეთვე სამტრესტის დირექტორს ამხ. აზარაშვილს უზრუნველჰყონ მობილიზებული მუშახელის სათანადო განაწილება და სწორად გამოყენება იმ ანგარიშით, რომ დაწესებულ ვადებში შესრულდეს ზამთრისა და გაზაფხულის მთელი სამუშაოები საბჭოთა მეურნეობების ვენახებისა და ხილის ნარგავების დასამუშავებლად.

საქართველოს სსრ<br>სახალხო კომისართა საბჭოს<br>თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)<br>ცენტრალური კომიტეტის<br>მდივანი **მ. ბარამია.**

1944 წლის 28 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 77

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ბოსტნეული კულტურების ადრეული ჩითილების გამოყვანის შესახებ

ამ უკანასკნელ წლებში არ ექცევა საკმაო ყურადღება ადრეული სასათბურო და საგრუნტე ჩითილის გამოყვანას, რაც ბოსტნეული კულტურებისა და კერძოდ პომიდორის, ბადრიჯნისა და წიწაკის მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირების ერთერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს.

ბოსტნეული კულტურების ნაგვიანევი გადარგვა ხელს უწყობს სტოლბურისა და სხვა დაავადებათა მასობრივ გავრცელებას, რასაც ადგილი ჰქონდა 1943 წელს თბილისის, მცხეთისა და სხვა რაიონებში.

ადრეული სასათბურო ჩითილების გამოშვების შემცირება გამოწვეულია უმთავრესად კოლმეურნეობათა მიერ მათ განკარგულებაში არსებული სასათბურო ჩარჩოების მარაგის არასრული და არადროული გამოყენებით და აგრეთვე დაუდევარი მოპყრობით მათი შენახვის საქმისადმი.

იშვიათი არ არის სასათბურო ჩარჩოების დამტვრევის, მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და აგრეთვე მინების დატაცების შემთხვევები. თბილისის რაიონის სოფელ სოღანლუღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში სასათბურო ჩარჩოებისაგან გაკეთებულია აბრეშუმის ჭიის თაროები; წალკის რაიონის სოფელ მოლოტოვას სახელობის კოლმეურნეობაში სასათბურო ჩარჩოებიდან გამოიღეს მინები და გამოიყენეს საცხოვრებელ სადგომებში.

სრულიად არ აფასებენ აგრეთვე თბილი და დათბუნებული კვლე-

ბის მნიშვნელობას ადრეული ჩითილების გამოსაყვანად, რაც არ მოითხოვს მეტად დეფიციტურ მასალებს—მინებსა და ხე-ტყეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათბურებში ჩითილების გამოყვანის დროს არ იცავენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მინიმუმს, არ აქცევენ ყურადღებას ადგილის შერჩევას; კეთდება არამჭიდროდ შეკრული სასათბურო ყუთები, არ ტარდება სასათბურო ჩარჩოებისა და ყუთების დეზინფექცია; მიწა სათბურებში არ იცვლება; სათბურებში არასწორად შეაქვთ ნაკელი; არ ეწყობა თხრილები წვიმისა და ნადნობი წყლის სადენად.

სათბურებსა და საჩითილეებში არ ტარდება, როგორც წესი, გამეჩხერება ან ჯგუფთა (ერთ კვ. მეტრზე 200—250 ცალის ნაცვლად სტოვებენ 600-800 ცალ მცენარეს), რის შედეგადაც ვიღებთ სუსტ და გრძელ ჩითილს, რომელიც ადვილად ავადდება.

ითვალისწინებს რა მაღალხარისხოვანი და ადრეული ჩითილის დიდ მნიშვნელობას ბოსტნეული კულტურების კარგი მოსავლის მიღების საქმეში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნას გეგმა კოლმეურნეობებში სათბურების გაშენებისა მიმდინარე წლის თებერვალსა და მარტში ბოსტნეულისათვის 20 ათასი ჩარჩოს რაოდენობით, თბილი და დათბუნებული კვლებისათვის 366 ათასი კვ. მეტრის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონებს შორის, დანართის თანახმად.

2. დაევალოს მიწსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და რაიაღმასკომებს:

ა) ერთი კვირის განმავლობაში დაიყვანონ სათბურების გაშენების გეგმა ყოველ კოლმეურნეობამდე იმ ანგარიშით, რომ სრულად უზრუნველყოფილ იქნას რაიონის ბოსტნეული კულტურების ადრეული ჩითილების მოთხოვნილება;

ბ) დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა სასათბურო ჩარჩოების რემონტისა და როგორც დაცული (სათბურები), ისე ღია გრუნტის (საჩითილეები, თბილი და დათბუნებული კვლები და სხვა.) საჩითილე მეურნეობის მოწყობა-გაშენებისათვის და ეს სამუშაოები დაამთავრონ არაუგვიანეს 1944 წლის 5 მარტისა;

გ) საჩითილე მეურნეობის გასაშენებლად გამოჰყონ მძვინვარე ცივი ქარებისაგან კარგად დაცული და სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ნაკვეთები გრუნტის დაბალდონიანი წყლით (არაუღრმეს მეტრანახევრისა);

დ) არ დაუშვან სასათბურო მეურნეობის დატოვება ძველ ადგი-

ლას, თუ წინა წლებში ისინი ძლიერ იყვნენ შეპყრობილი ავადმყოფობითა და მავნებლებით;

ე) ჩაატარონ სასათბურო ინვენტარის (ჩარჩოების, ყუთების, ჩელტების) სრული დეზინფექცია;

ვ) დროულად დაამზადონ საჭირო რაოდენობის ბელტოვანი მიწა, დამწვარი ნაკელი და სილა სასათბურო მიწის მოსამზადებლად, წინასწარ ჩაატარონ ლერწმის, ისლის, ჩალისა და სხვა მასალების დამზადება და დაღობონ ჩელტები სათბურების, თბილი და დათბუნებული კვლების გადასაფარებლად;

ზ) თავის დროზე მოზიდონ ახალი ნაკელი დასათბობად და მოამზადონ იგი სათბურებში შესატანად, ფხვიერად შეიტანონ სათბურებში ცხელი (წვის პროცესში მყოფი) ნაკელი და დასტოვონ ამგვარი სახით ერთ დღეს მაინც; ძლიერი წვის დაწყების შემდეგ მძლავრად დატკეპნონ;

თ) სათბურების მოწყობის დროს გაიყვანონ წყალსადენი თხრილები, რომელთაც გვერდებზე მოაყარონ ნაკელი ან მიწა (საფარი). სათბურებში ნაკელის დატკეპნის შემდეგ შეიტანონ მიწა არანაკლებ 15 სანტიმეტრისა და არაუმეტეს 20 სანტიმეტრისა, თავისუფალი ადგილის დატოვებით მიწისა და მიწის შუა არაუმეტეს 10 სანტიმეტრის სიმაღლისა;

ი) თესვა ჩაატარონ მწკრივებად აგროწესებით მტკიცედ განსაზღვრულ ვადებში და დაიცვან 6—8 სანტ. მანძილი მწკრივებს შორის;

კ) თავის დროზე ჩაატარონ სათბურებში ჩითილების მოვლისათვის საჭირო ყველა სამუშაო (განიავება, ხელით მორწყვა, გამარგვლა და გაფხვიერება, გამეჩხერება არაუმეტეს 200—250 ცალის დატოვებით 1 კვ. მეტრზე, მიწის შემოყრა; საჭირო შემთხვევაში—ჯგუფვა, დამატებით კვება და სხვ.);

ლ) სათბურებიდან, თბილი და დათბუნებული კვლებიდან ჩითილების ამოღების დროს ჩაატარონ გულმოდგინე და მტკიცე წუნდება.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს ერთი დეკადის განმავლობაში შეიმუშაოს და დაუგზავნოს რაიონებს საჩითილე მეურნეობის მოწყობისა და მისი მოვლის ინსტრუქცია.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწსახკომს დახარჯოს საჩითილეებში ბოსტნეული კულტურების დაავადებებთან ბრძოლისათვის ერთი ტონა შაბიამანი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს—ამხ. გ. ალავიძეს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას და მიმდინარე წლის თებერვლის დამლევისათვის მოახსენოს სახკომსაბჭოს ბოსტნეული კულტურების ადრეული ჩითილების გამოყვანისათვის წარმოებული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 31 იანვარი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 31/I
№ 77 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოლმეურნეობებში ბოსტნეულის სათბურების (ჩარჩოების) და სანერგეების გაშენების 1944 წლის გეგმა

| რაიონები | სათბურების (ჩარჩოების) გაშენება ბოსტნეულისათვის | თბილი და დათბუნებული კვლების გაშენება და მოწყობა (კვ. მეტრობით) |
|---|---|---|
| 1. ახალქალაქის | — | 300 |
| 2. ახალციხის | 300 | 6.000 |
| 3. ადიგენის | — | 1.000 |
| 4. ასპინძის | — | 700 |
| 5. ხაშურის | — | 6 000 |
| 6. ქარელის | 150 | 6.000 |
| 7. გორის | 3.500 | 30.000 |
| 8. კასპის | 150 | 1.000 |
| 9. ბორჯომის | 370 | 4.000 |
| 10. გურჯაანის | 150 | 2.000 |
| 11. სიღნაღის | — | 1.500 |
| 12. წითელწყაროს | — | 1.200 |
| 13. თელავის | — | 1.500 |
| 14. ყვარლის | — | 700 |
| 15. ლაგოდეხის | — | 1.000 |
| 16. თბილისის | 3.650 | 30.000 |
| 17. მცხეთის | 1.400 | 25.000 |
| 18. ყარაიის | 3.000 | 20.000 |
| 19. ბორჩალოს | 500 | 4.000 |
| 20. ბოლნისის | 500 | 3.000 |
| 21. წალკის | 50 | 20.000 |
| 22. დუშეთის | 150 | 5.000 |
| 23. თეთრიწყაროს | 200 | 12.000 |
| 24. საგარეჯოს | 150 | 5.000 |
| 25. თიანეთის | 60 | 3.000 |
| 26. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 100 | 10.000 |
| 27. ქუთაისის | 1.400 | 30.000 |
| 28. წყალტუბოს | 800 | 14.000 |
| 29. სამტრედიის | 2.000 | 40.000 |
| 30. წულუკიძის | — | 12.000 |

| რაიონები | სათბურების (ჩარჩოების) გაშენება ბოსტნეულისათვის | თბილი და დათბუნებული კვლების გაშენება და მოწყობა (კვ. მეტრობით) |
|---|---|---|
| 31. ვანის | — | 4.000 |
| 32. მაიაკოვსკის | — | 1.500 |
| 33. ზესტაფონის | — | 2.000 |
| 34. ჩხარის | — | 1.500 |
| 35. ქიათურის | — | 2.500 |
| 36. საჩხერის | 40 | 4.000 |
| 37. ტყიბულის | — | 1.500 |
| 38. ონის | 40 | 1.000 |
| 39. ამბროლაურის | — | 1.000 |
| 40. ცაგერის | — | 500 |
| 41. აბაშის | 70 | 7.000 |
| 42. ცხაკაიას | — | 3.000 |
| 43. გეგეჭკორის | — | 2.000 |
| 44. ზუგდიდის | — | 3.000 |
| 45. ხობის | 50 | 4.000 |
| 46. ჩხოროწყუს | — | 500 |
| 47. მახარაძის | 70 | 500 |
| 48. ლანჩხუთის | — | 1.000 |
| 49. ჩოხატაურის | — | 600 |
| 50. ფოთის | — | 1.000 |
| 51. აფხაზეთის ასსრ | 700 | 20.000 |
| 52. აჭარის ასსრ | 450 | 8.000 |
| სულ რესპუბლიკაში | 20.000 | 366.000 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის იანვრის დადგენილებებისა


გვ.

1. საიდუმლო
2. საიდუმლო
3. „იუგოზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორის ბაზებში სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ . . . 3
4. საიდუმლო
5. საიდუმლო
6. სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მოხსენებითი ბარათი კომუნალურ სასტუმროთა ქონებისა და ინვენტარის არასწორი გამოყენებისა და განიავების შესახებ . . . 5
7. მახარაძის, ქარელისა და ბორჩალოს რაიონების სასოფლო საბჭოებში საკომლო წიგნების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 10
8. ქალ. ბორჯომის საწარმოთა და ორგანიზაციათა ელექტრომომარაგების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ . . . 15
9. ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის 1944 წლის ტყესაკაფი ფონდის გამოყოფის შესახებ . . . 18
10. 1943 წლის წლიური ანგარიშების განხილვისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მათი წარმოდგენის ვადების შესახებ . . . 37
11. გურჯაანის რაიაღმასკომის შუამდგომლობა ცალკეულ სოფლებში 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთების გადიდებისა და შემცირების შესახებ . . . 40
12. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ . . . 41
13. ხორცისა, რძისა და კვერცხის სავალდებულო ჩაბარების 1944 წლის I კვარტალის დაკალებათა შესახებ . . . 46
14. საქართველოს სსრ-ში დაუსწრებელი პედაგოგიური განათლების სისტემის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ . . . 50
15. საიდუმლო
16. საიდუმლო
17. თრიალეთის გზის (თბილისი—წალკა) საგაზაფხულო რემონტის ჩატარებისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა შესახებ . . . 56
18. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესლის გამოყოფისა და მომზადების მიმდინარეობის შესახებ . . . 58
19. საიდუმლო
20. საიდუმლო

21. საიდუმლო
22. საიდუმლო
23. საიდუმლო
24. სკოლებში მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის ციფრობლივი—ხუთბალიანი შეფასების სისტემის შემოღების შესახებ . . . . . . 61
25. ლაგოდეხის რაიონის სოფ. ქვ. ნაშოვარში მცხოვრებ ნოქ. მატრონე ნიკოლოზის-ასულ ბუხრაშვილის 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ . . . . . . . 62
26. საიდუმლო
27. შორეული პუნქტებიდან მარცვლის გამოზიდვის მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 63
28. ცაგერში რაიაღმასკომის, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომისა და რაიონის ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის მოსათავსებლად შენობის აგების შესახებ 66
29. საიდუმლო
30. საიდუმლო
31. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის განაკვეთების შესახებ . 70
32. საიდუმლო
33. საიდუმლო
34. 1943 წლის მოსავლის ფარდულის ობით დაზიანებული თამბაქოს დამზადებისა და გამოყენების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 74
35. წალკის რაიონის ცალკეულ სოფლებში 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთის გადიდებისა და შემცირების შესახებ . . . . . 76
36. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკთათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთების დაწესების შესახებ . . . . . . . . . . 77
37. საიდუმლო
38. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი პირუტყვის დახოცვასა და დატაცებაში დამნაშავე პირთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 79
39. წალკის რაიონიდან 1943 წლის მოსავლის კარტოფილის გამოზიდვის ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 81
40. აკადემიკოს ნ. ნ. კეცხოველის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტად დამტკიცების შესახებ . . . . . . . . 86
41. საიდუმლო
42. თბილისის ქალთა 39 და 40 სკოლების დამოუკიდებლად გამოყოფის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 87
43. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ . . . . . . . . . . 88
44. საიდუმლო
45. ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობათა მიერ გამოუყენებელ მიწებიდან სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობათათვის მიწის ნაკვეთების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 89
46. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . 91

47. საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების ავტოტრანსპორტის რემონტის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . 108
48. საიდუმლო
49. შეშის მომარაგების 1944 წლის I კვარტალის გეგმის შესახებ . . . . 112
50. საიდუმლო
51. ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 126
52. სახალხო კომისარიატებსა და უწყებებში საიდუმლო განყოფილებების (სექტორების) მოწყობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 138
53. სამრეწველო საწარმოებს შორის ელექტროენერგიის ეკონომიისა და კოსინუს „ფი"-ს კოეფიციენტის გაუმჯობესების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის IV კვარტალის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 141
54. პროტეზებისათვის საჭირო ნახევარფაბრიკატების წარმოების მოწყობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 143
55. საქართველოს სსრ ფინსახკომის მოხსენებითი ბარათი სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . 148
56. სადმელის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მოწყობის შესახებ . . . 152
57. სახკომსაბჭოს პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი კომისიის ოქმის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 155
58. მოქ. რუსიშვილის განცხადება პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 156
59. აბრეშუმის ქსოვილისაგან სამხატვრო საგალანტერიო ნაწარმის დამზადების საქმის მოწესრიგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 157
60. საიდუმლო
61. სოფლებში, რაიცენტრებსა და ქალაქებში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მოწყობის საკითხზე აქტივის კრებების ჩატარების შესახებ 160
62. ქალაქ თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან და ფოთიდან უპატრონო ბავშვების გამოყვანის შესახებ . . . . . . . 161
63. ახალქალაქის რაიონის ცალკეული სოფლებისათვის 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთის გადიდებისა და შემცირების შესახებ 163
64. ხობის რაიონის ზოგიერთი სოფლისათვის 1944 წლის სამხედრო გადასახადის განაკვეთის გადიდებისა და შემცირების შესახებ . . . . 164
65. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ . . . . 165
66. საიდუმლო
67. მრავალშვილიანი დედების სახ. დახმარების დანიშვნის ზოგიერთ დადგენილებაში ნაწილობრივი შესწორებების შეტანის შესახებ . . . 167
68. სრულიად საიდუმლო
69. სრულიად საიდუმლო
70. სრულიად საიდუმლო
71. საიდუმლო
72. საიდუმლო
73. საიდუმლო
74. საიდუმლო

75. ვენახისა და ხილის ნარგავების დამუშავებაში სამტრესტისა და ადგი-ლობრივი მრეწველობის განყოფილებათა მევენახეობის და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად ბორჩალოს, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, გორისა და ქარელის რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მაბილიზაციის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 168

76. საიდუმლო

77. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ბოსტნეული კულტურების ადრეული ჩითილების გამოყვანის შესახებ . . . . . . . . . . . . . 170

78. სრულიად საიდუმლო

79. საიდუმლო

80. საიდუმლო

81. საიდუმლო

82. საიდუმლო

---

## გასწორება

1943 წ. დეკემბრის კრებულში 50-ე გვერდზე მე-10 და მე-11 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: უსინათლოთა საზ-ბის ტრიკოტაჟის წარმოება ქ. ქუთაისში.

---

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი".
თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახ. წიგნის პალატა
№ 199
25/III 1961 წ.